სამოთახიანის ფასად გაყიდული თბილისი A2

ევროისტორია A8

"ხალხის პირისპირ" - ანკეტა B3



www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

ხუთშაბათი, 6 თებერვალი, 2003 წელი. №35 (247)

ფასი 50 თეთრი


© გაზეთი 24 საათი

### პოლიტიკა

**საარჩევნო კანონმდებლობა - ქვეყნის გადარჩენის საშუალება**

*გუშინ "ახალი მემარჯვენეების" ოფისში თერთმეტმა ოპოზიციურმა პარტიამ ხელი მოაწერა ერთობლივ დეკლარაციას, რომლის მიხედვითაც იქმნება "ერთიანი, ზეპარტიული მოძრაობა - "სამოქალაქო ინიციატივა თავისუფალი არჩევანისათვის".*

A3

### ეკონომიკა

**თბილისის საგადასახადოებს პასუხს მოსთხოვენ**

დედაქალაქის იანვრის ბიუჯეტი ორი მილიონი ლარით გაირღვა. "ქალაქის საოლქო საგადასახადო დეპარტამენტები ბაზრობებიდან, სათამაშო ბიზნესიდან, რესტორნებიდან ამოღებულ თანხებს მალავენ, რაც, ქალაქის ბიუჯეტს აკლდება," – აცხადებს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია.

A4

### უცხოეთი

**იუგოსლავია აღარ არსებობს**

ამიერიდან, მსოფლიო რუკაზე ამ სახელმწიფოს ნაცვლად სერბეთის და ჩერნოგორიის კავშირი გაჩნდება. ამ გადაწყვეტილებას ხმა მისცა 84 დეპუტატმა 31-ის წინააღმდეგ.

A5

### საზოგადოება

**სახლი ერეკლეს მოედანზე - ხანძარი და ვერსიები**

გუშინწინ, საღამოს 8 საათზე, ცეცხლი გაუჩნდა ერეკლეს მოედანზე, 3 ნომერში მდებარე სამსართულიან შენობას. რამდენიმე საათში სახლი მთლიანად დაიწვა. ხანძარს არავინ შეუწირავს, თუმცა, 11 ოჯახი, ფაქტობრივად, ღია ცის ქვეშ დარჩა.

A6

### სამართალი

**„აფხაზეთის გმირი" - კრიმინალური გარჩევისა თუ პოლიტიკური დაპირისპირების მსხვერპლი**

საინფორმაციო სააგენტო "ორეანდის" ცნობით, საქართველოს უშიშროების სამინისტრო დაინტერესდა მოსკოვში მოკლული სალიბეი არძინბას პიროვნებით. ხაზურძანიას თქმით, საქართველოს სპეცსამსახურებს მოეპოვებათ დაუდასტურებელი ინფორმაცია არძინბას ნარკობიზნესში მონაწილეობის შესახებ.

A7

### ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 12 |
| ქუთაისი | 14 |
| ბათუმი | 16 |
| სოხუმი | 14 |
| ფოთი | 14 |
| თელავი | 11 |
| ზუგდიდი | 15 |
| გორი | 8 |
| ახმეტა | 11 |
| ჭიათურა | 11 |
| გაგრა | 14 |
| სამტრედია | 14 |

**უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1870 |
| ევრო | 2.3900 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.6147 |
| რუბლი | 0.0687 |

# შეთქმულება თუ აგონია



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

შეთქმულთა "სამკუთხედი" ლევან გაჩეჩილაძის ვერსიით.

თამარ ხორბალაძე

*"ბატონ კობას ვთხოვ, "ახლების" ოფისში მომხდარ პატარა აურზაურთან დაკავშირებით მოგვახსენოს...
საერთოდ კი, ყველამ გაითვალისწინოს, რომ სახლებში, ცოლების თანდასწრებით, შეხვედრა და იმის განხილვა, როგორ გადააყენონ პრეზიდენტი, არ არის რეკომენდებული..." - თქვა პრეზიდენტმა და ხმამაღლა გაიცინა.
ასე, სხვათა შორის შემოიტანა ედუარდ შევარდნაძემ მთავრობის გუშინდელ სხდომაზე პრეზიდენტის წინააღმდეგ დაგეგმილი შეთქმულების თემა.*

შეგახსენებთ - საკითხი ეხებოდა შეხვედრას (თუ შეხვედრებს), რომელიც, სამშაბათს საღამოს გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ჯორბენაძის სახლში პაპაშვილის, სულხან მოლაშვილის, კობა ნარჩემაშვილის და ვალერი ხაბურძანიას მონაწილეობით შედგა და რომელზეც პრეზიდენტის გადაყენების რუსული ვარიანტის გამოყენებაზე იმსჯელეს. გავრცელებული ვერსიით, ასეთი შეხვედრის შესახებ ინფორმაციას ფლობდა ქართველ პოლიტიკოსთა საკმაოდ ფართო სპექტრი, მათ შორის სააკაშვილი, რომელიც "24 საათში" ოთხშაბათს დილით გამოქვეყნებულ განცხადებაში შეხვედრის

გაგრძელება A3 გვერდზე

## „ჯორბენაძე შევარდნაძის წინააღმდეგ შეთქმულებას აწყობდა" - ამტკიცებენ „ახლები"

*"ახალი მემარჯვეების" ოფისის დარბევა იმ გეგმის ნაწილია, რომელიც სახელმწიფო მინისტრის სამუშაო კაბინეტში გამართულ საიდუმლო სერობაზე დაიგეგმა და რომლის მიზანი ხელისუფლების ხავერდოვანი გადატრიალებაა", – ეს განცხადება გუშინ "ახალი მემარჯვენეების" ლიდერებმა გააკეთეს. მათივე თქმით, ამ გადატრიალების ინიციატორები, სახელმწიფო მინისტრ ავთანდილ ჯორბენაძესთან ერთად, შინაგან საქმეთა მინისტრი კობა ნარჩემაშვილი და "მოქკავშირის" საპარლამენტო ფრაქციის ლიდერი ვიტალი ხაზარაძე იყვნენ.*

თამარ მჭედლიშვილი

"ახლებმა" ეს განცხადება მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ გააკეთეს. ანუ, მას მერე, რაც პრეზიდენტმა გავრცელებულ ინფორმაციას "ჭორი" უწოდა და "დეზინფორმაციის" გამავრცელებლების გამოსავლენად საგამოძიებო მოქმედებების დაწყება ითხოვა.

ძნელი სათქმელია, იცოდნენ თუ არა "ახლებმა" პრეზიდენტის ასეთი რეაქციის შესახებ, მაგრამ, მათი მტკიცებით, შეხვედრა ნამდვილად

გაგრძელება A3 გვერდზე

## კოლინ პაუელმა ერაყს საბოლოო ბრალდება წაუყენა




REUTERS

კოლინ პაუელის გამოსვლა გაერო-ს უშიშროების საბჭოში.

*ერაყის მრავალთვიანი კრიზისის მანძილზე, გუშინდელი დღე უმნიშვნელოვანეს მოვლენად შეფასდა. მას შემდეგ, რაც გაერო-ს სამხედრო ინსპექტორებმა ერაყში მასობრივი განადგურების იარაღის არსებობა ვერც უარყვეს და ვერც დაადასტურეს, ვაშინგტონმა სადამ ჰუსეინის ბრალეულობის დამტკიცება საკუთარი ძალებით გადაწყვიტა. გაერო-ს უშიშროების საბჭოზე ამის თაობაზე ვრცელი და შთამბეჭდავი მოხსენებით აშშ-ს სახელმწიფო მდივანი კოლინ პაუელი წარსდგა. მის მოხსენებაში პანკისის ხეობის თემამაც გაიჟღერა. კოლინ პაუელს ზურგს ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს დირექტორი ჯორჯ ტენეტი უმაგრებდა.*

ლევან ღირსიაშვილი

კოლინ პაუელმა თავისი გამოსვლა ორი ერაყელი მაღალჩინოსანი ოფიცრის სატელეფონო საუბრის ჩანაწერის მოსმენით დაიწყო. ერაყელი ოფიცრების საუბარში ნახსენებია **"მოდიფიცირებული მანქანები,"** რომელთა ევაკუაცია უნდა მოახდინონ, რათა ისინი გაერო-ს ინსპექტორებმა ვერ ნახონ. სახელმწიფო მდივანმა გაერო-ს უშიშროების საბჭოს რამდენიმე დღის წინ კიდევ ერთი სატელეფონო საუბრის ჩანაწერი მოასმენინა, სადაც ერთ-ერთი ერაყელი ოფიცერი ინსპექციასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის განად-

გაგრძელება A2 გვერდზე

## "რუსთავი-2" დაზარალებულის სტატუსს ითხოვს

### ბრალდების მოწმეს პატიმრობა ელის

ხათუნა ჯანგირაშვილი
სოფიკო ჩხაიძე

**"რომ არ მოხდეს სასამართლო პროცესის დისკრედიტაცია, ყველა ქართულ ტელეკომპანიას ვთხოვ, საქმის სასამართლო განხილვის პირდაპირი ეთერით გადაცემას",** - ამ სიტყვებით დაიწყო და დაასრულა კიდეც მოსამართლე ნანა გუგუნაშვილმა გიორგი სანაიას მკვლელობაში ბრალდებული გრიგოლ ხურცილავას გუშინდელი სასამართლო პროცესი. წინა დღეს მომხდარი ინციდენტის გამო, როდესაც მოწმედ დაკითხულმა მალხაზ ხვედელიანმა "რუსთავი 2"-ის ჟურნალისტს სცემა, გლდანი-ნაძალადევის რაიონულ სასამართლოს გუშინ გაძლიერებული ბადრაგი იცავდა. მოსამართლე გუგუნაშვილს გუშინ არაფერი უთქვამს ტელეკომპანია "რუსთავი-2"-ის მოთხოვნაზე საქმის სასამართლო განხილვაში დაზარალებულის სტატუსით ჩართვის შესახებ. ხოლო გადაიცემა თუ არა პირდაპირი ტრანსლაციით გრიგოლ ხურცილავას საქმის სასამართლო განხილვა, წინასწარ ძნელი სათქმელია. ეს, ალბათ, პროცესის განახლებისას - 14 თებერვალს გაირკვევა.

სასამართლო პროცესის განახლებამდე კი ცნობილი გახდება მოსამართლის გადაწყვეტილება სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი-2"-ის დაზარალებულად ცნობის თაობაზე. "რუსთავი-2"-ის პრეზიდენტის ეროსი კიწმარიშვილის განცხადება პროცესში სამაუწყებლო კომპანიის დაზარალებულის სტატუსით ჩართვის თაობაზე გლდანი-ნაძალადევის რაიონულ სასამართლოში გუშინ დილით შევიდა. განცხადებაში ნათქვამია, რომ, რადგან გიორგი სანაია იყო "რუსთავი-2"-ის წამყვანი ჟურნალისტი, ერთ-ერთი მათგანი, ვინც ქმნიდა კომპანიის სახეს, მისი მკვლელობით კომპანიას მორალური ზარალი მიადგა.

გაგრძელება A7 გვერდზე

## "ჩრდილოეთ-სამხრეთის კორიდორი" თუ საქართველოს თანამიმდევრული ანექსია

შოთა უტიაშვილი

კიევში, შევარდნაძე-პუტინის შეხვედრის შემდეგ, რუსეთის პრეზიდენტმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მან ქართველ კოლეგას შესთავაზა რკინიგზის აღდგენისა და ლტოლვილების დაბრუნების პროცესის სინქრონიზირება. საქართველოს პრეზიდენტის კომენტარებიდან შეიძლებოდა იმ დასკვნის გაკეთება, რომ თბილისი თანახმა იქნებოდა რკინიგზის აღდგენაზე ერევნამდეც კი, თუ სამშვიდობო ძალების მოქმედების ზონა ღალიძგამდე გადაიწევდა, აფხაზებისათვის რუსული პასპორტების დარიგება შეწყდებოდა და ლტოლვილების დაბრუნების პროცესიც დაიწყებოდა.

შევარდნაძემ მოგვიანებით, ორშაბათის რადიოინტერვიუში განაცხადა, რომ რაკი პუტინმა რკინიგზის აღდგენის თემაზე საუბარი აღარ განავრცო, სავარაუდო იყო, რომ მას ეს საკითხი არ ჰქონდა შეთანხმებული არც საკუთარ მთავრობასთან და არც აფხაზებთან.

გაგრძელება A5 გვერდზე

## აფხაზეთის პრივატიზაცია მხოლოდ რუსული რუბლით

გვანცა კვინიკაძე

*რამდენიმე დღის წინ სეპარატისტული აფხაზეთის რესპუბლიკის პარლამენტმა აფხაზეთის ტერიტორიაზე საცალო ვაჭრობის სისტემაში ამერიკული დოლარის მიმოქცევა აკრძალა და ერთადერთ საგადამხდელო საშუალებად რუსული რუბლი გამოაცხადა. პარალელურად, სეპარატისტთა უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ "პრივატიზაციის შესახებ" კანონში შეიტანა დამატება, რომლის თანახმადაც, იმ ობიექტების განსახელმწიფოებრიობა, რომლებიც მანამდე პრივატიზებას არ ექვემდებარებოდნენ, სპეციალური კანონის საფუძველზე მოხდება. ამ ცვლილებებს ქართველი ექსპერტები რუსეთის მიერ უკანასკნელ პერიოდში აფხაზეთის მიმართ განხორციელებული პოლიტიკის ლოგიკურ გაგრძელებად მიიჩნევენ. მათი აზრით, ეს საქართველოს ამ რეგიონის ფინანსურ-ეკონომიკური სფეროების რუსეთთან მჭიდროდ მიბმას ითვალისწინებს.*

გაგრძელება A4 გვერდზე


A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 ევროისტორია

B2 კულტურა B3 ანკეტა B4 სპორტი B5 სპორტი B6 განცხადებები B7 სტილი B8 სხვადასხვა

# კოლინ პაუელმა ერაყს საბოლოო ბრალდება წაუყენა

პირველი გვერდიდან

გურების ბრძანებას იძლევა. კოლინ პაუელის თქმით, ერაყის სტრატეგია თანამშრომლობაში კი არა, ჯაშუშობასა და დაბრკოლებების შექმნაში მდგომარეობს. მან მოიყვანა დოკუმენტების დამალვის, საკომპიუტერო მყარი დისკების შეცვლის მაგალითები, რათა მათი აღმოჩენა გაერო-ს ინსპექტორებს ვერ შეძლებოდათ. კოლინ პაუელმა კვლავ გაიმეორა თეზისი, რომ ინსპექტორებმა ერაყის ხელისუფლება სიცრუეში კი არ უნდა დაიჭირონ, არამედ ერაყმა თავად უნდა წარუდგინოს მათ ყველა საჭირო დოკუმენტაცია.

აშშ-ს სახელმწიფო მდივნის გამოსვლის ყველაზე შთამბეჭდავ ნაწილს კოსმოსიდან გადაღებული ფოტოკადრების ჩვენება წარმოადგენდა, სადაც ერაყის სამხედრო ობიექტებია აღბეჭდილი. კოლინ პაუელის განცხადების თანახმად, ამ ობიექტებზე ერაყელებმა ქიმიური და ბიოლოგიური არსენალი გადამალეს. სახელმწიფო მდივნის მტკიცებით, ერაყში ასეთი ობიექტების რაოდენობა 30-ს აჭარბებს. კოლინ პაუელმა უშიშროების საბჭოს წარუდგინა ასევე ის ფოტომასალა, სადაც, მისი აზრით, ერაყის ხელისუფლება ბალისტიკურ რაკეტებს აწარმოებდა. პაუელის თქმით, ერაყს აშშ-ს სადაზვერვო თვითმფრინავებისათვის მოქმედების საშუალება რომ მიეცა, ასეთი მტკიცებულებები გაცილებით მეტი იქნებოდა. მან თავისი ბრალდების მოწმედ ერთ-ერთი გაქცეული ერაყელი ინჟინერ-ქიმიკოსის განცხადება მოიყვანა, რომლის თანახმადაც ერაყს ბიოლოგიური იარაღის წარმოებისათვის მობილური ლაბორატორიები გააჩნია. პაუელმა ამის გარდა, ასევე დაიმოწმა სხვა გაქცეული ერაყელი ინჟინრები და მათზე დაყრდნობით განაცხადა, რომ ბაღდადს სატვირთო მანქანებზე განთავსებული შვიდი მობილური ლაბორატორია გააჩნია, სადაც ბიოლოგიური იარაღის წარმოებაა შესაძლებელი. გარდა ამისა, პაუელის შეშფოთებას ქიმიური იარაღით აღჭურვილი ის ათასობით "დაკარგული" ბომბიც იწვევს, რომლებიც ირან-ერაყის ომის დროს იწარმოებოდა.

რაც შეეხება ერაყში ბირთვული პროგრამების დამუშავებას, კოლინ პაუელმა განაცხადა: **"ერაყს უკვე გააჩნია სამიდან ორი დამუშავებული ბირთვული პროგრამა, ჰყავს შესაბამისი ცოდნით აღჭურვილი მეცნიერები და ბირთვული ბომბის პროექტი. ის აქტიურად ეძებს საშუალებებს იმისათვის, რათა მოიპოვოს ბოლო აუცილებელი კომპონენტი – მოწყობილობა გამდიდრებული ურანისათვის."**

მასობრივი განადგურების იარაღის დამუშავებისა და გაერო-ს ინსპექტორების მოტყუების მცდელობის გარდა, კოლინ პაუელმა ერაყის ხელისუფლებას საერთაშორისო ტერორიზმთან თანამშრომლობის ბრალდებაც წაუყენა. პაუელის თქმით, ერაყი პალესტინურ დაჯგუფებებს იარაღითა და ფულით ამარაგებს, ხოლო "ჰამასის" და "ისლამური ჯიჰადის" ხელმძღვანელობას ბაღდადში ოფისების გახსნის საშუალება მისცა. გარდა ამისა, ერაყი თავშესაფარს აძლევს "ალ-ქაიდას" მაღალი რანგის ისეთ წარმომადგენლებს, როგორებიც იორდანელი ალ-ზარქაუის დაჯგუფების წევრები არიან. პაუელის თქმით, ზარქაუი და მისი ტერორისტები აქტიურად მოქმედებდნენ დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთსა და რუსეთში და ამჟამადაც მოქმედებენ პანკისის ხეობასა და ჩეჩნეთის ტერიტორიებზე. პაუელის განცხადების თანახმად, სადამ ჰუსეინი მზად არის, საერთაშორისო ტერორისტებს მასობრივი განადგურების იარაღი გადასცეს. გამოსვლის დასასრულს, აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ერაყი გაერო-ს №1441 რეზოლუციის დარღვევაში დაადანაშაულა და გაერო-ს უშიშროების საბჭოს ქმედითი და გადამწყვეტი ნაბიჯების გადადგმისაკენ მოუწოდა.

ჯერჯერობით ერთადერთი, ვინც კოლინ პაუელის გამოსვლა დადებითად შეაფასა და ერაყის განიარაღება მოითხოვა, დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ჯეკ სტრო გახლავთ. დაუჭერენ თუ არა კოლინ პაუელის განცხადებას მხარს გაერო-ს უშიშროების საბჭოს დანარჩენი წევრები, დღეისათვის გახდება ცნობილი.

"ხალხის პირისპირ"
ეს არის ტელევიქტორინა, რომლისთვისაც თქვენ, მაყურებლები შეადგენთ კითხვებს და მოიგებთ ფულს, თუ თქვენი შეკითხვა ჩაჭრის სტუდიაში მოწვეულ კონკურსანტს.

ხალხის პირისპირ

მაშ ასე, შეავსეთ ბლანკი, ამოჭერით და გამოგვიგზავნეთ, შეკითხვების მიღება უფასოა. (გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოყვანილ წესებს და ინსტრუქციებს).

# სამოთახიანის ფასად გაყიდული თბილისი

სოფო ბუკია

*თბილისის საკრებულოს სარევიზიო კომისიის დასკვნით, დედაქალაქის ცენტრი დღეს ერთი კომპანიის მფლობელობაშია, თბილისის ბიუჯეტი კი "აქედან ერთ თეთრსაც არ იღებს". თითქმის მთელი რუსთაველი, თავისუფლების მოედანი, მარჯანიშვილი, მთაწმინდის პლატო ამ "თბილისი-სიტის" ლამის უსასყიდლოდ გადაეცა, – აღნიშნა სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ოქრუაშვილმა, რომელმაც გუშინ სააქციო საზოგადოება "თბილისი-სიტის" მასალების კვლევის შედეგებზე ისაუბრა.*
*ოქრუაშვილი თბილისის მთავრობას მოუწოდებს, სასწრაფოდ გაათავისუფლონ "თბილისი-სიტის" სამეთვალყურეო საბჭოს ექვსკაციანი შემადგენლობა. მისი მტკიცებით, ეს ერთადერთი საშუალებაა, თბილისს კუთვნილი ქონების ნაწილი მაინც დაუბრუნდეს. "თბილისი-სიტიში" არსებულ "არნახულ" დარღვევებთან დაკავშირებით, სარევიზიო კომისია უახლოეს დღეებში გენერალურ პროკურატურასაც შეაწუხებს.*



*თბილისის საკრებულო ცდილობს დედაქალაქს ქონების ნაწილი მაინც დაუბრუნოს.*

**"წარმოუდგენელია, მთელი თბილისი ერთი სამოთახიანი ბინის ფასად გაიყიდა და ამაზე პასუხს არავინ აგებს,"** – აღნიშნა სარევიზიო კომისიის გუშინდელ სხდომაზე მიხეილ სააკაშვილმა.

**"ეს საქართველოს ისტორიაში უდიდესი აფიორაა,"** – ამბობს ვიცე-პრემიერი კარბელაშვილი.

**"პრივატიზაცია ზოგს თბილისის ყიდვა ჰგონია..."**

**"მსგავსი საზიზღრობა არც გაგვიგია",** - აცხადებდნენ გუშინ საკრებულოს წევრები.

როგორც სარევიზიო კომისიის დასკვნაშია ნათქვამი, "თბილისი-სიტის" დაფუძნება 1993 წელს, სახელმწიფო მეთაურთან გამართულ თათბირზე გადაწყდა. თათბირზე დიდი მოწონება დაიმსახურა თბილისის მერიის მიერ შემუშავებულმა ბიზნეს-პროგრამამ სააქციო საზოგადოების შექმნის შესახებ (ამ პროგრამას მწვანე შუქი აუნთეს, ოღონდ გააფრთხილეს, საკონტროლო პაკეტი მერიის მფლობელობაში უნდა დარჩესო). "თბილისი-სიტი" 31-მა ორგანიზაციამ დააფუძნა.

თბილისის მერიის საქალაქო კოლეგიის გადაწყვეტილებით, თბილისის მერიის წილი საზოგადოებისთვის უძრავი ქონების გადაცემით და გასაშენებელი ან სხვა ტერიტორიების ხანგრძლივვადიანი (20-წლიანი) სარგებლობის უფლების მინიჭებით განისაზღვრა. აღნიშნულ გადაწყვეტილებას თან ახლავს "თბილისი-სიტისთვის" გადასაცემი ობიექტების ნუსხა: სასტუმრო "თბილისი", მხატვრის სახლი, თავისუფლების მოედნის №4, 6, ლეონიძის №1, რესტორანი "მთაწმინდა" - 4500 კვ.მ მიწის ფართობით, რესტორანი "ზერიკონი", გოთუას ქუჩაზე მდებარე ლაბორატორია და სხვა.

საზოგადოების საწესდებო კაპიტალმა 15 მილიარდი მანეთი შეადგინა, საიდანაც მერიის წილი 5 მილიარდი მანეთით განისაზღვრა. მერიის კუთვნილებაში, ნახსენები საკონტროლო პაკეტის ნაცვლად, აქციათა 33 პროცენტი აღმოჩნდა.

მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოების საწესდებო კაპიტალი 15 მილიარდი მანეთი იყო, მისი შევსება დამფუძნებლებმა კუპონებით გადაწყვიტეს. შეტანილი თანხა ოთხ მილიარდ ორას ორმოცდაათ მილიონ კუპონს შეადგენს, რაც ლარის დაბადების დროისთვის სულ რაღაც 4 ათას 250 ლარის ექვივალენტი გახლდათ. საწესდებო კაპიტალის შეტანა "კავკასიის ბანკში" ხდებოდა. აღნიშნული ბანკი დღეისთვის გაკოტრებულია, ასე რომ, რა ბედი ეწია ზემოხსენებულ თანხებს, ძნელი მისახვედრი არ არის.

ყველაფრის მიუხედავად, "თბილისი-სიტიმ" თბილისის მუნიციპალიტეტის კიდევ უფრო დიდი ნდობა მოიპოვა. საზოგადოებას, მუნიციპალიტეტის დადგენილებით, თავისუფლების მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე ასაშენებელი ობიექტების დაპროექტებისა და მშენებლობის დამკვეთის სტატუსი მიენიჭა.

1995 წელს, ნიკო ლეკიშვილის მერობის დროს, თბილისის მუნიციპალიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება "თბილისი-სიტიდან" მერიის გამოსვლის შესახებ. მიუხედავად დადგენილების მკაცრი ტონისა, მას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. მეტიც, ბატონი ლეკიშვილი მალევე აუქმებს თავისივე ხელმოწერილ დადგენილებას და თავად გვევლინება "თბილისი-სიტის" საპატიო თავმჯდომარედ.

ამის შემდგომ დედაქალაქის მერიამ კიდევ უფრო შეიყვარა "თბილისი-სიტი" და მას მერიის ადმინისტრაციულ შენობაში ოთახებიც კი უფეშქაშა. "თბილისი-სიტისთვის" გადასაცემი მიწის ნაკვეთები მერიამ გაათავისუფლა საიჯარო ქირისგან და მიწის გაფორმებასთან დაკავშირებული საბიუჯეტო ხარჯებისგან. აღნიშნულ სააქციო საზოგადოებას არ აკმარეს მთელი რუსთაველის გამზირი და თავისუფლების მოედანი, ამჯერად მას გადაეცა ხეთაგუროვის ქუჩა (საარბრიუკენის მოედანი) და მთაწმინდის ზედა პლატო.

1996 წელს, ახალი წესდების თანახმად, საზოგადოების საწესდებო კაპიტალმა 450 ათასი აშშ დოლარი შეადგინა. მუნიციპალიტეტი კვლავინდებურად აქციათა 33 პროცენტის მფლობელი დარჩა. როგორც სარევიზიო კომისია ამტკიცებს, საწესდებო კაპიტალის ასივე პროცენტი დედაქალაქის მერიამ ჩადო.

1996 წლიდან "თბილისი-სიტის" ბაზაზე სამი შვილობილი კომპანია შეიქმნა: "ოტელი თბილისი", უძრავი ქონების კომპანია და "მთაწმინდის პლატო". ამ კომპანიების თანადამფუძნებელი, "სიტისთან" ერთად, "ბობ უოლშ ენტერპრაიზის ინკორპორეიტედი" გახლავთ. საკუთარ შვილობილ კომპანიებში "თბილისი-სიტის" აქციათა მხოლოდ 35 პროცენტი ეკუთვნის, საკონტროლო პაკეტს კი ამერიკული მხარე ფლობს

"თბილისი-სიტის" შვილობილი კომპანიებიც არ უჩივიან დედაქალაქის მერიასთან ცუდ ურთიერთობას. მაგალითისთვის, რუსთაველის გამზირის №13-ში მდებარე, დაახლოებით, 2,387 კვ.მ ნაკვეთი "ოტელ თბილისს" 99-წლიანი იჯარით გადაეცა. 99 წლით კიდევ რამდენიმე ობიექტია გაცემული.

როგორც სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ამტკიცებს, აღნიშნულ ქველმოქმედებაში თბილისის მერიას თითქმის არც ერთი თეთრი არ მიუღია.

ოქრუაშვილის თქმით, თბილისის იმჟამინდელმა ხელმძღვანელობამ "თბილისი-სიტისთან" გარიგებებისა და აფიორების ისეთი ქსელი დახლართა, იმგვარ დოკუმენტებს მოაწერა ხელი, რომ საკმაოდ ძნელი და თითქმის შეუძლებელია, დედაქალაქმა სრულად აინაზღაუროს მიყენებული ზიანი.

ერთადერთი გამოსავალი, ოქრუაშვილის აზრით, "თბილისი-სიტის" სამეთვალყურეო საბჭოს გათავისუფლებაა. ახალმა საბჭომ კი, მისი თქმით, მერიას ის 35-პროცენტიანი წილი უნდა გადაუფორმოს, რასაც "თბილისი-სიტი" "ოტელ თბილისში", "მთაწმინდის პლატოში" და უძრავი ქონების კომპანიაში ფლობს.

# საარჩევნო კოდექსების "დოღი" იწყება

*პარლამენტის საგაზაფხულო სესიის პერიოდში ერთ-ერთი ყველაზე მწვავე თემა ახალი საარჩევნო კოდექსის მიღება იქნება. უბრალოდ, ძნელი წარმოსადგენია, როგორ უნდა მოხდეს ამ საკითხზე კონსენსუსის მიღწევა - თითოეული პოლიტიკური გუნდი საარჩევნო კანონმდებლობას თავისი ვიწროპარტიული სამრეკლოდან უყურებს და მხოლოდ ის ვარიანტი მიაჩნია მისაღებად (ანუ, "ყველაზე დემოკრატიულად"), რომელიც მთლიანად შეესაბამება მისი პარტიული ჯგუფის ინტერესებს. ამიტომ, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მალე პარლამენტში საარჩევნო კანონპროექტების დოღი დაიწყება. ყველა შეეცდება, ფინიშის ხაზი მხოლოდ მისმა საარჩევნო "ბედაურმა" გადაკვეთოს და ამით საპარლამენტო არჩევნების დროს წაუგებელი პოზიცია მიიღოს.*

გიორგი ასანიშვილი

საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებების თავისი ვარიანტი წარმოადგინეს გუშინ საარჩევნო დარღვევების მიზეზების შემსწავლელი დროებითი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარემ ზაქარია ქუცნაშვილმა და ფრაქცია "მრეწველების" წევრმა ვახტანგ ხმალაძემ. ვინაიდან არჩევნების შედეგების გაყალბების ერთ-ერთი ყველაზე დიდი "რეზერვი" საარჩევნო სიებში დევს, ამიტომ "სოციალისტებისა" და "მრეწველების" წარმომადგენლებმა აქცენტი, ძირითადად, ამ საკითხზე გააკეთეს.

ზაქარია ქუცნაშვილი მიიჩნევს, რომ დამატებითი საარჩევნო სიები საერთოდ უნდა გაუქმდეს და მხოლოდ ძირითადი და სპეციალური (დევნილებისთვის, სამხედრო მოსამსახურეთათვის, ავადმყოფებისთვის, ძნელადმისადგომი დასახლებული პუნქტებისთვის) სიები არსებობდეს.

პარლამენტარის აზრით, არსებით ცვლილებებს საჭიროებს ძირითადი სიების შედგენის მექანიზმიც. ამჟამად მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, ამ პროცესში (ძირითადი სიების შედგენაში) მონაწილეობენ შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, საკონსულო დაწესებულებები და შორეული ნაოსნობის გემების კაპიტნები. ქუცნაშვილი მოითხოვს, რომ ამ ჩამონათვალს გამოაკლდნენ იუსტიციის სამინისტრო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, სპეციალური სიები კი შესაბამისმა უწყებებმა შეადგინონ: დევნილებისთვის - ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ, სამხედრო მოსამსახურეთათვის - თავდაცვის სამინისტრომ, ავადმყოფებისთვის - ჯანდაცვის სამინისტრომ და ა.შ.

ზაქარია ქუცნაშვილი რიგი სხვა ნოვაციებითაც გამოდის - კანონით დადგინდეს წინასაარჩევნო კამპანიის ვადები; ვინაიდან ამჟამად არსებული ხუთდღიანი პერიოდი ძალიან ცოტაა, საარჩევნო სიები ცესკო-სა და საოლქო კომისიებს არჩევნებამდე 50 დღით ადრე გადაეცეთ; საარჩევნო ბარათი არჩევნებამდე 20 დღით ადრე პირადად ჩაბარდეს ამომრჩეველს და მან ბარათის მიღების ფაქტი ხელმოწერით დაადასტუროს.

ვახტანგ ხმალაძე ეთანხმება ქუცნაშვილს იმაში, რომ ამომრჩეველთა აღრიცხვიანობის მოწესრიგება დღეს ნომერ პირველი პრობლემაა და მისი მოგვარების მიზნით, საკუთარ მოსაზრებებს ახმოვანებს. რადგან საარჩევნო სიების შემდგენელი არც ერთი სუბიექტის მიმართ ნდობის ფაქტორი საზოგადოებაში არ არსებობს, "მრეწველთა" ფრაქციის წევრი მოითხოვს, რომ თითოეულ ამომრჩეველზე გაიცეს სარეგისტრაციო მოწმობა, რომელში განთავსებული ფოტოც ადგილზე (ე.წ "საპასპორტო მაგიდებში") ციფრული აპარატით იქნება გადაღებული.

**"ასეთი ფოტო, დაახლოებით, 80 პარამეტრს შეიცავს და ამდენად, სარეგისტრაციო მოწმობების გაყალბება ან ერთ პიროვნებაზე ორი ბარათის გაცემა სავსებით გამოირიცხება. თუ არჩევნები მონაცემთა ასეთი ბაზის საფუძველზე ჩატარდება, ორჯერ და მეტჯერ ხმის მიცემის ფაქტები აღარ მოხდება, აგრეთვე შეუძლებელი იქნება "კარუსელების" მოწყობა",** - აცხადებს ხმალაძე, რომელიც ოპონენტებს შეახსენებს, რომ სწორედ ასეთი მეთოდი გამოიყენება აეროპორტებში ტერორისტებისა და ინტერპოლის მიერ ძებნილი სხვა კრიმინალების დასაფიქსირებლად.

"ციფრული ფოტო-იდეის" პროპაგანდისტად ვახტანგ ხმალაძე მას შემდეგ იქცა, რაც ელექტრონული სისტემით არჩევნების ჩატარება გამოირიცხა. ეს კი იმის გამო მოხდა, რომ 121 დეპუტატის ხელმოწერას მთავრობამ ანგარიში არ გაუწია და "ელექტრონული არჩევნების" დასაფინანსებლად 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 10 მილიონი ლარის გამოყოფაზე უარი განაცხადა.

# უომბუდსმენო ოფისს "ზვიადისტები" დაეპატრონენ

პარლამენტის კიბეებიდან გამოძევებით აღშფოთებულმა ექს-პრეზიდენტის ქვრივმა გუშინ სახალხო დამცველის ოფისში საგანგებო პრესკონფერენცია მოაწყო.

პირველ თებერვალს მიტინგის დარბევის ორგანიზატორებად არჩვაძე პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს, თბილისის საკრებულოს შეფს მიხეილ სააკაშვილსა და შინაგან საქმეთა მინისტრს კობა ნარჩემაშვილს ასახელებს. ზემოჩამოთვლილნი, მისი თქმით, შევარდნაძის დაკვეთას ასრულებდნენ.

ჯერჯერობით დღის წესრიგში მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ქალაქის პოლიციის წინააღმდეგ სარჩელის შეტანა დგას.

ქალბატონი მანანა ვერ ხედავს განსხვავებას 1989 წლის 9 აპრილსა და 2003 წლის 1 თებერვალს შორის. მისი თქმით, პოლიციელები მომიტინგეებს ისეთივე სისასტიკით გაუსწორდნენ, როგორც ეს 9 აპრილს მოხდა. **"მხოლოდ გაზი არ გამოუყენებიათ,"** – აკონკრეტებს არჩვაძე. მხუთავი გაზის ნაცვლად, არჩვაძის მიერ მღებროვად წოდებულმა მღებრიშვილმა, რომელიც "საქართველოდან საერთოდ გასაძევებელია", და მისმა შავნიღბოსნებმა რეზინის "დუბინკები" გამოიყენეს.



*მომიტინგეები საპროტესტო გარემოს იუმჯობესებენ.*

არჩვაძის თქმით, დარბევისას რვა მომიტინგე უკვალოდ გაქრა. ამათგან ექვსის ადგილსამყოფელი ჯერაც უცნობია, ორი კი იპოვეს. მათ მიმართ ძალოვნებმა, თურმე, ელექტროშოკი გამოიყენეს.

მღებრიშვილის გარდა, **"მიუღებელი და გასაძევებელი"** სახალხო დამცველი ნანა დევდარიანიც აღმოჩნდა, რომელიც, **"რასაკვირველია, მხოლოდ დროებითაა ამ მისთვის შეუფერებელ თანამდებობაზე".** ნანა დევდარიანს "ბრალი ედება" საკუთარი მოვალეობების შეუსრულებლობაში. **"სახალხო დამცველს მომიტინგეთა დარბევის ფაქტზე მცირე განცხადება მაინც უნდა გაეკეთებინა",** - სწყინს არჩვაძეს. ხოლო ის ოფისი კი, სადაც ამჟამად **"დევდარიანის ქალი მოღვაწეობს,"** ქალბატონი მანანას წინასწარმეტყველებით, მალე მისი და მის მომხრეთა კუთვნილება გახდება, რადგან ადრე ამ შენობაში "მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველოს" შტაბი იყო.

ამ წინასწარმეტყველების განხორციელებას ექს-პრეზიდენტის ქვრივი გუშინვე შეუდგა. პრესკონფერენციის შემდეგ არჩვაძემ მიტინგის მოსაწყობად უფრო კომფორტული გარემო შეირჩია და თავის ამალას შენობაში დარჩენა უბრძანა. თავად სახალხო დამცველი გუშინ ოფისში საერთოდ არ იმყოფებოდა.

*"24 საათი"*

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# „ჟორჟოლიანის" — „ჭორბენაძე შევარდნაძის წინააღმდეგ შეთქმულებას აწყობდა" - ამტკიცებენ „ახლები"

პირველი გვერდიდან

გაიმართა და მასზე სწორედ შევარდნაძის გადაყენების გეგმა მზადდებოდა.

გუშინ "ახალმა მემარჯვენეებმა" მხოლოდ იმ მაღალჩინოსანთა გვარები გააჟღერეს, რომელთა შესახებ დანამდვილებით იცოდნენ, რომ ისინი ესწრებოდნენ ამ შეხვედრას. "ახლების" განცხადებით, კობა ნარჩემაშვილისა და ვიტალი ხაზარაძის ინიციატივით გამართულ საიდუმლო სერობაში მონაწილეობას იღებდა ეკონომიკის მინისტრი გიორგი გაჩეჩილაძეც. მათი თქმით, შეთქმულთა თავყრილობას არ დასწრებია თავდაცვის მინისტრი, რადგან მისი ჩანაცვლება ირაკლი ბათიაშვილით "უკვე გადაწყვეტილი საქმე იყო"; "შეთქმულებაში" ასევე არ მონაწილეობდნენ გენერალური პროკურორი (**"რადგან, პარლამენტის თავმჯდომარის ოჯახთან მეგობრობის გამო, მას ვერ აკონტროლებენ")**, საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავკაცი ვალერი ჩხეიძე და დაზვერვის სამსახურის შეფი ავთანდილ იოსელიანი. რაც შეეხება სხვა ძალოვანი უწყებების პირველ პირებს, ამის თაობაზე "ახლები" ჯერჯერობით დუმან. თუმცა, ლევან გაჩეჩილაძე ერთ საინტერესო მინიშნებას მაინც აკეთებს: მისი თქმით, სახელმწიფო ბიუჯეტში მხოლოდ იმ ორგანიზაციათა დაფინანსება არ არის გაზრდილი, რომლის თავკაცებიც ამ თავყრილობას არ დასწრებიან. **"გამონაკლისი თავდაცვის სამინისტროა, ყველა სხვა ძალოვანი უწყების დაფინანსება კი გაზრდილია,"** - ამბობს ლევან გაჩეჩილაძე.

რაც შეეხება გადატრიალების სცენარს: "ახლების" მტკიცებით, "ხავერდოვანი რევოლუციისთვის" მზადება კარგა ხანია, რაც დაწყებულია და ამისთვის ნიადაგი უკვე მომზადებული იყო: **"ახალ მემარჯვენეთა" ოფისზე თავდასხმამდე რამდენიმე დღით ადრე იწმინდება პარლამენტის მიმდებარე ტერიტორია ექს-პრეზიდენტის მხარდამჭერებისაგან. ამის პარალელურად, პარლამენტში იქმნება თემატური უმრავლესობა, სახელმწიფო კანცელარიაში მუშავდება დრაკონული საარჩევნო კანონი და ასევე - საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტი, რომლის მთავარ მიზანს სახელმწიფო მინისტრისათვის უფლებების გაზრდა წარმოადგენს. სწორედ ამ დროს ხდება თავდასხმა პარტიის ოფისსა და დავით გამყრელიძეზე. პროვოცირების მიზანია საზოგადოებაში სერიოზული მღელვარების გამოწვევა. თუკი ეს გეგმა განხორციელდებოდა, ნომერ პირველი მოთხოვნა შევარდნაძის გადადგომა იქნებოდა. ისინი მოიცილებდნენ შევარდნაძეს ან, თუ ვერ მოიცილებდნენ, მას საკმაოდ დაასუსტებდნენ, ხოლო ძალადობითა და დრაკონული საარჩევნო კანონით ხელისუფლებაში მოვიდოდნენ ურეიტინგო, უპარტიო ადამიანები. სწორედ ამ სცენარის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო ჩვენი პარტიის დარბევა",** - აცხადებს ლევან გაჩეჩილაძე.



ფიქრია ჩიხრაძე და ირაკლი იაშვილი.

პარტიის ერთ-ერთი ლიდერის, ფიქრია ჩიხრაძის თქმით, **"დაგეგმილი ოპერაციის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, ქვეყნის პირველი პირი უნდა გამხდარიყო დღევანდელი სახელმწიფო მინისტრი, საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელების შემდეგ სახელმწიფო მინისტრი ხდებოდა კობა ნარჩემაშვილი. რაც შეეხება პარლამენტის მომავალ თავმჯდომარეს, იგი, სავარაუდოდ, ვიტალი ხაზარაძე უნდა ყოფილიყო, თუმცა ამ პოსტისათვის ბრძოლას ვახტანგ რჩეულიშვილიც აპირებდა."** ფიქრია ჩიხრაძე აცხადებს, რომ ამ სქემით ირაკლი ბათიაშვილი თავდაცვის მინისტრად მოიაზრებოდა. **"ირაკლი ბათიაშვილი მე ერთი თვის წინ გავაფრთხილე, რომ ძალიან ცუდ თამაშში ითრევდნენ",** - აცხადებს ფიქრია ჩიხრაძე.

"ახლები" კატეგორიულად ითხოვენ, რომ გენერალურმა პროკურატურამ გამოიძიოს და სათანადოდ შეაფასოს სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის ფაქტი.

რაც შეეხება პარტიის ოფისის დარბევას, "ახლები" ამტკიცებენ, რომ დაკავებული ადამიანი არ არის მათი პარტიის წევრი - მან ისიც კი არ იცის, თუ ვინ არის პარტიის თავმჯდომარე. **"ეს გაირკვა მისი და დავით გამყრელიძის დაპირისპირების შემდეგ. ხელისუფლება და სახელისუფლებო საინფორმაციო საშუალებები კი ყოველნაირად ცდილობენ, ძალადობის ეს ფაქტი შენიღბონ და ყველაფერი შიდაპარტიულ დაპირისპირებას გადააბრალონ. გამოძიებამ უნდა დაასახელოს, რომელი ძალოვანი სტრუქტურა მონაწილეობდა ამ შეიარაღებულ ექსპედიციაში და ვის ინტერესებში შედიოდა, რომ მოვლენები ამგვარი სცენარით განვითარებულიყო",** - აცხადებენ პარტიის ლიდერები.

ჟურნალისტებთან შეხვედრას არ ესწრებოდა დავით გამყრელიძე, რომელიც სწორედ იმ დროს ამერიკის საელჩოში იმყოფებოდა. გუშინვე გავრცელდა საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს განცხადება.

**"საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო გამოხატავს შეშფოთებას 3 თებერვალს "ახალ მემარჯვენეთა" სათავო ოფისზე შეიარაღებული თავდასხმის გამო. აშშ-ს მთავრობა გმობს ნებისმიერი პოლიტიკური ჯგუფის ნებისმიერი სახით დაშინებას, რომელიც შეზღუდავს საქართველოს მოქალაქეთა დემოკრატიული არჩევანის უფლებას... ამერიკის შეერთებული შტატები მოუწოდებს საქართველოს მთავრობას, კანონის დაცვით გამოავლინოს და მართლმსაჯულებას დროულად წარუდგინოს ამ ინციდენტზე პასუხისმგებელი პირები",** - ნათქვამია განცხადებაში.

## საარჩევნო კანონმდებლობა - ქვეყნის გადარჩენის საშუალება

*გუშინ "ახალი მემარჯვენეების" ოფისში თერთმეტმა ოპოზიციურმა პარტიამ ხელი მოაწერა ერთობლივ დეკლარაციას, რომლის მიხედვითაც იქმნება "ერთიანი, ზეპარტიული მოძრაობა - "სამოქალაქო ინიციატივა თავისუფალი არჩევანისათვის".*

თამარ ასათიანი

საპარლამენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად, ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები სულ უფრო ხშირად გამოთქვამენ შეშფოთებას ხელისუფლების მხრიდან არჩევნების მოსალოდნელი გაყალბების ან, საერთოდ, ჩაშლის მცდელობის თაობაზე.

არჩევნების გაყალბების რეალურ საფუძველს ხელისუფლებას მოქმედი საარჩევნო კანონმდებლობა და, კონკრეტულად, საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტების არსებული წესი აძლევს. ამასთან, ქვეყანაში შექმნილი კრიმინოგენული ფონი ოპოზიციურ პარტიებს იმის მტკიცების უფლებას აძლევს, რომ არჩევნების პერიოდში პოლიტიკის კრიმინალიზება პიკს მიაღწევს, რაც არჩევნების შედეგებზე პირდაპირ აისახება.

**"მიმდინარე პოლიტიკური მომენტის შინაარსს დიდწილად განსაზღვრავს ის გარემოება, რომ არჩევნებამდე დარჩენილ დროში მმართველ რეჟიმს არ გააჩნია საზოგადოებისათვის მისაღები იმგვარი რეზერვი, რომელიც მას თავიდან აიცილებდა დემოკრატიულ არჩევნებში გარდაუვალი დამარცხების პერსპექტივას. ამდენად, ძალაუფლების შესანარჩუნებლად იგი უკვე ცდილობს და მომავალშიც შეეცდება, კიდევ ერთხელ გააყალბოს საარჩევნო პროცედურა და მისი შედეგები, ან ჩაშალოს არჩევნები და ღია ძალადობას მისცეს დროებითი, მაგრამ საგანგებო ვითარებით გამოწვეული აუცილებელი ღონისძიების კვალიფიკაცია... ხელისუფლება რეალურად ვერ აფასებს საკუთარ შესაძლებლობებს და ვერ აცნობიერებს, რომ ამგვარი ქმედების პასუხად, მისთვის უკვეთეს შემთხვევაში, მიიღებს რეალურ ორხელისუფლებიანობას... ამდენად, თავისუფალი, დემოკრატიული არჩევნებისთვის ბრძოლა ამ ეტაპზე სახელმწიფოს გადარჩენისთვის ბრძოლის ტოლფასია."** – ნათქვამია დეკლარაციაში.

გუშინდელ შეხვედრაზე ჩამოყალიბდა ოპოზიციურ პარტიათა ერთობლივი მოქმედების ძირითადი მიმართულებები: **"თავისუფალი, დემოკრატიული არჩევნების იდეისა და მნიშვნელობის პროპაგანდა, არჩევნების გაყალბების წინააღმდეგ ბრძოლა, დემოკრატიული საარჩევნო მექანიზმების სრულყოფა და მათი ამოქმედების უზრუნველყოფა, არჩევნების ჩაშლისა და ძალადობრივი ქმედებების ბლოკირება".**

გუშინდელ შეხვედრაზე პარტიათა წარმომადგენლებმა, ძირითადად, საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტების ახალ წესსზე იმსჯელეს. როგორც ირკვევა, ყველა პოლიტიკური ორგანიზაცია პარიტეტულ საწყისებზე დაკომპლექტებული პარტიული საარჩევნო ადმინისტრაციების შექმნის მომხრეა. მათი მტკიცებით, საარჩევნო კომისიები უნდა დააკომპლექტონ იმ პარტიების წარმომადგენლებმა, რომლებმაც ბოლო ორ არჩევნებში ოთხპროცენტიანი ბარიერი გადალახეს.

ეს საკანონმდებლო ინიციატივა პარლამენტში საგაზაფხულო სესიის დაწყებისთანავე შევა. თუმცა, საეჭვოა, რომ იგი თემატურმა უმრავლესობამ მოიწონოს, რადგან სახელმწიფო კანცელარიაში უკვე მომზადებულია სხვა კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც საარჩევნო ადმინისტრაციები ბოლო საპარალმენტო არჩევნებში შვიდპროცენტიანი ბარიერის გადამლახავი პარტიების წევრებმა უნდა დააკომპლექტონ.

და ბოლოს: საგულისხმოა, რომ გუშინდელ შეხვედრას არ დასწრებიან "მრეწველები". როგორც ამბობენ, მათ კოალიციაში გაერთიანებაზე უარი პარლამენტის თემატური უმრავლესობის ლიდერებთან ფარული კონსულტაციების შემდეგ თქვეს.

# შეთქმულება თუ აგონია

პირველი გვერდიდან

თუ შეთქმულების მონაწილეების ნუსხას აკლებს ვალერი ხაბურძანიას, რომელსაც **"ეს ძალები არ ენდობიან"** და ავთანდილ ჯორბენაძეს, **"რომელიც შევარდნაძის წინააღმდეგ წასვლას ვერ გაბედავდა, რადგან ძალიან არის დამოკიდებული პრეზიდენტზე".** სამშაბათს პარლამენტის თავმჯდომარემაც და "დემოკრატების" ლიდერმაც დაადასტურეს, რომ მსგავსი რამ მათაც სმენიათ. გუშინ კი "ახლებმა" ამ შეთქმულების მთელი სქემა დახაზეს.

მთავრობის გუშინდელ სხდომაზე კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ "ჭორად მონათლული" თემის წამოწევა და გარკვეული აქცენტების გაკეთება თავად საქართველოს პრეზიდენტმა ინება.

გუშინ მთავრობის სხდომას წინ უძღოდა პრეზიდენტის შეხვედრა ძალოვნებთან დახურულ კარს მიღმა. შეხვედრა პრეზიდენტის სართულზე გაიმართა და მას ოფიციალურად უშიშროების საბჭოს სხდომის ფორმა არ ჰქონია, თუმცა, ფაქტია, რომ ქუთაისიდან თბილისში გვიან ღამით ჩამობრუნებულმა ედუარდ შევარდნაძემ, ჟურნალისტებისთვის "გამჭვირვალე" მთავრობის სხდომამდე, ძალოვნებთან და უშიშროების საბჭოს სხვა რამდენიმე წევრთან გასაუბრება ინება. შეხვედრაზე, ოფიციალური ვერსიით, პანკისის თემასა და ჟურნალისტის ცემის ფაქტზე ისაუბრეს. არაოფიციალური ვერსია, ცხადია, "შეთქმულების" თემის განხილვაზე გვამცნობს. ამ შეხვედრის გამო მთავრობის სხდომა ნახევარი საათის დაგვიანებით დაიწყო.

ზემოთ მოხსენებული ფრაზა - **"პრეზიდენტის გადაყენების საკითხის ოჯახში განხილვის არარეკომენდირებულობის თაობაზე"** - პრეზიდენტმა მთავრობის სხდომის ძირითადი დღის წესრიგის დასრულების შემდეგ წარმოთქვა და აუღელვებლად მოისმინა შს მინისტრის კობა ნარჩემაშვილის ინფორმაცია "ახლების" ოფისის თანაპარტიელების მიერ დარბევის შესახებ, **"სადაც არავითარი ნიშანი, რომ ამ პროცესში ხელისუფლების წარმომადგენლებს ან სამთავრობო სტრუქტურებს მონაწილეობა აქვთ მიღებული, ამ ეტაპზე მოპოვებული არ არის".**

**"მე იმედი მაქვს, რომ ვერც მოიპოვებთ. ყოველ შემთხვევაში, მე არ ვიღებდი მონაწილეობას..."** - თქვა პრეზიდენტმა და ისევ ხმამაღლა და ისევ გულიანად გაიცინა.

პრეზიდენტის კომენტარს შინაგან საქმეთა მინისტრმა, რომელიც გუშინ ხაზგასმულად "პოლიტიკურად აქტიური" გახლდათ, განცხადება მოაყოლა იმის თაობაზე, რომ, **"როცა მოკვლევის სამთვიანი ვადა გავა და მასალები დაიდება, შეფასება უნდა მიეცეს იმ განცხადებებს, რომელიც პრეზიდენტისა და კონკრეტულად ჩემი მისამართით იყო გაკეთებული."**

"ახლების" დარბევის თემაზე საუბრისას ედუარდ შევარდნაძე ლოგიკურად გადავიდა" "ჭორებზე" და ამ **"ჭორების გავრცელების ხელის შემწყობების"** შესახებ გამოძიების ჩატარება გენერალურ პროკურორს დაავალა.

შევარდნაძის ამ განცხადებას სახელმწიფო მინისტრის ხმადაბალი რეპლიკა მოჰყვა: **"საზოგადოება არ ენდობა ძალოვან სტრუქტურებს. საზოგადოებრივი კომისია შეიქმნას, რომელიც ამ საკითხს შეისწავლის და ყველა კითხვას პასუხს გასცემს..."** - წამოაყენა ინიციატივა ავთანდილ ჯორბენაძემ, რომელმაც აშკარად მხედველობის მიღმა დატოვა ის ფაქტი, რომ ძალოვანი სტრუქტურებისადმი ნდობის არარსებობის შესახებ საუბარი მთავრობის წევრებს ედუარდ შევარდნაძის ეპოქაში კარგ ტონად არ ეთვლებათ.

**"გამოძიების ჩატარება მაინც საჭიროა, ავთო! გამოვიკვლიოთ, რა ხდება, სადამდე შეიძლება ქვეყანა ყურით მოთრეული ამბებით ცხოვრობდეს!"** - საკუთარი პოზიცია მკაცრად დააფიქსირა პრეზიდენტმა.

ტრიბუნასთან მდგომმა კობა ნარჩემაშვილმა კი აუცილებლად ჩათვალა, გარკვეული მინიშნებები გაეკეთებინა და განაცხადა, რომ, როცა ქვეყნის მაღალი თანამდებობის პირები ავრცელებენ ასეთ ინფორმაციას, მათ ან უნდა დაადასტურონ იგი, ან პასუხი უნდა აგონ.

პრეზიდენტმა ამ საკითხის დამატებით გავრცობისაგან თავი შეიკავა, თუმცა თქვა, რომ, თუ საჭირო გახდა, იგი თავადაც მისცემს ჩვენებას, თუმცა - ინფორმაციას ამ საკითხის შესახებ არ ფლობს.

სხდომიდან გამოსულმა შს მინისტრმა კობა ნარჩემაშვილმა ბევრი ისაუბრა იმაზე, რომ **"ძალიან ადვილი ყოფილა დამშვიდებით მოქმედება, როცა მართალი ხარ",** ისევ გააკეთა მინიშნებები **"ქვეყნის უმაღლეს პირთა უპასუხისმგებლო განცხადებებზე"** და ისიც თქვა, რომ თავდამსხმელებს **"თავდასხმა არ გამოუვიდათ"...**

გენერალურმა პროკურორმა განაცხადა, რომ ასეთ ინფორმაციას საერთოდ არ ფლობს.

უშიშროების მინისტრი ხუმრობის ხასიათზე დადგა და ჟურნალისტთა ცნობისმოყვარეობაზე "იხალისა".

მოკლედ, გუშინ, როგორც მოსალოდნელი იყო, არც ერთ საინტერესო კითხვას პასუხი არ გასცემია.

თავად ამ საკითხის გახმაურების ისტორია და მასზე გუშინდელი სახელისუფლებო რეაქცია წარმოშობს უამრავ ვერსიას, რომელსაც, საბოლოო ჯამში, მივყავართ ერთ საერთო დასკვნამდე - ხელისუფლება აგონიაშია. აგონიაში მყოფი ავადმყოფი კი ზოგჯერ "ბოდავს", ხშირად აკეთებს "უნებლიე მოძრაობებს," ანუ დგამს გაუაზრებელ ნაბიჯებს. მით უმეტეს, რომ კანონიერი, ანუ არჩევნების გზით ხელისუფლებაში მოსვლის გარანტია დისკრედიტირებულ ძალებს არ აქვთ. ამიტომ არ არის გამორიცხული, რომ მსგავსი შეკრებები მართლაც იმართება და ამ შეკრებებზე პოსტშევარდნაძისეული ეპოქის მოახლოებაზე, აქედან გამომდინარე საფრთხეზე და შესაბამის ტაქტიკაზე მსჯელობენ. მეორე მხრივ, არავისთვის სიახლე არ არის, რომ სახელისუფლებო ძალები მართლაც ცდილობენ ერთმანეთის დროულად "ჩაძირვას" და ამ გზაზე არაფერს, მათ შორის, "გადატრიალების დაგეგმვას" ან საჭირო ინფორმაციის მიწოდებას ოპოზიციისთვის, და თავისთავად, ჟურნალისტებისთვისაც, არ მოერიდებიან.

როგორც ყოველთვის, მთელი ამ თამაშიდან ყველაზე მეტს მოიგებს პრეზიდენტი, რომლის მიერაც პროკურატურისთვის გუშინ მიცემული დავალება საქმის გამოძიების შესახებ, ძალზე ჰგავს მორიგ ფარსს. იგი, სავარაუდოდ, გარკვეულ ძალათა ხელისუფლებიდან (საუბარია როგორც აღმასრულებელ, ისე საკანონმდებლო ხელისუფლებაზე) მოშორებას ისახავს მიზნად. ეს, შესაძლოა, მათი ბრალის დადასტურების გზით მოხდეს; შესაძლოა - პირიქით, ეს ისტორია გამოიყენონ ინფორმაციის გამხმოვანებელთა წინააღმდეგ, რისი ნიშნებიც გუშინ უკვე გამოჩნდა...

ასეა თუ ისე, დღეს შექმნილი სიტუაცია პრეზიდენტს მოქმედების ფართო ასპარეზს აძლევს. ახლა, შიდასახელისუფლებო სიტუაციის გარკვევის თვალსაზრისით, გადამწყვეტი ისაა, პრეზიდენტის გარემოცვიდან ვინ უფრო იმარჯვებს.

## მოქალაქეთა კავშირის სახით პრეზიდენტს ერთგული ქომაგი ჰყავს

სოფიკო ოხანაშვილი

**"ჩვენ არ ვაპირებთ თავად "ახალ მემარჯვენეებზე" თავდასხმის ფაქტზე საუბარს, რადგან ფაქტი თავისთავად ამაზრზენია, ამას მხარს ვერავინ დაუჭერს და გაამართლებს. საქმე ისაა, რომ როცა არ დაწყებულა გამოძიება, ხელთ არა აქვთ არც ერთი დამამტკიცებელი მასალა, გამოდიან და დაუსაბუთებლად ცალსახად აცხადებენ "დამნაშავის" ვინაობას, ანუ უცერემონიოდ ხელის გაშვერა პრეზიდენტისა და სახელმწიფო მინისტრისაკენ ყველანაირ ზნეობას ეწინააღმდეგება",** - ასე შეაფასა "ახალი მემარჯვენეების" საქციელი საქართველოს მოქალაქეთა კავშირის თბილისის ორგანიზაციისა და თბილისის ორგანიზაციის დარბაზის ერთობლივ პრესკონფერენციაზე სმკ-ს თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარემ ზეზვა ღულუნიშვილმა.

თბილისის ორგანიზაციის დარბაზის თავმჯდომარის ზაზა ფირალიშვილის განცხადებით, მათთვის განსაკუთრებულად მიულებელია ის ხერხები, რომლითაც "ახალი მემარჯვენეების" ლიდერები და ოპოზიციის სხვა წარმომადგენლები ცდილობენ შიდაპარტიული კონფლიქტის გასაღებას ხელისუფლების მიერ მოწყობილ თავდასხმად. **"თვითონაც კარგად იციან, რომ საქართველოს პრეზიდენტი და სახელმწიფო მინისტრი ასეთი გულუბრყვილოები სულაც არ არიან, რომ "ახალი მემარჯვენეების" დარბევა განეზრახათ და ამით მათთვის მეტი პოპულარობა მოეტანათ",** - აღნიშნა ზაზა ფირალიშვილმა. მან ისიც დასძინა, რომ დროა საქართველოში შეიქმნას იმ ადამიანების სამაგალითოდ დასჯის პრეცედენტი, რომლებიც დაუსაბუთებლად დაადანაშაულებენ ქვეყნის სიმბოლოს - პრეზიდენტს.

სმკ-ელებმა "ახალი მემარჯვენეებისგან" უფრო მეტი კონკრეტულობა და მეტი პატივისცემა მოითხოვეს, რადგან, ღულუნიშვილის განცხადებით, ყველა უმისამართოდ წარმოთქმული ბრალდება პრეზიდენტისკენ მიმართული მინიშნებაა. **"კეთილი ინებონ და როცა ვინმეს ადანაშაულებენ, კონკრეტული ადრესატიც დაასახელონ; თორემ ისე გამოდის, რომ ყველაფერში პრეზიდენტია დამნაშავე. ქვეყნის სიმბოლოს ასეთი შეურაცხყოფა კი უკვე ყველანაირ ზღვარს გადადის",** - აღშფოთება ვერ დამალა სმკ-ს თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარემ.




# აფხაზეთის პრივატიზება მხოლოდ რუსული რუბლით

პირველი გვერდიდან

წლების განმავლობაში აფხაზეთის ტერიტორიაზე ამერიკული დოლარის მიმოქცევა სეპარატისტული პარლამენტის მიერ კანონში "ეროვნული ბანკის შესახებ" ყოველწლიურად შესაბამისი დამატების შეტანით რეგულირდებოდა. თუმცა, ამერიკული ვალუტა, რუსულთან ერთად, ოფიციალურ საგადამხდელო საშუალებად იყო აღიარებული. მნიშვნელოვანია, რომ უკანსკნელი ცვლილება აფხაზურმა პარლამენტმა, ტრადიციულად, დამატების სახით კი არ მიიღო, უშუალოდ კანონში შეიტანა. საყურადღებოა მეორე ცვლილებაც, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ობიექტების პრივატიზებას ეხება. სეპარატისტთა პარლამენტის სპიკერის ნუგზარ აშუბას განცხადებით, კანონში "პრივატიზების შესახებ", რომელიც უშუალოდ ომის შემდეგ მიიღეს, ცვლილებების შეტანის აუცილებლობა, კარგა ხანია, არსებობდა. მისი განმარტებით: **"ძველი კანონი მოძველდა, რის გამოც აფხაზეთის ქონების დიდ ნაწილს აფხაზეთისთვის სარგებლობა არ მოაქვს, არადა, ამ ქონების შეძენის ინტერესი დიდია".**

აღნიშნული ცვლილებების განხორციელებას, საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელი რომან გოცირიძე აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების მიერ რუსეთის დავალების შესრულებად მიიჩნევს. მისი აზრით, აფხაზეთში დოლარის მიმოქცევის აკრძალვას ორი უმთავრესი მიზანი ჰქონდა. მათ შორის უმთავრესი რუსეთისა და აფხაზეთის ფინანსური სისტემების დაახლოების მცდელობაა. გოცირიძის თქმით, სავარაუდოა აგრეთვე, რომ ეს ცვლილება აფხაზეთის მიერ სავაჭრო ურთიერთობების მოსალოდნელ გაფართოებას უკავშირდებოდეს. კერძოდ კი, დოლარის გადახურდავების იძულებით, სეპარატისტულ ხელისუფლებას სურს, მოსახლეობაში არსებული დოლარის მასას თავად მოუყაროს თავი, რაც საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების გააქტიურებაში დაეხმარება. თუმცა, აფხაზეთის ეკონომიკის მასშტაბის გათვალისწინებით (ბიუჯეტი რვა მილიონს, ხოლო ბანკების აქტივების საერთო მოცულობა სამ მილიონ დოლარს არ აღემატება), გოცირიძე ამ ცვლილებებს უფრო პოლიტიკურ ჭრილში განიხილავს.

ამავე აზრს იზიარებს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე იოსებ არჩვაძეც. მისი განცხადებით, აფხაზეთის ტერიტორიაზე დოლარი ისედაც მეტად უმნიშვნელო მოცულობით მიმოიქცევა და ამიტომ მისთვის ოფიციალური საგადამხდელო საშუალების ფუნქციის ჩამოშორებას განსაკუთრებული ეკონომიკური მნიშვნელობა არ აქვს. რაც შეეხება პრივატიზების კანონში შეტანილ ცვლილებებს, არჩვაძე მათ რუსული კაპიტალისთვის აფხაზეთის გახსნის ტოლფასად მიიჩნევს. **"ამ გზით რუსეთი, უბრალოდ, პრევენტულ ზომებს იღებს. მას სურს, აფხაზეთში მისი ინტერესები არა მხოლოდ პოლიტიკურად, კერძო კაპიტალითაც იყოს დაცული,"** – აცხადებს არჩვაძე. მისი თქმით, აფხაზეთი კომუნიკაციების, სამრეწველო სიმძლავრეების, საკურორტო ინდუსტრიისა და სოხუმის პორტის წყალობით მართლაც "თავისუფლად" შესძლებს ინვესტორების – რუსული კომპანიების "მოზიდვას", რაც ორივე მხარის ინტერესებში შედის. რომან გოცირიძის განცხადებით კი, აფხაზეთში დაბანდებული რუსული კაპიტალი რუსეთის ხელში დამატებითი იარაღი იქნება აფხაზეთის პრობლემის მოგვარების პროცესში და მას ქართული მხარისთვის ახალი პირობების წაყენების საშუალებას მისცემს.

# საკრებულო მიწის უკანონოდ მყიდველ-გამყიდვლებს ამხელს



ბესო ჯუღელი.

სოფიკო ოხანაშვილი

თბილისის საკრებულოს ანტიკორუფციული კომისია მიმდინარე კვირის ბოლოს გამოაქვეყნებს 2000-2002 წლებში დედაქალაქში უკანონოდ და იაფად გაყიდული არასამეურნეო მიწის ნაკვეთების, მათი მყიდველებისა და გამსხვისებლების შესახებ ინფორმაციას. ამ სამი წლის განმავლობაში დედაქალაქში გაიყიდა 917 ათასი კვადრატული მეტრი მიწა, რომელიც, საკრებულოს მონაცემებით, 1220 ადამიანმა შეიძინა. ანტიკორუფციული კომისიის თავმჯდომარემ ბესო ჯუღელმა თავი შეიკავა კონკრეტული გვარების დასახელებისგან და განაცხადა, რომ საზოგადოებისთვის ეს ინფორმაცია ცნობილი გახდება მაშინ, როცა კომისია სიის საბოლოო ვარიანტს მოამზადებს. კომისიის თავმჯდომარის განცხადებით, ჯერ დაზუსტებულია მხოლოდ ორასი "მფლობელის" ვინაობა. მისივე ცნობით, საკრებულოსთვის ცნობილია არასამეურნეო მიწის ნაკვეთების გამსხვისებელთა ვინაობაც (17 ადამიანი), მაგრამ კომისიის თავმჯდომარემ მათი დასახელებისგანაც შეიკავა თავი. ბესო ჯუღელმა მხოლოდ ის აღნიშნა, რომ **"მიწების უკანონოდ გაყიდვაში დამნაშავეა ქალაქის მერიაში შექმნილი კომისია, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ ქალაქის მუნიციპალიტეტისა და არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენლები".**

# "პროგრესს" „თი-ბი-სი ბანკისთვის„ არ მიუმართავს

ჩვენს ერთ-ერთ პუბლიკაციაში - "ქართულ წარმოებას დამბლა დაეცა", რომელიც გაჩერებული საწარმოების პრობლემას ეხებოდა, შპს "პროგრესის" დირექტორმა შოთა დგებუაძემ "თი-ბი-სი ბანკი" სესხის გაცემისათვის პროცენტის მოთხოვნაში დაადანაშაულა. ჩვენ ვენდეთ "პროგრესის" დირექტორის განცხადებას. მაგრამ გაირკვა, რომ, "თი-ბი-სი ბანკი" არაფერ შუაშია. შოთა დგებუაძეს "თი-ბი-სი ბანკისათვის" საერთოდ არ მიუმართავს.

დგებუაძის განცხადებით. 1997 წელს საქართველოს მოქალაქეთა კავშირის მიერ გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულ შპს "პროგრესს", თითქოს გადაეცა სიგელი და საშუამავლო წერილი "თი-ბი-სი ბანკიდან" კრედიტის მისაღებად. სმკ-ს მაშინდელი გენერალური მდივნის მიხეილ მაჭავარიანის განცხადებით, კონკურსი არანაირ ფინანსურ დახმარებას არ ითვალისწინებდა და მხოლოდ წინასაარჩევნო კამპანიისათვის იყო საჭირო.

# თბილისის საგადასახადოებს პასუხს მოსთხოვენ

*დედაქალაქის იანვრის ბიუჯეტი ორი მილიონი ლარით გაირღვა. "ქალაქის საოლქო საგადასახადო დეპარტამენტები ბაზრობებიდან, სათამაშო ბიზნესიდან, რესტორნებიდან ამოღებულ თანხებს მალავენ, რაც, ქალაქის ბიუჯეტს აკლდება," – აი, ის ძირითადი პრეტენზიები, რომელსაც საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია დღეს გამართულ საგანგებო სხდომაზე მოწვეულ სტუმრებს - ფინანსთა მინისტრის მოადგილეს ლევან ჩრდილელს, საგადასახადო დეპარტამენტის უფროსს იასე ზაუტაშვილსა და თბილისის საოლქო საგადასახადოს უფროსებს წაუყენებს.*

სოფიკო ოხანაშვილი

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის კობა ბექაურის ინფორმაციით, თბილისის გასული თვის ბიუჯეტი, რომელიც 13,8 მილიონი ლარით იყო დაგეგმილი, დანაკლისით – 11 მილიონ 191 ათასი ლარით შესრულდა. ბექაური ამაში საოლქო საგადასახადო დეპარტამენტებს ადანაშაულებს და მათგან კვარტალურ გეგმაში არა მარტო იანვრის თვის დანაკლისის (ორ მილიონი ლარის), არამედ რეზერვების გათვალისწინებასაც მოითხოვს. **"დამნაშავე საგადასახადოა, მას უნდა შემოეტანა ეს თანხა. ჩვენ ძალიან მკაცრად მოვთხოვთ პასუხს, რათა ფული, რომელიც ქალაქს დააკლდა, საგადასახადომ კვარტლის გეგმაში შეგვივსოს",** - განაცხადა კომისიის თავმჯდომარემ. მკაცრი მოთხოვნების გარდა, საკრებულო ყოველთვიურად საოლქო საგადასახადო დეპარტამენტების მუშაობასაც გააკონტროლებს. **"თუ მომავალშიც არ შეასრულებენ მოვალეობას და გაარღვევენ ბიუჯეტს, ჩვენ მკაცრად დავაყენებთ ხუთივე რაიონის საოლქო საგადასახადო ინსპექციის უფროსების პასუხისმგებლობას და ქალაქის საგადასახადო ინსპექციის შექმნასაც მოვითხოვთ",** - განაცხადა ბექაურმა. მისი თქმით, კვლავ დღის წესრიგშია ქალაქის საგადასახადო სისტემის საკრებულოსთვის დაქვემდებარების საკითხი. დღეს გამართულ სხდომაზე ამ საკითხსაც განიხილავენ. **"ქალაქის საგადასახადო სისტემის საკრებულოსთვის დაქვემდებარება იმიტომაა მნიშვნელოვანი, რომ ამით კონტროლის მექანიზმი გვექნება",** - განმარტა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ.

# „რუსთავცემენტი" ნავთობსადენის მშენებლობას უმიზნებს

სოფიკო ოხანაშვილი

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და სამხრეთკავკასიის გაზსადენის მშენებლობისთვის ქარხნებიც ემზადებიან. "რუსთავცემენტის" გენერალური დირექტორის გიორგი სალაყაიას თქმით, აღნიშნული პროექტების განსახორციელებლად გამოცხადებულია ტენდერი სამშენებლო მასალების მიწოდებაზე, რომელშიც სხვა კომპანიებთან ერთად "რუსთავცემენტიც" იღებს მონაწილეობას. ჯერ დადგენილი არ არის ტენდერის შედეგების გამოცხადების ზუსტი თარიღი. თუმცა, სალაყაიას ვარაუდით, გამარჯვებულის ვინაობა თვენახევრის ფარგლებში გამოვლინდება. **"დიდი იმედი გვაქვს, რომ გავიმარჯვებთ",** - განაცხადა "რუსთავცემენტის" გენერალურმა დირექტორმა. გიორგი სალაყაიას ცნობით, "რუსთავცემენტის" კონკურენტები არიან "კასპიცემენტი" და, არაოფიციალური ინფორმაციით, რუსული ქარხნებიც. **"ეს, ჯერჯერობით, მხოლოდ ჭორის დონეზეა ჩვენთვის ცნობილი",** - აღნიშნა "რუსთავცემენტის" გენერალურმა დირექტორმა.

გიორგი სალაყაიამ უარყო "რუსთავცემენტისა" და "კასპიცემენტის" კომპანია "საქცემენტში" გაერთიანების ვერსია. **"არავითარ შემთხვევაში არ მოხდება გაერთიანება. უბრალოდ, კომპანია ორივე ქარხანასთან ბაზრის სტაბილიზაციისთვის იმუშავებს. "საქცემენტის" მთავარ ფუნქციას ქარხნების ძირითადი ნედლეულით მომარაგება და წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია წარმოადგენს",** - განმარტა "რუსთავცემენტისა" და ახლა უკვე "საქცემენტის" გენერალურმა დირექტორმა გიორგი სალაყაიამ. მისივე თქმით, ახალი კომპანია სამშენებლო მასალის დამამზადებელ ქარხნებთან საკონტრაქტო პირობებით იმუშავებს.

## მოკლედ

**თბილისი.** AES-მტკვრის მეცხრე ენერგობლოკს გაჩერება აღარ ემუქრება. როგორც ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის პრესცენტრში განაცხადეს, ბლოკის მუშაობისთვის საჭირო ბუნებრივი აირის შესასყიდად ბაზარმა 300 ათასი ლარი გუშინ გადარიცხა. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** "ეი-ი-ეს თელასი" მონაწილეობას არ მიიღებს სემეკ-ის მიერ დაგეგმილ საჯარო განხილვებში, რომლებსაც თბილისში მოქმედი ელექტროენერგიის ტარიფის გადასინჯვის მიზნით აწყობს. "ეი-ი-ესი" მიიჩნევს, რომ 2002 წლის 30 დეკემბერს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ მიუღია ტარიფში "ეი-ი-ეს"-ის წილის შემცირების შესახებ. **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ხელისუფლება აპირებს გადაწყვეტილების მიღებას სუფსის პორტში შემსვლელი გემებიდან მოსაკრებლის აღებასთან დაკავშირებით, რაც ნავთობტერმინალს საკუთარი ხარჯების დაფარვის შესაძლებლობას მისცემს. თუმცა, ეს გადაწყვეტილება დასავლეთელი პარტნიორების პროტესტს იწვევს. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტის ვალერი არშბას ინფორმაციით, ქართულ-აფხაზურ კონფლიქტამდე მოქმედი აფხაზეთის სანიტარულ-საკურორტო მეურნეობის პოტენციალის დაახლოებით 80 პროცენტი უკვე აღდგენილია. მისი თქმით, აფხაზეთის საკურორტო და ტურისტულ სფეროში რუსული კაპიტალი აქტიურადაა ჩართული. **"გარდა ამისა, ერთობლივი საწარმოები იქმნება ესპანეთთან, თურქეთთან და სხვა ქვეყნებთან. თუმცა, ყველაზე მეტ დაინტერესებას რუსეთი იჩენს,"** - აღნიშნა ვალერი არშბამ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**ვაშინგტონი.** აშშ-ის ყოველწლიური ფინანსური დახმარება დსთ-ს ქვეყნებისადმი, მათ შორის - აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთისადმი, 2004 წელს შეიძლება შემცირდეს. პრეზიდენტის ადმინისტრაციის კონგრესისადმი მიმართვში დახმარება საქართველოს შეუმცირდება 14 პროცენტით, აზერბაიჯანს - 10 პროცენტით, სომხეთს - 30 პროცენტით. 2004 წელს, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისათვის დაფინანსების შემცირების მიუხედავად, საქართველო რეგიონში ამერიკული დახმარების ყველაზე მსხვილ მიმღებად რჩება. სომხეთი 2004 წელს აშშ-ს ადმინისტრაციისაგან სულ 49,5 მილიონ დოლარს მიიღებს, წელს გამოყოფილი 80 მილიონის ნაცვლად. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**ერევანი.** სომხეთის ენერგეტიკის მინისტრის არმენ მოვსესიანის განცხადებით, ევროკავშირის მოთხოვნა, რომ დაიხუროს სომხეთის ატომური ელექტროსადგური, უახლოეს ერთ-ორ წელიწადში არ შეიძლება შესრულდეს. ევროკავშირი დაჟინებით მოითხოვს, რომ 2004 წლისათვის სომხეთის ატომური ელექტროსადგური ექსპლუატაციაში აღარ იყოს. ამისათვის ევროკავშირი მზადაა, სომხეთს გამოუყოს 100 მილიონი ევროს ოდენობის გრანტი. **კავკას-პრესი.**


## შესყიდვების სპეციალისტი

კომპანია "ბი-პი"-ს მილსადენის ექსპლოატაციის და მშენებლობის პროექტების მიზნებისათვის და "ბი-პი"-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს "IRA" კონკურსზე იწვევს სათანადოდ კვალიფიცირებულ პირებს შესყიდვების სპეციალისტის თანამდებობის დასაკავებლად. შესყიდვების სპეციალისტი წარმოადგენს საქართველოში "ბი-პი"-ს მილსადენების პროექტების კონტრაქტორ მესამე მხარეს, რომელიც იმუშავებს "ბი-პი"-ს ხელმძღვანელობის ქვეშ.

**სამუშაოს აღწერა:**

შესყიდვების სპეციალისტის პასუხისმგებლობის სფეროში შედის საქონლისა და მასალების შესყიდვის კონტრაქტების გაფორმება, ხოლო ძირითად მოვალეობას შეადგენს შესყიდვების ზოგადი ადმინისტრირება. შესყიდვების სპეციალისტს მოეთხოვება უზრუნველყოს, რომ კომპანია "ბიტ-პი"-ს სახელით განხორციელებული შესყიდვები შესრულდეს ეთიკური ნორმების სრული დაცვით, ჯანსაღი ბიზნეს-პრაქტიკის გამოყენებით, ხარისხის, საერთო ღირებულების, მოწოდების პირობების, საიმედოობის, უსაფრთხოების ტექნიკისა და გარემოს დაცვის, აგრეთვე შესაბამისი წესებისა და ნორმების მოთხოვნების შესრულების პირობებში, რომელიც ჩამოყალიბებულია "ბი-პი"-ს ბროშურაში - "ჩვენი პრინციპები" ("What We Stand For").

**მოვალეობები და პასუხისმგებლობები:**

შესყიდვებთან დაკავშირებული კონკრეტული მოვალეობები მოიცავს შემდეგს:
მოთხოვნების დამუშავება მარაგების რეგულარული, არასასწრაფო შესყიდვის თაობაზე. კონკრეტულ ფუნქციებში შედის:
საერთაშორისო და ადგილობრივი მომწოდებლების მოძებნა, სატენდერო სიის შედგენა (საჭიროების შემთხვევაში) და ფასიანი წინადადებების მოთხოვნის გამოქვეყნება;
ფასიანი წინადადებების მიღება და შეფასება, კონტრაქტის გაფორმების რეკომენდაციის გაცემა;
ძირითადი "მიწოდების შეკვეთების" მომზადება;
შეკვეთის გაფორმების შემდგომი მენეჯმენტი, მათ შორის, ტექნიკური და კომერციული საკითხების გადაწყვეტის ოპერატიული კოორდინირება;
"მიწოდების შეკვეთების" და მასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტების სათანადო აღრიცხვიანობის წარმოება.
კონტრაქტების გაფორმების ნაწილში კონკრეტული მოვალეობები მოიცავს შემდეგს:
"მომსახურების შეკვეთის" მომზადება რეგულარულ, არასასწრაფო მომსახურებაზე;
ჩარჩო-ხელშეკრულებების მომზადება;
სხვა ძირითადი კონტრაქტების მომზადება;
კონტრაქტის გაფორმების შემდგომი ადმინისტრირება;
კონტრაქტების და მასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტების სათანადო აღრიცხვიანობის წარმოება.
პასუხისმგებლობათა სფეროში შედის ისეთი საკითხების უზრუნველყოფა, როგორიცაა:
დამკვეთის მოთხოვნების და გრაფიკების დაცვა;
პროფესიული და ეთიკური ბიზნეს-პრაქტიკის წესების მუდმივად დაცვა;
დამოწმების და შესაბამისი სახელმძღვანელოებით დაწესებული კონტროლის სხვა მექანიზმების შესრულება;
ხარისხის, საერთო ღირებულების, მოწოდების პირობების, საიმედოობის, უსაფრთხოების ტექნიკის და საქართველოს სხვა შესაბამისი კანონმდებლობის და ნორმატივების სათანადოდ დაცვა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში;
შემკვეთის ინიციატორის ინფორმირება შეკვეთასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ;
საჭიროების შემთხვევაში, უფრო გამოცდილი კოლეგებისაგან კონსულტაციის მიღება.

**გამოცდილება და განათლება:**

კანდიდატს უნდა გააჩნდეს უმაღლესი განათლების დიპლომი. აუცილებელია კონტრაქტების და შესყიდვების სპეციალობით მუშაობის მინიმუმ 2 წლის სტაჟი. უაღრესად სასურველია ინგლისურად ზეპირმეტყველების და გამართული წერითი მეტყველების უნარი. სასურველია რუსული ენის თავისუფლად ფლობის უნარი. ადამიანებზე ზემოქმედების დადებითი უნარის ფლობა აუცილებელია. უპირატესობა ენიჭება დასავლურ ორგანიზაციაში მუშაობის გამოცდილებას. კანდიდატს მოეთხოვება დატვირთული სამუშაოსთვის თავის გართმევის უნარი - სამუშაოს ხარისხის, სიზუსტის და დროის ჩარჩოების დაცვის პირობებში.
აუცილებელია კომპიუტერული პროგრამების - Microsoft Word და Excel - სრულყოფილი ფლობა და კომპიუტერთან მუშაობის ჩირითადი უნარ-ჩვევები.
კანდიდატისთვის საჭირო ტექნიკური უნარ-ჩვევები, ზოგადად, მდგომარეობს შემდეგში:
შესყიდვების ძირითადი წესების გამართული ცოდნა სამუშაო დონეზე;
ამ ცოდნის გამოყენებით, რეგულარულ შეკვეთებთან დაკავშირებული შესყიდვების დოკუმენტების მომზადება და გამოცემა;
შეკვეთების დოკუმენტების ეფექტური განკარგვა და შეკვეთის შემდგომი ოპერაციების შესრულება, მინიმალური ზედამხედველობის პირობებში.

**განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების საბოლოო ვადა 2003 წლის 12 თებერვალი, ოთხშაბათი, 18 საათი.
კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.
ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.

**კადრების განყოფილება**
**"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია"**
**"ბი-პი საქართველო"**
**საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა N38**



## ექსპლოატაციის ტექნიკოსი

კომპანია "ბი-პი ექსპლორეიშენ (კასპიან სი) ლიმიტედ" (საქართველო) BP Exploration (Caspian Sea) LTD. Georgia) აცხადებს კონკურსს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის ექსპლოატაციის ნაწილში ექსპლოატაციის ტექნიკოსის ვაკანსიის დასაკავებლად.

**მოვალეობები და პასუხისმგებლობები:**

შერჩეული კანდიდატები გაივლიან ოფიციალურ სწავლებას, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის სრულ ამოქმედებამდე, და ორიენტაციის პროგრამის გავლის შემდეგ ჩაირიცხებიან მილსადენის ექსპლოატაციის და ტექმომსახურების ჯგუფში, რომელიც უზრუნველყოფს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის და მისი ობიექტების გამართულ მუშაობას და მექანიკურ მთლიანობას.

**ზოგადი მოვალეობები და პასუხისმგებლობები მდგომარეობს შემდეგში (არ შემოიფარგლება რა ამით):**

- საექსპლოატაციო ტექმომსახურების პროცედურების ცოდნის დემონსტრირება;
- მილსადენის ტექმომსახურების ყველა საჭირო პროცესის, პროცედურის და ვალდებულების სათანადოდ შესრულება;
- კომპანიის პოლიტიკის წესების დაცვა, ვალდებულებების და მენეჯმენტის სისტემის მოთხოვნების შესრულება;
- "ადამიანთა ჯანმრთელობის, უსაფრთხოების ტექნიკის და გარემოს დაცვის" (HSE) პრინციპებისადმი ერთგულების დემონსტრირება:
  - უსაფრთხო და ეფექტური კონტროლის განხორციელება სამუშაო ობიექტზე;
  - "მუშაობის ნებართვის" სისტემის და ობიექტის უსაფრთხოების ჟურნალის შევსების ყველა წესის შესრულება;
  - HSE-ს და "წარმოების" სფეროებში პროცედურების დაცვის უზრუნველყოფა.
- პროფილაქტიკური მიდგომა პრობლემების მოგვარებისადმი და საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებების მიღებისათვის მზადყოფნა;
- მზადყოფნა მოშორებული ადგილმდებარეობის მქონე ობიექტებზე მუშაობისათვის;
- აუცილებელია ადამიანებთან ურთიერთობის დადებითი უნარის გამოვლენა ობიექტზე მომუშავე პერსონალთან და მილსადენის საოპერაციო ჯგუფის წევრებთან ურთიერთობისას;
- აუცილებელია გუნდური მუშაობის კარგი უნარი;
- სხვადასხვა მოწყობილობის ტექნიკური მახასიათებლების ათვისების უნარის გამოვლენა;
- აქტიური მონაწილეობა მილსადენის / ობიექტების გამართული მუშაობის მართვის პროცესში;
- სამუშაოს დაგეგმვის და დროის განაწილების ჩამოყალიბებული უნარი.

**კონკრეტული მოვალეობები განისაზღვრება გამოსაცდელი პერიოდის გასვლის შემდეგ.**

**მუშაობის გამოცდილება და განათლება:**
**კანდიდატს უნდა გააჩნდეს:**

- შესაბამისი საუნივერსიტეტო განათლების დიპლომი ტექნიკური სპეციალობით (ინჟინერი);
- საწარმოო დაწესებულებებში, მაგ., ელექტრო, ხელსაწყოების, მექანიკურ საწარმოებში მუშაობის საკმარისი გამოცდილება;
- ინგლისურ ენაზე ზეპირი და წერითი მეტყველების უნარი და ენის უკეთ შესწავლის სურვილი;
- ავტომანქანის მართვის უფლება (მინიმუმ "B" კატეგორია);
- კომპიუტერთან მუშაობის უნარ-ჩვევები.

**განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 2003 წლის 14 თებერვალი, პარასკევი, 18 საათი.
კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.
ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.

**კადრების განყოფილება**
**"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია"**
**"ბი-პი საქართველო", საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა N38**

# სადამ ჰუსეინი ბრიტანეთის ტელეეთერში

ლევან ღირსიაშვილი

უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ერაყის პრეზიდენტმა სადამ ჰუსეინმა დასავლეთის ტელეკომპანიას პირველად მისცა ინტერვიუ. ერაყის ლიდერთან დიდი ბრიტანეთის პარლამენტის ქვედა პალატის ყოფილმა დეპუტატმა ტონი ბენმა ისაუბრა, რომელიც თავისი მემარცხენე შეხედულებებითა და პაციფისტური პოზიციებით არის ცნობილი. ტომი ბენი ერაყში ბრიტანელების იმ ჯგუფთან ერთად გაემგზავრა, რომლებსაც "ცოცხალი ფარის" შექმნა აქვთ გადაწყვეტილი ომის დაწყების შემთხვევაში.

ინტერვიუს ჩაწერა რამდენიმე დღის წინ მოხდა და იგი ლონდონის იმ "არაბული ტელევიზიისათვის" იყო განკუთვნილი, რომელსაც მუშაობა ჯერ არ დაუწყია. თუმცა, ინტერვიუ სადამ ჰუსეინთან გავიდა ლონდონის ტელევიზიის მეოთხე არხის ეთერში.

ერაყის პრეზიდენტმა ბრიტანელ პოლიტიკოსთან ინტერვიუში განაცხადა, რომ მის მთავრობას არავითარი კავშირი არ გააჩნია საერთაშორისო ტერორისტულ ქსელ "ალ ქაიდასთან." **"ჩვენ "ალ ქაიდასთან" კავშირი რომ გვქონდეს და რომ გვჯეროდეს ასეთი სახის ურთიერთობის, ამის აღიარების არ შეგვრცხვებოდა,"** - განაცხადა ჰუსეინმა. მან ასევე კატეგორიულად უარყო ვაშინგტონისა და ლონდონის ბრალდება, რომ, თითქოს, ერაყს მასობრივი განადგურების იარაღი გააჩნია. **"ერაყი არ ფლობს მასობრივი განადგურების იარაღს. ასეთი იარაღი წამლის აბები არ არის, რომ დამალო. იმის დადგენა, გვაქვს თუ არა ასეთი იარაღი, ძალიან ადვილია,"** - დასძინა ერაყის ლიდერმა.


ბუშის და ჰუსეინის ნიღბების გაყიდვა სარფიანი ბიზნესი გახდა.

მისი თქმით, ერაყი დასავლეთთან ომით არანაირად არ არის დაინტერესებული. **"ომის სურვილი ერაყის მთავრობის არც ერთ წარმომადგენელს და არც ერთ მოქალაქეს არ გამოუთქვამს,"-** აღნიშნა პრეზიდენტმა ჰუსეინმა. ის დარწმუნებულია, რომ მისი ოპონენტები ომის საბაბს ეძებენ. სადამ ჰუსეინმა ომის მთავარი მოტივიც დაასახელა. იგი დარწმუნებულია, რომ შეერთებულ შტატებს, რომელსაც "მსოფლიო ბატონობაზე" გააჩნია პრეტენზია, ერაყის ნავთობის ხელში ჩაგდება სურს, რაც აღნიშნული მიზნის განხორციელებას შეუწყობს ხელს. **"თუ გსურთ მსოფლიოს გაკონტროლება, თქვენ უნდა აკონტროლებდეთ ნავთობს, ამისთვის კი ერაყის გატეხვაა საჭირო,"** -განაცხადა სადამ ჰუსეინმა.

ომის პროვოცირებაში ჰუსეინმა განსაკუთრებით ისრაელი ("სიონისტური ერთეული") და ამერიკის გავლენიანი ებრაული დიასპორა დაადანაშაულა.

ბრიტანეთის მთავრობას, რომლის მტკიცებითაც ჰუსენი ქიმიურ და ბიოლოგიურ იარაღს ფლობს და "ალ ქაიდასთან" თანამშრომლობს, ჯერ ინტერვიუს შესახებ ოფიციალური კომენტარი არ გაუკეთებია. თუმცა მთავრობის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შეესაბამება თუ არა სადამ ჰუსეინთან ინტერვიუ ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტებს, მეოთხე არხის გადასაწყვეტია. ტელეკომპანიის წარმომადგენლებმა კი ამ ინტერვიუს გაშვების გადაწყვეტილება შემდეგი გარემოებით ახსნეს: **"ცხარე კამათის დროს - დაიწყოს თუ არა ომი, იმასაც უნდა მოვუსმინოთ, რომლის სახელიც დასავლეთში მცხოვრები ყველა ადამიანის მიერ ანათემას არის გადაცემული."**

რაც შეხება თავად ტონი ბენს, რომელმაც ეს ინტერვიუ ჩაწერა, განაცხადა, რომ ომის თავიდან აცილების შანსს ოპტიმისტურად უყურებს. მან უარყო ხმები იმის თაობზე, თითქოს ერაყმა მისი რეპუტაცია საკუთარი მიზნებისათვის გამოიყენა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ერაყში მგზავრობის და ცხოვრების საფასური თავად გადაიხადა. ტონი ბენი ასევე დარწმუნებულია, რომ ერაყის ნავთობი ომის დაწყების მთავარ მიზეზს წარმოადგენს. **"ერთი წუთითაც რომ ვფიქრობდე, საკითხი მართლაც მასობრივი განადგურების იარაღს შეეხება, მე სხვა პოზიციას დავიკავებდი,"-** განაცხადა მან.

თავად ის ფაქტი, რომ ლონდონის ტელეეთერით კაცობრიობის მტრად აღიარებული სადამ ჰუსეინის ინტერვიუ გადაიცა, აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ მსოფლიოში ანტისაომარი განწყობა კიდევ უფრო ძლიერდება. თუმცა საეჭვოა, რომ ამ განწყობამ ომის დაწყება შეაჩეროს.

# მუშარაფი მხარდაჭერას მოსკოვში ეძებს


ვლადიმირ პუტინი და ფერვეზ მუშარაფი.

გუშინ პაკისტანის პრეზიდენტი ფერვეზ მუშარაფი ოფიციალური ვიზიტით რუსეთის ფედერაციის დედაქალაქს ეწვია, სადაც ის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინს შეხვდა. ეს ვიზიტი ფართოდ გააშუქა გავლენიანმა ფრანგულმა გამოცემამ "ფიგარომ." აქ გამოქვეყნებულ სტატიაში ნათქვამია, რომ ფერვეზ მუშარაფი მოსკოვში მხარდაჭერის მოსაპოვებლად ჩავიდა.

აღსანიშნავია, რომ არც თუ ისე დიდი ხნის წინ მოსკოვსა და ისლამაბადს შორის აშკარად მტრული დამოკიდებულება სუფევდა. ამის დაფარვა რუსეთის დედაქალაქში გამგზავრების წინ არც პრეზიდენტ მუშარაფის უცდია. **"ვიმედოვნებ, რომ მოსკოვში ჩემი ვიზიტი ხელს შეუწყობს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების ახალი ერის დაწყებას, რაც ორივე სახელმწიფოს მოსახლეობის კეთილდღეობას შეუწყობს ხელს,"-** განაცხადა მუშარაფმა.

"ფიგაროს" მტკიცებით, მუშარაფის პირველი ვიზიტი მოსკოვში ისლამაბადის სტრატეგიული როლის გაუფასურებაზე მიუთითებს, რაც აშშ-ის მხარდაჭერის შესუსტებაში მდგომარეობს. პაკისტანი ამ ვაკუუმის შევსებას მოსკოვის დახმარებით ცდილობს. პარალელურად კი აქტიურდება რუსული დიპლომატია, რომელმაც აშშ-თან მიაღწია შეთანხმებას იმის თაობაზე, რომ რუსეთი დაკავდება იმ საქმეებით, რასაც ვაშინგტონი ამ ეტაპზე პრიორიტეტულად არ მიიჩნევს. "ფიგაროში" გამოქვეყნებულ სტატიაში ნათქვამია, რომ ერთხელ ასე უკვე მოხდა, როდესაც მოსკოვმა ჩრდილოეთ კორეის კრიზისის დროს შუამავლის ფუნქცია იტვირთა. გამოცემის აზრით, ეს შესაძლებელია პაკისტანთან ურთიერთობაშიც განმეორდეს. როგორც ცნობილია, ეს არის ქვეყანა, რომელიც "ისლამური ბირთვული ბომბით" არის აღჭურვილი და სადაც რადიკალური და ფუნდამენტალისტური მოძრაობა საკმაოდ ძლიერია. ამიტომ მოსკოვისათვის ისლმაბადთან ურთიერთობის დამყარება, "ფიგაროს" აზრით, ყველაზე მეტად საერთაშორისო ტერორიზმთან ერთობლივი ბრძოლის მიზნით არის განპირობებული. მოსკოვს პაკისტანის ტერიტორიაზე "ტერორისტული ინფრასტრუქტურის" არსებობა საკმაოდ აღელვებს, რადგანაც ამ მოძრაობამ, შესალოა, რუსეთზეც იქონიოს ნეგატიური გავლენა. ამდენად, მუშარაფის და პუტინის მოლაპარაკების ძირითადი თემა სწორედ საერთაშორისო ტერორიზმი და მასთან ბრძოლის საკითხები იქნება.

# სომხეთში დეპუტატი დაჭრეს

სომხეთში, წინასაარჩევნო მიტინგის მოწყობისას დაჭრეს პარლამენტის დეპუტატი და სცემეს მის ორ თანმხლებ პირს. როგორც დაზარალებულმა ჰაიკ ბაბუხანიანმა განაცხადა, იგი სომხეთის ქალაქ არტაშატში აპირებდა პრეზიდენტობის კანდიდატის არამ კარაპეტიანის მხარდამჭერი მიტინგის მოწყობას, როდესაც მას მთვრალი და ნარკოტიკების ზეგავლენის ქვეშ მყოფი ახალგაზრდების ჯგუფი მოუახლოვდა. ახალგაზრდები მისი მისამართით შეურაცხმყოფელ გამონათქვამებს ისროდნენ და მოითხოვდნენ, რომ დეპუტატი სასწრაფოდ "წათრეულიყო" მათი ქალაქიდან.

ბაბუხანიანმა ბრბოს მოსაგერიებლად ჰაერში რამდენჯერმე გაისროლა, თუმცა ამით ახალგაზრდები ვერ შეაშინა. მათ ბაბუხანიანსა და მის მხლებლებს ჯერ სხვადასხვა საგნები დაუშინეს და მერე დანით დაჭრეს კიდეც.

დეპუტატს სასწრაფო ოპერაცია გაუკეთდა და ამჟამად მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

ამ ინციდენტამდე რამდენიმე საათით ადრე 50-მდე ახალგაზრდისაგან შედგენილმა ჯგუფმა ჩაშალა პრეზიდენტობის კიდევ ერთი კანდიდატის, ვაზგენ მანუკიანის, მიტინგი. მათ განუწყვეტელი ყვირილითა და შეძახილებით აიძულეს მანუკიანი, ათასამდე ამომრჩეველთან შეხვედრა დროზე ადრე დაემთავრებინა.

"მე მიყვარს ჩემი პრეზიდენტი და ვაპირებ, მას მივცე ხმა," - როგორც რადიო თავისუფლება გვაუწყებს, განაცხადა ერთ-ერთმა ახალგაზრდამ,.

ორივე დაზარალებული, ბაბუხანიანიცა და მანუკიანიც, მომხდარში "პანიკაში მყოფ" მთავრობას ადანაშაულებს. უფრო კონკრეტულად კი ადგილობრივი მმართველობის მინისტრს ჰოვიკ აბრაჰამიანს, რომელიც წარმოშობით არტაშატიდანაა და რომელსაც თითქოს სურს, თავისი ერთგულების დასამტკიცებლად პრეზიდენტი ამ ოლქში ხმათა მაქსიმუმით გაიყვანოს.

თავად პრეზიდენტმა კოჩარიანმა დაგმო ეს ინციდენტი, ხოლო სამართალდამცავებს მისი გამოძიება და დამნაშავეების დასჯა მოსთხოვა.

# "ჩრდილოეთ-სამხრეთის კორიდორი" თუ საქართველოს თანამიმდევრული ანექსია

პირველი გვერდიდან

თუმცა, როგორც ჩანს, ეს საკითხი დღის წესრიგში დადგა იანვრის შუა რიცხვებში, სომხეთის პრეზიდენტის რუსეთში ვიზიტის დროს. ამის შესახებ განაცხადა რუსეთის მრეწველობის, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების მინისტრმა ილია კლებანოვმა, რომელიც ამავდროულად სომხეთ-რუსეთის ეკონომიკური კომისიის თანათავმჯდომარეცაა. სავარაუდოა, რომ სოხუმი-სოჭის რკინიგზის აღდგენაც რუსეთსა და სომხეთს შორის იყო შეთანხმებული.

"იზვესტიასათვის" მიცემულ ინტერვიუში სომხეთის პრეზიდენტმა კოჩარიანმა სომხეთ-რუსეთის ურთიერთობებზე საუბრისას განაცხადა: "მე, როგორც პრეზიდენტი, ვფიქრობ, რომ პირველ რიგში აუცილებელია ეკონომიკურ საკითხებზე კონცენტრაცია. ორმხრივი ურთიერთობების სამართლებრივი ჩარჩოები უკვე არსებობს, სამხედრო-ტექნიკურ თანამშრომლობასა და საგარეო პოლიტიკის კოორდინაციის მხრივ პრობლემები არ გვაქვს. ეკონომიკაშიც არ გვექნებოდა პრობლემები, სომხეთსა და რუსეთს შორის სარკინიგზო მიმოსვლა რომ არსებობდეს".

რუსეთი სომხეთის მთავარი ეკონომიკური პარტნიორია. ამჟამად სომხური ტვირთები რუსეთში საქართველოს შავი ზღვის პორტების, ბორნისა და უკრაინის პორტების გავლით ხვდება, რაც საკმაოდ ართულებს და აძვირებს სომხური საქონლის რუსეთში ტრანსპორტირებას.

აღსანიშნავია, რომ სომხეთმა რუსეთის 100-მილიონიანი ვალი მისთვის სახელმწიფო საწარმოთა გადაცემით დაფარა და ბოლო ხანს რუსეთმა სომხეთში რამდენიმე მსხვილი კომპანია ჩაიგდო ხელში. სომხეთის ენერგეტიკის მინისტრის მოვსესიანის განცხადებით, გამორიცხული არ არის, რომ წლის ბოლომდე რუსეთს გადაეცეს სომხეთის ატომური ელექტროსადგურიც. ასე რომ, რკინიგზის აღდგენის მნიშვნელობა რუსეთისთვისაც გაიზარდა.

კლებანოვის თქმით, რუსეთ-სომხეთის რკინიგზის აღდგენა წარმოადგენს ორი ქვეყნის ერთობლივი ეკონომიკური კომისიის სხდომის მთავარ თემას, რომელიც ერევანში 4 თებერვალს დაიწყო და დღეს დამთავრდება. მასში მონაწილეობის მისაღებად სომხეთის დედაქალაქში რუსეთიდან 60-კაციანი დელეგაცია ჩავიდა.

საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, მოლაპარაკებების დაწყებამდე კლებანოვმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ რკინიგზის აღდგენის საქმეში პოზიტიური ტენდენციები გამოიკვეთა, რადგან საქართველოს პოზიცია უფრო დამთმობი გახდა: "ვფიქრობ, რომ საქართველოს პოზიცია შერბილდა აფხაზეთში სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენასთან დაკავშირებით".

რაც შეეხება მეოთხე დაინტერესებულ მხარეს - აფხაზეთის სეპარატისტულ ხელისუფლებას, როგორც არძინბას მრჩევლმა ტანიამ განაცხადა, ისინი მიესალმებიან რკინიგზის აღდგენას, მაგრამ გაუმართლებლად მიაჩნიათ ამ საკითხთან დევნილების მასობრივი დაბრუნების დაკავშირება. თუმცა, ვრცელდება ინფორმაცია, რომ შესაძლოა, აფხაზები გალის რაიონში დევნილების დაბრუნებასა და გალის მთელ ტერიტორიაზე სამშვიდობო ოპერაციის გაფართოებას დათანხმდნენ.

ქართული მხარე აყენებს კიდევ ერთ მოთხოვნას: საქმე ეხება სამშვიდობო პროცესის ინტერნაციონალიზაციას. სამშვიდობო ძალების შესაძლო წევრებად ასახელებენ უკრაინასა და აზერბაიჯანს. საქართველოს პრეზიდენტის განცხადებით, შეიძლება დადგეს ევროკავშირის სწრაფი რეაგირების კორპუსის (რომელიც ამჟამად ფორმირების ადრეულ ეტაპზე იმყოფება და რომლის შექმნაც რამდენჯერმე გადაიდო) გამოყენების საკითხიც. მაგრამ ამის შესაძლებლობა ევროკავშირის საგარეო ურთიერთობათა კომისიის წარმომადგენელმა დიეგო ოხიედამ კატეგორიულად უარყო.

რაც შეეხება აზერბაიჯანის შესაძლო მონაწილეობას სამშვიდობო ოპერაციაში, იგი აზერბაიჯანულმა მხარემ ჯერ "არ გამორიცხა", მოგვიანებით კი უარყო. თუმცა ძნელი წარმოსადგენია, როგორ უნდა დაიცვან აზერბაიჯანულმა დანაყოფებმა რუსეთ-სომხეთის რკინიგზა... ასე რომ, რკინიგზის აღდგენა, ალბათ, აპრიორი გამორიცხავს აზერბაიჯანის მონაწილეობას სამშვიდობო ოპერაციაში. რუსეთის უკომპრომისო პოზიციის გამო, ნაკლებადაა სავარაუდო აფხაზეთში უკრაინული სამშვიდობო ჯარის შემოსვლაც.

საქართველოს ხელისუფლების ბოლო იმედია, აფხაზეთში გაეროს მეთვალყურეობით შეიქმნას საერთაშორისო საპოლიციო ძალები, რომლებმაც გალის რაიონი უნდა გააკონტროლონ. თუმცა, გაეროს უშიშროების საბჭოს ორწუთიანმა სხდომამ აჩვენა, თუ რა "დიდ მნიშვნელობას" ანიჭებს ეს ორგანიზაცია აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებას.

თუ დევნილების დაბრუნების პროცესი მართლაც დაიწყო, იგი, როგორც ჩანს, ისევ რუსებისა და აფხაზების "კეთილგონიერების" შედეგი იქნება, თანაც დევნილთათვის უსაფრთხოების ყოველგვარი რეალური გარანტიის გარეშე.

ამიტომ "რკინიგზა-დევნილების კომპრომისს" საქართველოში ბევრი უარყოფითად უყურებს და მიიჩნევს, რომ შესაძლოა, რუსული პასპორტების დარიგება დაბრუნებულ დევნილებზეც გავრცელდეს, რკინიგზის აღდგენა კი აფხაზეთის მოსახლეობის (როგორც ქართველთა, ისე აფხაზთა) ინტერესებს მჭიდროდ დაუკავშირებს რუსეთს, რაც საბოლოოდ დაგვაკარგვინებს აფხაზეთს.

ოპონენტები კი ამტკიცებენ, რომ აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების ტრადიციულმა მეთოდებმა თავისი დრო მოჭამა და საქართველომ ახალი გზა უნდა გამოძებნოს, რაც პირველ რიგში აფხაზებთან ეკონომიკური, კულტურული და სოციალური კავშირის აღდგენითა და სარკინიგზო მოძრაობის განახლებით უნდა გამოიხატოს, რასაც შეიძლება ნოვოროსიისკი-სუფსას მილსადენის მშენებლობაც მოჰყვეს.

რა გზას აირჩევს საქართველოს ხელისუფლება, ახლო მომავალში უნდა გამოჩნდეს. როგორც კლებანოვის განცხადება მოწმობს, ეს გზა, სავარაუდოდ, კომპრომისზე დათანხმება იქნება, რაც ბევრისათვის აშკარა საფრთხეებზე თვალის დახუჭვას ნიშნავს.




# იუგოსლავია აღარ არსებობს

სამშაბათს იუგოსლავიის პარლამენტმა ისტორიული დადგენილება გამოიტანა. ამიერიდან ქვეყანა, სახელად - იუგოსლავია აღარ იარსებებს. ამიერიდან, მსოფლიო რუკაზე ამ სახელმწიფოს ნაცვლად სერბეთის და ჩერნოგორიის კავშირი გაჩნდება. ამ გადაწყვეტილებას ხმა მისცა 84 დეპუტატმა 31-ის წინააღმდეგ. "ეს ახალი ქვეყნის ფორმირებაში გადამწყვეტ ნაბიჯს წარმოადგენს," - განაცხადა იუგოსლავიის პარლამენტის ქვედა პალატის სპიკერმა დრაგოლუბ მიკუნოვიჩმა. რაც შეეხება ზედა პალატის დეპუტატებს, მათ ამ გადაწყვეტილებას მხარი უფრო ადრე დაუჭირეს.

როგორც ცნობილია, უკვე ყოფილი იუგოსლავიის შემადგენლობაში თავიდან ექვსი რესპუბლიკა შედიოდა. ხორვატიამ, ბოსნია-ჰერცეგოვინამ, მაკედონიამ და სლოვენიამ ფედერაციის რიგები დიდი ხნის წინ დატოვეს.

იუგოსლავიის ფედერაციის წინამორბედი სახელმწიფო პირველი მსოფლი ომის შემდეგ შეიქმნა, როცა სერბეთის, ხორვატიისა და სლოვენიის გაერთიანებული სამეფოს შექმნა გადაწყდა. ხოლო ფედრაციული სოციალისტური სახელმწიფო მსოფლიო რუკაზე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაჩნდა, როდესაც ექვსი სახელმწიფო გაერთიანდა მარშალ იოსებ ბროზ ტიტოს ხელმძღვანელობით.

1980-იანი და 90-იანი წლების დასაწყისში, მოსკოვის გავლენის შესუსტების შედეგად, იუგოსლავიის ფედერაციაში შეუქცევადი დეზინტეგრაციის პროცესები განვითარდა. ამ პროცესებმა კი ხორვატიასა და ბოსნიაში სისხლისმღვრელი ომები გამოიწვია. მაკედონაიმ და სლოვენიამ დამოუკიდებლობის მოპოვება სისხლის გარეშე, მშვიდობიანი გზებით მოახერხეს. იუგოსლავიის შემადგენლობა განისაზღვრა მხოლოდ ორი რესპუბლიკით – სერბეთითა და ჩერნოგორიით. ახლა კი "ფინალური აქტით" ფედერაციის სახელწოდება – იუგოსლავიაც გაქრა და მის ადგილას სერბეთისა და ჩერნოგორიის საკავშირო სახელმწიფო წარმოიშვა.

დამკვირვებლები ამ გადაწყვეტილების უკან ევროკავშირის ხელმძღვანელობას და, კერძოდ, საგარეო პოლიტიკური უწყების შეფს ჰავიერ სოლანას მოიაზრებენ. თუმცა, ექსპერტების თქმით, სახელწოდება სერბეთი და ჩერნოგორია არც ფედერაციის შენარჩუნების და არც მისი დაშლის მომხრეების სურვილს არ აკმაყოფილებს. სკეპტიკოსთა მტკიცებით, ეს სახელწოდება ყოვეგვარ აზრს არის მოკლებული; თანაც, საერთაშორისო სპორტულ შეჯიბრებებზე ამ სახელის სკანდირებაც შეუძლებელია.

შეთანხმების შესაბამისად, საკავშირო სახელმწიფოს მცირერიცხოვანი ადმინისტრაციის უფლებამოსილებანი გავრცელდება მხოლოდ თავდაცვის, საგარეო-პოლიტიკური, ეკონომიკური ურთიერთობებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროებზე. ყველა დანარჩენ საკითხს სერბეთი და ჩერნოგორია ერთმანეთისგან დამოუკიდებლად გადაწყვეტენ.

ფედერაციის ფორმალურ დედაქლაქად კვლავ რჩება ბელგრადი, თუმცა ზოგიერთი ფედერალური უწყება პოდგორიცაში გადავა.

ასევე მიღწეულია შეთანხმება იმის თაობაზე, რომ უახლოესი სამი წლის განმავლობაში დამოუკიდებლობის საკითხზე ორივე რესპუბლიკაში მოეწყოს საყოველთაო-სახალხო რეფერენდუმები.

ამასთანავე, არსებობს მოსაზრება, რომ საერთაშორისო თანამეგობრობას არ სურს იუგოსლავიის დაშლა ორ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, რამდენადაც ეს შეიძლება ცუდი მაგალითი აღმოჩნდეს ბალკანეთის დანარჩენი მრავალეთნიკური სახელმწიფოებისათვის.

# „ალ ქაიდა" ახალ გრანდიოზულ ტერაქტს ამზადებს

ამერიკის შეერთებული შტატების სპეცსამსახურებმა ოპერატიული ინფორმაცია მოიპოვეს, რომლის თანახმადაც, საერთაშორისო ტერორისტული ქსელი "ალ ქაიდა" ამზადებს მასშტაბურ აქციას, რომელიც 11 სექტემბრის ტერაქტის მსგავსი იქნება; თუმცა, უკანასკნელ დროს "ალ ქაიდას"-თან ურთიერთობებში ეჭვმიტანილი პირების დაპატიმრებამ ამ მისიის შესრულება გაართულა. გაზეთ "ვაშინგტონ თაიმსის" კორესპონდენტს აშშ-ს სპეცსამსახურების წარმომადგენლებმა განუცხადეს, რომ სხვადასხვა ქვეყნებში "ალ ქაიდას" უჯრედების გაწყვეტილი ურთიერთობა კვლავ აღდგენის პროცესშია.

სადაზვერვო მონაცემების თანახმად, ახალი გრანდიოზული ტერაქტის წინ რამდენიმე მსხვილი ტერორისტული ოპერაცია განხორციელდება; მაგალითად, როგორიცაა გამოჩენილ ამერიკელთა მკვლელობები.

## ინფორმაცია

### კარტოფილის ფანტელები - სოციალურად დაუცველებისთვის

იტალიის მთავრობის მიერ მოწოდებული ჰუმანიტარული დახმარების - კარტოფილის ფანტელების სარეზერვოდ განკუთვნილი ნაწილი, საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, მოსახლეობის სოციალურად დაუცველ ნაწილს დაურიგდება. 50 ტონა კარტოფილის ფანტელი სოციალურად დაუცველი ფენისთვის გასანაწილებლად უსასყიდლოდ გადაეცემა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, ცაგერის რაიონის გამგეობას, ავღანეთის ვეტერანთა საქართველოს კავშირს, საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ "საქართველოს კარიტასს", საქართველოს პოლიციის პენსიონერთა და ინვალიდთა კავშირ "აბჯარს", საქართველოს "ჩერნობილელთა კავშირს", არასამთავრობო ორგანიზაცია "ობოლ და მრავალშვილიან ოჯახთა დახმარების ფონდს". ამ უწყებებისთვის კარტოფილის ფანტელების გადაცემა სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს. **კავკას-პრესი**

### გამგებელი ცდილობს...

თბილისის საკრებულოს მიერ მკაცრად გაფრთხილების შემდეგ, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა გამგეობამ, საკრებულოს შესაბამის კომისიებთან და პარლამენტის შემოსავლებისა და გადასახადების კომიტეტთან ერთად, რაიონში არსებული გარე ვაჭრობის ადგილები აღწერა. რაიონის ტერიტორიაზე 4.700 გარემოვაჭრე აღირიცხა. დიდუბე-ჩუღურეთის გამგებლის გოგი ჩაჩანიძის განცხადებით, მათთვის ახალი ადგილების დამტკიცება და შესაბამისი ბლანკების გამოცემა საკრებულოს პრეროგატივაა. გამგებელი ასევე აცხადებს, რომ, ასეთ შემთხვევაში, ქუჩაში მალფუჭებადი პროდუქტებითა და პურით ვაჭრობა აიკრძალება. ბოლო ორი კვირის განმავლობაში დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში ავტოსადგომებიც ხელახლა აღირიცხა. საკრებულოს მოთხოვნის შემდეგ გამგეობა იძულებული გახდა, დაეკანონებინა გერმანიის საელჩოს, „ავერსისა" და რესტორნების მიმდებარე ტერიტორიებზე არსებული ავტოსადგომები. საკრებულოს თავმჯდომარემ, მიხეილ სააკაშვილმა, გოგი ჩაჩანიძეს, გარე ვაჭრობისა და პარკირების პრობლემის მოსაგვარებლად, თებერვლის ბოლომდე მისცა ვადა. **მედია-ნიუსი**

## მოკლედ

**თბილისი.** თამბაქოს საწინააღმდეგო ეროვნული ცენტრი და არასამთავრობო ორგანიზაციების ალიანსი თამბაქოს მწარმოებელ კომპანიებს თამბაქოს მოხმარების შედეგად დაზარალებულთა რეაბილიტაციისთვის ფონდის შექმნას სთხოვენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი სასამართლოში სარჩელის შეტანითა და კომპანიების ოფისების წინ საპროტესტო აქციების გამართვით იმუქრებიან. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**დმანისი.** დმანისის რაიონში მცხოვრები აზერბაიჯანელებისთვის საშუალო სკოლა გაიხსნა. ამჟამად მოქმედებს პირველი კლასი, რომელშიც 8 ბავშვი სწავლობს. სკოლისთვის სასწავლო წიგნებს აზერბაიჯანის განათლების სამინისტრო გამოყოფს. სულ საქართველოში, დაახლოებით, 500 ათასი აზერბაიჯანელი სწავლობს და 100-მდე აზერბაიჯანული სკოლა მოქმედებს. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თებერვლის ბოლომდე საქართველოს რკინიგზაზე დაამონტაჟებენ სამ სპეციალურ დამცავ მოწყობილობას, რომელიც მოძრავი შემადგენლობის მდგომარეობას ამოწმებს და გაუმართაობას აღმოაჩენს. ორი მოწყობილობა თბილისის კვანძზე დამონტაჟდება, ერთი - ბათუმის უბანზე. თბილისის კვანძზე დაიწყო ასევე რკინა-ბეტონის მაღალი ფილებით ლიანდაგების შემოღობვა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** იანვარში რეგისტრაცია გაიარა და დევნილის ყოველწლიური მოწმობა მიიღო 254 ათასმა დევნილმა. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით ყოველთვიური ფულადი შემწეობა 260 ათას დევნილზეა გათვალისწინებული. მათი უმრავლესობა სამეგრელო-ზემო სვანეთში (97 ათასი), თბილისსა (92 ათასი) და იმერეთის რეგიონში (30 ათასი) ცხოვრობს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** იანვარში რეგისტრაცია გაიარა საქართველოში დროებით მცხოვრებმა 4.193 ლტოლვილმა. მათ შორის 2.290 ჩეჩენია, 1.813 - ქისტი, 38 – ქართველი, 37 – აზერბაიჯანელი, 11 – რუსი, 2 – ლეკი, 1 – ინგუში, 1 – ბელორუსი; 2.128 მამაკაცია, 2065 – ქალი. ასაკობრივი მონაცემები ასეთი: 16 წლამდე — 2.052 ადამიანი, მეტი ასაკის - 2.141. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დედაქალაქის მეტროს სადგურ "ვაგზლის მოედანზე" შეკეთებითი სამუშაოები დაიწყო. შეიცვლება სადგურის სალიანდაგო კედლის მოპირკეთება და საბურთალოს ხაზის „ვაგზლის მოედანი-2"-ის ჭერი. სხვა სადგურებზე მსგავსი სამუშაოების ჩატარება ჯერ ვერ ხერხდება. გადაუდებელი სამუშაოებისთვის მეტროპოლიტენს, წელიწადში 11 მილიონი ლარი ესაჭიროება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ქარხანა „მიონის" მიმდებარე ტერიტორიაზე გამოიყო 6 ათასი კვადრატული მეტრის ფართი, სადაც 80-90 ტროლეიბუსის სადგომი მოეწყობა. იქვე იქნება ტროლეიბუსების სამრეცხაო და შემკეთებელი ცენტრი. ამ სამუშაოებისთვის მერიის ბიუჯეტიდან 115 ათასამდე ლარი გამოიყო. დღემდე, დიღმისა და დიდი დიღმის მიმართულებით მოძრავ ტროლეიბუსებს ღამით ქუჩაში აჩერებენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** იანვრის პენსიების დაფინანსება ჯერ არ დაწყებულა. სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ინფორმაციით, დაუსრულებელია შარშანდელი ოქტომბერ-დეკემბრის პერიოდის დაფინანსებაც. ოქტომბრის პენსიები მხოლოდ 90 პროცენტით არის დაფინანსებული. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** არსებული სახელფასო დავალიანების გასტუმრებას ფინანსთა სამინისტრო ზაფხულიდან დაიწყებს. დავალიანების გაცემა მისი წარმოქმნის პერიოდისა და რაოდენობის მიხედვით იწარმოებს. ამისთვის წლევანდელ ბიუჯეტში 24 მილიონი ლარია გამოყოფილი, ვალი კი 200 მილიონს შეადგენს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** მარშალ გელოვანის ქუჩა №2-თან, სადაც დღეს ელექტროენერგიაზე ტარიფის შეცვლის საკითხი განიხილება, საქართველოს ლეიბორისტული პარტია გამაფრთხილებელ აქციას გამართავს. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ელექტროენერგიის ძველ და ახალ ტარიფებს შორის განსხვავების სუბსიდიას თბილისის მოსახლეობა თებერვლიდან მიიღებს. შესაბამისი თანხა ბიუჯეტიდან "ეი-ი-ეს თელასმა" იანვრის ბოლოს მიიღო. ამიტომ იგი მხოლოდ თებერვლის ქვითრებში აისახება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**მოსკოვი.** მოსკოვის მერიამ გადაწყვიტა, სოხუმს საჩუქრად გაუგზავნოს ათი ავტობუსი და ორი ტროლეიბუსი. აფხაზეთის დედაქალაქს, შემოწირულობის სახით, გადაეცემა "მოსგოსტრანსის" დაქვემდებარებში არსებული ტექნიკა 8-10 წლის ექპლუატაციის ვადით. მოსკოვის მერის მოვალეობის შემსრულებლის ვ. შანცევის მიერ ხელმოწერილ ამ განკარგულების შესრულებაზე კონტროლი დაეკისრა მოსკოვის მერის პირველ მოადგილეს, აქსიონოვს. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სერგეი ბოგდანოვი და მისი მეუღლე, ქეთევან მინაძე, მოსკოვში ფეხით მიდიან, რათა აღდგომის დღესასწაულზე მოსკოვის მაცხოვრის ტაძარს ხატი შესწირონ. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ ხატი ორი კვირის წინათ აკურთხა. ბოგდანოვს სურს, შეხვდეს მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქს ალექსანდრე მეორეს, რათა სიონის საკათედრო ტაძრისთვის მოსკოვიდან ხატის შესაწირად კურთხევა მიიღოს. ამ ღონისძიებისთვის თბილისის მერია, ფინანსური დახმარების სახით, 4 ათას ლარს გაიღებს. საქართველოდან მოსკოვამდე 2 ათასი კილომეტრია. **პრაიმ-ნიუსი**

# ეკონომიური და ხარისხიანი ლამპიონები - 17 მილიონ ლარად

*თუ თბილისის მთავრობა სამი წლის განმავლობაში ქალაქის ბიუჯეტში 17 მილიონ ლარს გამოძებნის, 2005 წლისთვის "გაერთიანებული დემოკრატები" ქალაქის მთლიანად განათებას გვპირდებიან, თანაც, თანამედროვე სტილისა და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ძალზე ეკონომიური ლამპიონებით.*

ნანა ქადაგიშვილი

საკრებულოს ფრაქცია "გაერთიანებული დემოკრატების" მიერ წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს ქალაქის განათებას ეტაპობრივად, სამი წლის განმავლობაში. პირველ ეტაპზე დაგეგმილია თბილისის 133 ცენტრალური ქუჩის რეკონსტრუქცია, მეორე ეტაპზე – 420 ქუჩის, 2005 წელს კი 457 ქუჩა უნდა განათდეს. სხვათა შორის, პირველ ეტაპზე, "ნაკლებად ცენტრალური" ქუჩები ძალიან რომ არ დაიჩაგროს, ცენტრალურ ქუჩებზე მოხსნილ ძველ ლამპიონებს გარეუბნებში დაამონტაჟებენ. ქუჩების გარდა, ეს პროექტი სტადიონებისა და სკვერების განათებასაც ითვალისწინებს. მაგალითად, 2005 წლისთვის ვარკეთილის, ვაშლიჯვრის, ვაჟა-ფშაველას მესამე კვარტალში მდებარე სკვერებსა და ფუნიკულიორზე ღამით სეირნობის ნაკლებად შეგეშინდებათ და ქუჩების გაუნათებლობის გამო ავარიებიც აღარ მოხდება.

მთელი ეს ბედნიერება, პროექტის ავტორთა გათვლით, 17 276 ათასი ლარი დაჯდება. საქმეში ჩაუხედავ მოქალაქეს შეიძლება ძვირი ეჩვენოს, მაგრამ თუ "გაერთიანებულ დემოკრატებს" დავუჯერებთ, სამი წლის განმავლობაში, ამ ახალი ლამპიონების წყალობით, ქალაქის ბიუჯეტში 5 249 ათასი ლარი გამოთავისუფლდება.

შპს "თბილქალაქგანათების" ბალანსზე ამჟამად 48 237 გარე განათების წერტილი ირიცხება. მათი მოვლა წელიწადში 16 876 ათასი ლარი ჯდება. ამ თანხიდან ელექტროენერგიის ხარჯი 9 433 ათას ლარს შეადგენს. ამის გარდა, გარე განათების ქსელი 1982 წლიდან არ განახლებულა და მისი შეკეთება რემონტისთვის გაუთვალისწინებელ ხარჯებსაც ზრდის და ლამპიონების ფუნქციონირებასაც აფერხებს. ახალი ლამპიონები კი, თურმე, ელექტროენერგიასაც ნაკლებს ხარჯავს და ძველზე ბევრად გამძლეც არის. "გაერთიანებული დემოკრატები", ხსენებული პროექტის განხორციელების შემთხვევაში, პირველ ეტაპზე 2 113 ათასი ლარის ეკონომიას გვპირდებიან. ამ თანხიდან 1 813 ლარი ელექტროენერგიის დანახარჯზე მოდის, დანარჩენი – ლამპიონების ექსპლუატაციაზე. მეორე ეტაპზე ბიუჯეტში 1 141 ლარი უნდა გამოთავისუფლდეს, მესამე წელს კი – 1 755 ათასი. ასე რომ, სამ წელიწადში გამძლე და ეკონომიური ლამპიონების წყალობით გამოთავისუფლებულმა თანხამ 5 249 ათასი ლარი უნდა შეადგინოს.

"გაერთიანებული დემოკრატები" ქალაქის მთავრობას 17 276 ათასი ლარის მოძიების გზასაც სთავაზობენ. "თუ ბიუჯეტის სარეზერვო თანხებს გამოვიყენებთ და მუნიციპალურ ფასიან ქაღალდებსა და ობლიგაციებს გამოვუშვებთ, ქალაქის განათების პროექტი თავისუფლად განხორციელდება," – აცხადებენ ისინი.

# კარდაკარ „ჯეოსელთან" ერთად





სტუმრად ახალ ბინებში

ეთერ მამულაშვილი

*მიწისძვრით დაზარალებულმა და უსახლკაროდ დარჩენილმა კიდევ ოთხმა ოჯახმა საკუთარი ჭერი იპოვა. დღეიდან ზაქაშვილების, გრიგორიანების, კასრელიშვილებისა და აბრამიძეების ოჯახებს კარდაკარ სირბილი და ღამის გასათევის ძებნა აღარ მოუწევთ. ამ ცოტა ხნის წინ კომპანია "ჯეოსელის" მიერ გათამაშებული ოთხი ოროთახიანი ბინის მესაკუთრეები სწორედ ეს ოჯახები გახდნენ.*

მიწისძვრით დაზარალებულთა ოჯახების დასახმარებლად "ჯეოსელის" საქველმოქმედო აქციამ შარშან, ივნისში აიღო სტარტი. აქციიდან შემოსულ თანხას დაემატა თავად კომპანიის მიერ ჩარიცხული რამდენიმე ათასი ლარი, რითაც "ჯეოსელმა" გლდანი-ნაძალადევის რაიონში ოთხი საცხოვრებელი სახლი შეიძინა. ამ ბინების მფლობელთა ვინაობა 30 იანვარს "24 საათის" საკონფერენციო დარბაზში გახდა ცნობილი.

გუშინ "ჯეოსელის" რამდენიმე წარმომადგენელმა, მასმედიასთან ერთად, დასაჩუქრებული ოჯახები ახალ ბინებში მოინახულა.

პირველად ზაქაშვილების ოჯახს ვესტუმრეთ. მასპინძლებმა ჭიქა შამპანურზე მიგვიპატიჟეს. "ჩემი შვილის უბედურების შემდეგ, უკვე თოთხმეტი წელიწადია, ჩემს ოჯახს ასეთი დიდი სიხარული არ განუცდია. როცა მითხრეს, ბინას გჩუქნითო, დიდხანს არ მჯეროდა, რადგან დღემდე ჩვენთვის არავის არაფერი უჩუქებია", - გვითხრა ოჯახის დიასახლისმა.

ზაქაშვილების ოჯახის უმცროსი წევრი, 31 წლის ზვიადი, ქვემო კიდურების დამბლის გამო, ინვალიდის ეტლში ზის. 17 წლისა იყო, ავტოკატასტროფაში რომ მოყვა. მაშინ ექიმები მის გადარჩენასაც ეჭვობდნენ. თავის დროზე ზვიადი მკლავჭიდში სამგზის ჩემპიონი ყოფილა. აპრილის მიწისძვრამ ჯავის ქუჩაზე მდებარე მათი სახლი საცხოვრებლად უვარგისი გახადა. სახელმწიფო უწყებებში ბევრი სირბილის შემდეგ მათ ხელი ჩაიქნიეს. ნევროლოგიის ინსტიტუტში ზაქაშვილებისთვის გამოყოფილი დროებითი ფართიც საცხოვრებლად უვარგისი და საშიში გამოდგა. "ჯეოსელის" საჩუქარმა მათ, რომ იტყვიან, სულზე მიუსწრო.

ზაქაშვილებიდან აბრამიძეების მრავალრიცხოვან ოჯახში გადავინაცვლეთ. რვა წევრისგან შემდგარი აბრამიძეები დღემდე სახელდახელოდ აშენებულ ერთ ოთახში ცხოვრობდნენ. ჯანელიძის ქუჩაზე მდებარე მათი საკუთარი სახლი რვა წლის წინ შემთხვევით გაჩენილმა ხანძარმა ფერფლად აქცია. მიუხედავად იმისა, რომ უბედურ შემთხვევამდე ოჯახი დაზღვეული იყო, სახელმწიფოსგან სულ რამდენიმე ათასი კუპონი მიიღო. ამ თანხით აბრამიძეებმა შემთხვევით გადარჩენილ საკუჭნაოს პატარა ოთახი მიაშენეს. "დღემდე ვერ წარმომედგინა, რომ ჩვენნაირ უბრალო ხალხს რამის მოგება შეეძლო. დარწმუნებული ვიყავი, ყველაფერი ჩაწყობით და ნათესავ-მეგობრობით ხდებოდა", - გვითხრა ოჯახის უხუცესმა წევრმა ანდრო აბრამიძემ. ბატონ ანდროს, მეორე ჯგუფის ინვალიდს, გაზაფხულზე 90 წელი შეუსრულდება.

დანარჩენი ორი ოჯახის ისტორია ბევრით არაფრით განსხვავდება ზემოთ მოთხრობილისგან.

# სახლი ერეკლეს მოედანზე - ხანძარი და ვერსიები

*გუშინწინ, საღამოს 8 საათზე, ცეცხლი გაუჩნდა ერეკლეს მოედანზე, 3 ნომერში მდებარე სამსართულიან შენობას. რამდენიმე საათში სახლი მთლიანად დაიწვა. ხანძარს არავინ შეუწირავს, თუმცა, 11 ოჯახი, ფაქტობრივად, ღია ცის ქვეშ დარჩა.*

მაკა ჭაიანი

გავრცელებული ვერსიით, ხანძარი ელექტროქსელში მომხდარი მოკლე ჩართვის შემდეგ გაჩნდა. ოფიციალურად, ამ ვერსიას არავინ ადასტურებს. გუშინ მთაწმინდა-კრწანისის გამგეობაში აცხადებდნენ, რომ დაზუსტებული მონაცემები მხოლოდ დღეს ექნებოდათ. ხანძრის გაჩენის მიზეზებზე დაზუსტებით გუშინ არაფერს ამბობდნენ თბილისის ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურში. ერეკლეს მოედნის №3-ის მცხოვრებლები მომხდარს ეჭვით უყურებენ.

**"თანდათან მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ ვიღაცამ, შეიძლება, სპეციალურად მოგვიწყო ეს ხანძარი. ხმა დადის, შენობა გაყიდულიაო და, როგორც ჩანს, მისი დაცარიელება უნდოდათ,** - ამბობს დაზარალებული მზია კავთელაძე, - **საღამოს 8 საათზე რომ გაჩნდა ცეცხლი, დილის 6 საათამდე ვერ ჩააქრეს. ერთმა მეხანძრემ ისიც თქვა, ერთგან ჩავაქრობდით და სხვაგან ჩნდებოდაო. ყველაფერი მესამე სართულიდან დაიწყო. იქ არავინ ცხოვრობს. მეზობელმა დამიძახა და, სანამ სახანძრო მოვიდოდა, ვედროებით ვასხამდით წყალს. საწოლების გამოტანაც ვერ მოვასწარით, ისე მოედო ყველაფერს. რაც გამოვიტანეთ, აგერ, აივანზე გვიწყვია. რა გვეშველება, არ ვიცით."**

მზია კავთელაძეს სამი შვილი ჰყავს. მისი და მისი მეზობელი ოჯახები თბილისში 1976-77 წლებში, რაიონებიდან ჩამოიყვანეს, ე.წ. კამოს ქარხანაში ხარატებად სამუშაოდ. მაშინ შეასახლეს ისინი ერეკლეს მოედანზე მდებარე ქარხნის საერთო საცხოვრებელში. დღეს ქალაქის ხელმძღვანელობა იმას არკვევს, ეს შენობა ისევ ქარხნის ბალანსზეა თუ არა. თბილისის მერიაში აცხადებენ, რომ, თუ საერთო საცხოვრებელი ქალაქის ბალანსზე აღმოჩნდა, დაზარალებულთა დაკმაყოფილებას ქალაქი აიღებს თავის თავზე.

**"მეეჭვება, შენობა ჩვენს ბალანსზე იყოს,** - ამბობს მთაწმინდა-კრწანისის რაიონის გამგებლის მოადგილე დავით ხუჯაძე, - **ასე რომ იყოს, მასზე ყველა ინფორმაცია გვექნებოდა. ახლა ყველაფრის გარკვევა კომუნალურ სამსახურსა და ქალაქის ქონების მართვის სამმართველოში გვიხდება. იმასაც დავადგენთ, პრივატიზებულია თუ არა სახლი. იმას, ვინმემ შეგნებულად გააჩინა ხანძარი თუ არა, პროკურატურა დაადგენს. მთავარია, რომ მსხვერპლი არ იყო."**

ქალაქის ქონების მართვის სამმართველოში ინფორმაციას ერეკლეს მოედნის №3-ში მდებარე შენობის პრივატიზების თაობაზე ჯერ ვერც ადასტურებენ და ვერც უარყოფენ. იქამდე, ვიდრე სიტუაცია გაირკვევა, დაზარალებული ოჯახები მეზობლებს ეხიზნებიან.





ხანძრის შემდეგ

# „რუსთავი-2" დაზარალებულის სტატუსს ითხოვს



გრიგოლ ხურცილავას ადვოკატი მალხაზ ხვედელიანსაც დაიცავს.

პირველი გვერდიდან

შესაბამისად, სანაიას მკვლელობაში ბრალდებულის სასამართლო პროცესზე "რუსთავი-2" დაზარალებული მხარის სახით უნდა იქნას წარმოდგენილი. კანონმდებლობის თანახმად, მოსამართლემ ამ განცხადების საპასუხო გადაწყვეტილება სამი დღის ვადაში უნდა მიიღოს. დადებითი პასუხის, ანუ მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი შემდეგ განმარტებას იძლევა: **"სასამართლო გამოძიების დაწყების შემდეგ პირველი ინსტანციის სასამართლოში პირის დაზარალებულად ცნობისთვის საფუძვლის აღმოჩენისას საქმე უნდა დაბრუნდეს დამატებით გამოძიებაში"** (ამონაწერი სს საპროცესო კოდექსის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილიდან). შესაბამისად, იქიდან გამომდინარე, რომ გიორგი სანაიას მკვლელობის სასამართლო გამოძიება უკვე დაწყებულად გამოცხადდა, "რუსთავი-2"-ის დაზარალებულად ცნობის საფუძვლიანად მიჩნევის შემთხვევაში, სისხლის სამართლის საქმე დამატებითი გამოძიებისთვის გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილს დაუბრუნდება. სიუჟეტის ამგვარი განვითარების შემთხვევაში კი გამოძიება კიდევ ერთი პროცესუალური დილემის წინაშე აღმოჩნდება. კერძოდ, გიორგი სანაიას მკვლელობაში ბრალდებულის - გრიგოლ ხურცილავას დაკავების შემდეგ, მისი ბრალეულობის დასადასტურებლად წარმოებულმა წინასწარმა გამოძიებამ ცხრათვიანი ვადა თითქმის ამოწურა. საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად კი, ბრალდებულის წინასწარი პატიმრობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს. შესაბამისად, საქმის დამატებით გამოსაძიებლად დაბრუნების შემთხვევაში, შესაძლოა, უახლოეს მომავალში გრიგოლ ხურცილავას პატიმრობიდან გათავისუფლების საკითხიც დადგეს.

რაც შეეხება სასამართლო პროცესის პირველ დღეს გლდანი-ნაძალადევის რაიონულ სასამართლოში განვითარებულ მოვლენებს, ბრალდების მთავარი მოწმე მალხაზ ხვედელიანი სასამართლო პროცესზე მოწმედ გამოსვლის შემდეგ ერთბაშად სისხლის სამართლის ორი საქმის მთავარი ფიგურა შეიძლება აღმოჩნდეს. პირველი, ეს გახლავთ პასუხისმგებლობა ცრუ ჩვენების მიცემისთვის. როგორც მოგეხსენებათ, ხვედელიანმა წინასწარი გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში გიორგი სანაიას მკვლელობის მოტივად ქალების გამო მომხდარი შელაპარაკება დაასახელა, სასამართლო პროცესზე კი განაცხადა, რომ ხურცილავამ სანაიას სექსუალური ძალადობის გამო ესროლა. მისი თქმით, ეს ვერსია მან ხურცილავასთან დაპირისპირების დროსაც ახსენა, მაგრამ გამომძიებელმა ამის დაფიქსირება საჭიროდ არ ჩათვალა.

სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, **"მოწმის ან დაზარალებულის მიერ ცრუ ჩვენების მიცემა ისჯება ჯარიმით, ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით, ან გამოსასწორებელი სამუშაოებით ვადით 2 წლამდე, ანდა ტუსაღობით ვადით სამ თვემდე".** შესაბამისად, მალხაზ ხვედელიანს ერთ-ერთი ამ სასჯელთაგანი უნდა ემუქრებოდეს, თუმცა გენერალურმა პროკურატურამ ამ საქმის გარკვევა სასამართლოს გადააბარა. როგორც გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის ხელმძღვანელის მოადგილემ ნუგზარ სადრაძემ განმარტა, ცრუ ჩვენების გამო ხვედელიანისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრება მთლიანად მოსამართლის პრეროგატივაა, მან უნდა გადაწყვიტოს, ხვედელიანის რომელ ჩვენებას მიიღებს მხედველობაში განაჩენის გამოტანისას. მოსამართლე დაადგენს იმასაც, მიუძღვის თუ არა გამომძიებელს ბრალი ცრუ ჩვენების დაფიქსირებაში.

სისხლის სამართლის მეორე საქმე, ხულიგნობის მუხლით, მალხაზ ხვედელიანის წინააღმდეგ უკვე აღძრულია. ბრალდების მოწმეს პასუხისგება "რუსთავი-2"-ის ჟურნალისტის თიკო ფეიქრიშვილის ფიზიკური შეურაცხყოფისთვის მოუწევს. გუშინ გლდანი-ნაძალადევის პროკურატურაში ხვედელიანს კარგა ხნის მანძილზე კითხავდნენ, საბოლოოდ კი მისი დაკავების გადაწყვეტილება მიიღეს. ბრალს მას, სავარაუდოდ, დღეს წაუყენებენ. იმის გამო, რომ შეხლა-შემოხლისას დაიმტვრა "რუსთავი-2"-ის კუთვნილი მიკროფონი და ვიდეოკამერა, სავარაუდოა, რომ გამოძიება ხვედელიანს ბრალს, ხულიგნობის გარდა, კიდევ ერთი მუხლით წაუყენებს, რომელიც სხვისი ქონების დაზიანებას ეხება და გაცილებით დიდ სასჯელს გულისხმობს, ვიდრე ხულიგნობა.

# ბავშვის მკვლელი ათი წლის შემდეგ გაასამართლეს

ბექა სისაური
ქუთაისიდან

უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ ქუთაისის საოლქო სასამართლოში ჩატარებულ გამსვლელ სხდომაზე ბრალდებულ ბადრი კელენჯერიძის საქმე განიხილა და მას 14 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. კელენჯერიძე ყაჩაღურ თავდასხმასა და 3 წლის გოგონას მკვლელობაშია მხილებული. 1993 წელს რამდენიმე მძიმე დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული კელენჯერიძე სამართალდამცველებს წლების მანძილზე ემალებოდა.

სასამართლო პროცესის მსვლელობისას გაირკვა, რომ 1993 წლის 25 ივნისს სოფელ მაღლაკში მცხოვრები ფხაკაძეების ოჯახი ნათესავის დაკრძალვიდან მეზობლის - რომან გეგუჩაძის კუთვნილი ავტომანქანით შინ ბრუნდებოდა. მანქანაში იმყოფებოდა 3 წლის ლელა ფხაკაძეც. ზესტაფონის რაიონის სოფელ ტაბაკირის გზაზე მათ ავტომატებით შეიარაღებული ორი ნიღბიანი პირი გადაუდგა. ავტომანქანაში მსხდომთ ბოროტმოქმედებმა გადმოსვლა უბრძანეს. დოდო ფხაკაძე და მისი რძალი მანქანიდან გადმოვიდნენ და ყაჩაღებს სთხოვეს, რაც გსურთ, წაიღეთ, ოღონდ ბავშვი არ მოგვიკლათო. ამ დროს პატარა ლელა ფხაკაძეს ბიძის - ტრისტან კელენჯერიძის კალთაში ეძინა. ყაჩაღებმა ქალების თხოვნა ყურად არ იღეს და სროლა ატეხეს, რაც პატარა გოგონასთვის საბედისწერო აღმოჩნდა. იგი ავტომატის ტყვიით თავის არეში დაიჭრა და ადგილზევე გარდაიცვალა. სროლის შედეგად დაიჭრნენ მანქანაში მყოფი ტრისტან კელენჯერიძე და მძღოლი რომან გეგუჩაძე. დაღუპული ბავშვის დანახვაზე თავდამსხმელები შეშინდნენ და გაიქცნენ.

მომხდართან დაკავშირებით ზესტაფონის პროკურატურაში იმავე დღეს აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. მოგვიანებით გაირკვა, რომ თავდამსხმელები ზესტაფონის რაიონში მცხოვრები გელა მანჯავიძე და ბადრი კელენჯერიძე იყვნენ. ბადრი კელენჯერიძე მანქანაში მყოფი ტრისტან კელენჯერიძის ბიძაშვილია. მას ნიღაბიც სწორედ იმიტომ დასჭირდა, რომ ნათესავს არ ეცნო. მეტიც, სოფელ მაღლაკში დაკრძალვაზე ის ბიძაშვილთან ერთად იმყოფებოდა და ფხაკაძეების კუთვნილი მანქანის გატაცებაც მაშინ გადაუწყვეტია.

პასუხისმგებლობის ასაცილებლად ორივე თავდამსხმელმა თავი მოსკოვს შეაფარა. გელა მანჯავიძემ მართლმსაჯულებისგან დამალვა 2 წლის განმავლობაში შეძლო. იგი 1995 წელს გაასამართლეს და 14 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. მანჯავიძემ, როგორც წინასწარი გამოძიებისას, ისე სასამართლო პროცესზე, ლელა ფხაკაძის მკვლელობა ბადრი კელენჯერიძეს დააბრალა. რაც შეეხება ბადრი კელენჯერიძეს, იგი 2001 წელს დააკავეს. მის სასამართლო პროცესზე მანჯავიძემ ადრინდელი ჩვენებები უარყო და გოგონას მკვლელობა ვინმე ბადრი ბუცხრიკიძეს გადააბრალა, რომელიც გარდაცვლილი აღმოჩნდა. განსასჯელი კელენჯერიძე კი თავს უდანაშაულოდ აცხადებდა და არათუ მკვლელობას, მანქანაზე ყაჩაღურ თავდასხმასაც უარყოფდა. მკვლელობის ჩამდენად ისიც გარდაცვლილ ბადრი ბუცხრიკიძეს ასახელებდა.

სასამართლომ არ გაიზიარა განსასჯელისა და მისი ადვოკატის მტკიცებულებები და კელენჯერიძეს ავტომანქანაზე ყაჩაღურ თავდასხმასა და ბავშვის მკვლელობაში დასდო ბრალი.

კელენჯერიძის დანაშაულები ამით არ ამოწურულა, გამოძიება მას 1993 წელს ხარაგაულის რაიონის სოფელ კიცხში მცხოვრები ბერაძის ოჯახზე ავტომატებითა და ხელყუმბარებით შეიარაღებულ ყაჩაღურ თავდასხმასაც აბრალებდა. სასამართლო პროცესზე ეს ბრალდებაც დადასტურდა. საბოლოოდ, უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ ჩადენილი დანაშაულებისთვის კელენჯერიძეს 14 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. იგი 2 წელიწადს საპყრობილეში, ხოლო დანარჩენს მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოიხდის.

# №5 საპყრობილეს დირექტორის მოვალეობის ახალი შემსრულებელი ჰყავს

მას შემდეგ, რაც იუსტიციის მინისტრმა, №5 საპყრობილეში ძმები მიქელთაძეების მკვლელობის გამო, დაწესებულების ხელმძღვანელობა თანამდებობებიდან გაათავისუფლა, დირექტორის ფუნქციის შეთავსება სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს დაევალა. გუშინ კი დეპარტამენტის თავმჯდომარემ პაატა მხეიძემ საპყრობილის თანამშრომლებს დირექტორის მოვალეობის ახალი შემსრულებელი წარუდგინა.

გენერალური პროკურორის აპარატის საორგანიზაციო-საკონტროლო განყოფილების პროკურორის აპოლონ ჯანიაშვილის საპყრობილის უფროსის თანამდებობაზე დროებით დანიშვნას იუსტიციის სამინისტროში მისი პრინციპული ხასიათით და პროფესიონალიზმით ხსნიან.

**"რამდენიმე თვეა, რაც N5 საპყრობილეს დირექტორი არ ჰყავს. არადა, ბოლო პერიოდის შედეგებმა დაგვანახა, რომ აღნიშნული დაწესებულების უფროსის გარეშე დატოვება არ შეიძლება. მიუხედავად იმისა, რომ ამ ხნის განმავლობაში საპყრობილის დირექტორის თანამდებობა ვაკანტურია და კანდიდატების დასახელება არასამთავრობო ორგანიზაციებს და საზოგადოების სხვა წარმომადგენლებსაც ვთხოვეთ, დღემდე არავის არავინ დაუსახელებია. მოგეხსენებათ, N5 საპყრობილე საკმაოდ რთული ობიექტია და როგორც ჩანს, პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებას ყველა ერიდება. სხვათა შორის, აპოლონ ჯანიაშვილის კანდიდატურას რომ განვიხილავდით, იუსტიციის სამინისტროსთან არსებულ არასამთავრობო ორგანიზაციების საბჭოს თავმჯდომარეს გიორგი პაპუაშვილს ვთხოვეთ, გამოეხატა საბჭოს პოზიცია და თუ გააჩნდა ჯანიაშვილის საქმიანობაზე რაიმე კომპრომატი, ჩვენთვისაც გაეცნო, მაგრამ ამგვარი დოკუმენტი მას არ წარმოუდგენია. იუსტიციის მინისტრმა გაითვალისწინა ჯანიაშვილის პროფესიონალიზმი, პრინციპული ხასიათი და სწორედ ამიტომ გადაწყვიტა მისი თანამდებობაზე დროებით დანიშვნა.**

**თუმცა, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, N5 საპყრობილის დირექტორი ინიშნება კონკურსის წესით - ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია, შემოიტანოს საბუთები და დააყენოს საკუთარი კანდიდატურა. კონკურსი არის ღია და ამა თუ იმ პიროვნებაზე ნებისმიერს შეუძლია, საკუთარი აზრი გამოთქვას. ჩვენ კი, რა თქმა უნდა, ყველას საფუძვლიან არგუმენტებს გავითვალისწინებთ,"** - აღნიშნა ჩვენთან საუბარში იუსტიციის მინისტრის მოადგილემ კახა კობერიძემ.

იუსტიციის სამინისტროსგან განსხვავებული პოზიცია აქვს არასამთავრობო ორგანიზაციის "ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის" წევრს ნანა კაკაბაძეს, რომელიც ყოფილი პროკურორის №5 საპყრობილის დირექტორის თანამდებობაზე დანიშვნას კატეგორიულად ეწინააღმდეგება. **"მინისტრი დაგვპირდა, რომ დირექტორი კონკურსის წესით დაინიშნება. იმედი გვაქვს, ამ გზით ღირსეული პიროვნება აუცილებლად მოიძებნება. მიუხედავად იმისა, რომ აპოლონ ჯანიაშვილს არ ვიცნობ და მის პიროვნებაზე ვერ ვიმსჯელებ, კატეგორიული წინააღმდეგი ვარ, იუსტიციის სისტემაში კიდევ ერთი პროკურორი დაინიშნოს,"** – გვითხრა ნანა კაკაბაძემ.

ჩვენი ინფორმაციით, კონკურსი მომავალი კვირიდან ოფიციალურად გამოცხადდება, იუსტიციის მინისტრის გადაწყვეტილებით კი, ახალი დირექტორის ხელფასი 600 ლარი იქნება.

# „აფხაზეთის გმირი" - კრიმინალური გარჩევისა თუ პოლიტიკური დაპირისპირების მსხვერპლი

საინფორმაციო სააგენტო "ორეანდის" ცნობით, საქართველოს უშიშროების სამინისტრო დაინტერესდა მოსკოვში მოკლული სალიბეი არძინბას პიროვნებით. ხაბურძანიას თქმით, საქართველოს სპეცსამსახურებს მოეპოვებათ დაუდასტურებელი ინფორმაცია არძინბას ნარკობიზნესში მონაწილეობის შესახებ. შესაბამისად, აფხაზეთთან დაკავშირებული ნებისმიერი ასეთი მკვლელობა უშიშროების სამინისტროს ინტერესის საგანი ხდება.

სალიბეი (აკა) არძინბას ნარკობიზნესში მონაწილეობაზე არაფერია თქმული რუსი სამართალდამცველებისა და მასმედიის მიერ მკვლელობასთან დაკავშირებით გავრცელებულ განცხადებებსა და ვერსიებში. ერთადერთი, რაშიც ყველა საინფორმაციო საშუალება თანხმდება, ის გახლავთ, რომ არძინბას მკვლელობა შეკვეთილი იყო. მოსკოვის ჩრდილოეთის ოლქის პროკურატურა, რომელიც მკვლელობის საქმეს იძიებს, დარწმუნებულია, რომ შეკვეთა აფხაზეთიდან მოდის, რადგანაც აკა არძინბას მოსკოვში არავითარი ბიზნეს-ინტერესები არ ჰქონდა, შესაბამისად, არ ჰყავდა კონკურენტებიც. პროკურატურის ამ ვერსიის საპირისპიროდ, რუსულ საინფორმაციო საშუალებებში ჩნდება არაოფიციალური ვერსია მოსკოვის ერთ-ერთი სასურსათო ბაზრის გამო დაწყებული სერიოზული კონფლიქტის შესახებ. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 90-იანი წლების ბოლოს მოსკვორეცკის ბაზარს აფხაზების დაჯგუფება აკონტროლებდა და მათი გავლენის განეიტრალება სამართალდამცველების დახმარებით გახდა შესაძლებელი. ბოლო ორი წლის მანძილზე კი ეს ბაზარი იმ იშვიათ ობიექტთა სიაში შევიდა, რომლებიც ბიუჯეტში გადასახადებს იხდიან. მარტო შარშან ამ ბაზრიდან მოსკოვის ხაზინაში 29 მილიონი რუბლი შესულა. ბოლო ხანებში აფხაზურ დაჯგუფებას ყოფილი საკუთრების დაბრუნება მოუნდომებია. ამასთან, იგი ერთადერთი არ არის, ვისაც შემოსავლიანი ობიექტის ხელში ჩაგდება სურს. კონკურენტებად მოსკვორეცკის ადგილობრივი დაჯგუფება და აზერბაიჯანელთა დანაშაულებრივი ჯგუფი მოიაზრება. გარკვეული ინფორმაციით, სწორედ გავლენის სფეროებისთვის ომს შეეწირა სალიბეი არძინბა. თუმცა, ოფიციალური წყაროები ამ ვერსიას არ ადასტურებენ. მეტიც, ზოგიერთი წყაროს ცნობით, ის მოსკოვში მხოლოდ ოჯახის მოსანახულებლად ჩადიოდა, ძირითად საქმიანობას კი სოხუმში ეწეოდა. სალიბეი არძინბას ოფიციალურ ბიზნესად სოხუმში რესტორნების ქსელი სახელდება. როგორც ამბობენ, აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებაში აკა არძინბას გავლენა სოხუმში მსგავსი დაწესებულებების გახსნის მსურველებს მნიშვნელოვნად უშლიდა ხელს. გავლენა კი აკა არძინბას მართლაც დიდი ჰქონდა. დღესდღეობით ვერავინ ადასტურებს, გააჩნდა თუ არა მას ახლო ნათესაური კავშირი ვლადისლავ არძინბასთან, თუმცა მათ ახლო ურთიერთობებზე ხმამაღლა საუბრობენ. ქართულ-აფხაზური შეიარაღებული კონფლიქტის დროს ბატალიონის მეთაურ აკა არძინბას სოხუმის აღებისთვის აფხაზეთის გმირის წოდება დაუმსახურებია. ომის დამთავრების შემდეგ კი შექმნილ მის პარტიაში (სახელწოდებით "ამცახარა") სერიოზულმა ძალამ მოიყარა თავი. პარტიაში შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილე მებრძოლები გაერთიანდნენ და საბრძოლო დამსახურებების სანაცვლოდ, საბაჟოზე კონტროლი მოიპოვეს. დღესდღეობით თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პარლამენტში "ამცახარა" ხმათა ერთ მესამედს ფლობს. თუმცა, იმასაც ამბობენ, რომ ეს პარტია ორ არძინბას შორის განხეთქილების ვაშლად იქცა. ამასთან, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ბოლო ხანებში ვლადისლავ არძინბა მაღალ თანამდებობებზე კანდიდატურების შერჩევისას აკა არძინბას რჩევებს ნაკლებად ითვალისწინებდა. მიუხედავად პოლიტიკურ დაპირისპირებებზე ლაპარაკისა, აკა არძინბას მკვლელობის პოლიტიკური ვერსია თითქმის არ განიხილება.

დღესდღეობით რუსი სამართალდამცველებისთვის ცალსახად მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ შემთხვევის ადგილზე ნაპოვნი 15 მასრა 7,62 კალიბრიან, მაყუჩიან პისტოლეტ-ტყვიამფრქვევ "სკორპიონიდან" არის გასროლილი.

## მოკლედ

**თბილისი.** სამართალდამცავები გამორიცხავენ გალის რაიონის სოფელ თაგილონში განლაგებული აფხაზური საგუშაგოდან ზუგდიდელი პოლიციელებისთვის ცეცხლის გახსნას, რის შედეგადაც ზუგდიდის კრიმინალური პოლიციის უფროსი ბეგლარ ფონია დაიღუპა. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს გალის რაიგანყოფილების უფროსის მოადგილის კობა მიქაიას განცხადებით, შემთხვევის ადგილი ოთხმხრივმა ჯგუფმა (გაეროს, რუსი სამშვიდობოების, ქართველებისა და აფხაზების მონაწილეობით) დაათვალიერა, თუმცა მნიშვნელოვანი არაფერი აღმოუჩენიათ. "პოლიციელებს გალის რაიონის სოფელ თაგილონიდან გაუხსნეს ცეცხლი. მართალია, თაგილონში აფხაზების საგუშაგოც არის განლაგებული, მაგრამ საგუშაგო ისეთ ადგილას მდებარეობს, რომ იქიდან ცეცხლის გახსნა ვერ მოხერხდებოდა", - თქვა კობა მიქაიამ. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე ქმარმა ცოლი მოკლა. ქუთაისის პოლიციამ დააკავა ქუთაისში მცხოვრები, 1955 წელს დაბადებული მურმან ჭოხონელიძე, რომელმაც ურთიერეთშელაპარაკების ნიადაგზე დანის მუცელში დარტყმით მოკლა მეუღლე, 1968 წელს დაბადებული მარინა ჭოხონელიძე. გამოძიებას აწარმოებს პროკურატურა. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** დააკავეს მკვლელობისთვის ძებნილი პირი. შს სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებრო მთავარი სამმართველოს ძებნის სამმართველოს თანამშრომლებმა, ქუთაისის პოლიციასთან ერთად, დააკავეს ყაზახეთის რესპუბლიკის შს სამინისტროს მიერ მკვლელობისთვის ძებნილი, 1973 წელს დაბადებული გალაქტიონ შანიძე. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციაში ნებაყოფლობით გამოცხადდა გაფლანგვისთვის ძებნილი, 1936 წელს დაბადებული ჯემალ წამალაშვილი, რომელიც შპს "საბურთალოს" დირექტორად მუშაობისას დაუკავშირდა "ინვალიდთა ლიგის" თავმჯდომარეს გია ძნელაძეს და თბილისის ქუჩებზე ინვალიდთა გადასასვლელებისა და "ინვალიდთა ლიგის" კუთვნილი შენობა-ნაგებობის კაპიტალური შეკეთების საბაბით, 1998 წლის 5 ნოემბრიდან 1999 წლის 31 დეკემბრამდე, ყალბი დოკუმენტის შედგენისა და გამოყენების გზით, ჯგუფთან ერთად, მიითვისა 626 596 ლარი. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**მოსკოვი.** საქართველოს მოქალაქე, რომელმაც რუსეთის დედაქალაქის მცხოვრებს 97 000 აშშ დოლარი გასტაცა, მოსკოვში დააკავეს.

დაზარებულის თქმით, მან ავტომობილი მაღაზიასთან დატოვა, საიდანაც ხსენებული თანხა გაიტაცეს. დამნაშავე, 35 წლის საქართველოს მოქალაქე აღმოჩნდა, რომლის ვინაობა გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე არ სახელდება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს იუსტიციის საბჭოსა და სამოსამართლეო სწავლების ცენტრის წარმომადგენლების შეხვედრაზე რამდენიმე საკითხი განიხილეს - ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების ქართულ სასამართლო პრაქტიკაში გამოყენება, სამოსამართლეო პრაქტიკის განზოგადების შედეგად გამოვლენილი ხარვეზების მეთოდურად აღმოფხვრა-გამოსწორება, ახლად დანიშნული მოსამართლეების სწავლებისა და სამოსამართლეო სამართლის პრობლემატიკა. იუსტიციის საბჭომ ყურადღება გაამახვილა ცენტრში საკონსულტაციო-მეთოდური საბჭოს შექმნის მიზანშეწონილობაზეც, რომლის ამოცანაც სამართლის ცალკეული დარგების მიხედვით მოსამართლეთა სატრენინგო პროგრამების შემუშავება და დამტკიცება იქნება. **24 საათი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს იუსტიციის საბჭოს კოორდინაციით, გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების (GTZ) ახალ ოფისში პირველად ჩატარდა სემინარი თბილისის პირველი ინსტანციის სასამართლოების მოსამართლეებისთვის. სემინარის თემა იყო სასამართლო გადაწყვეტილების მიღების მეთოდოლოგია. ამასთან იმსჯელეს დოქტორ ბოლინგისა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ლადო ჭანტურიას ერთობლივ წიგნზე, რომელიც უახლოეს პერიოდში გამოქვეყნდება. მოსამართლეებს შესაძლებლობა მიეცათ, ემსჯელათ იმ კონკრეტულ პრობლემებზე, რასთანაც დაკავშირებულია მათი ყოველდღიური საქმიანობა.

GTZ-ის ექსპერტთა შეფასებით, ქართველმა მოსამართლეებმა ცოდნის მაღალი დონე გამოამჟღავნეს. **24 საათი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინწინ, გვიან საღამოს პოლიციამ ასპინძის რაიონის სოფელ დამალასთან დააკავა ახალციხის სამხედრო ბრიგადიდან გაქცეული 9 სამხედრო მოსამსახურიდან 4.

როგორც ცნობილია, გუშინწინ დილით ახალციხის ბრიგადიდან გაიქცა ვაზიანის სამხედრო ნაწილიდან მივლინებული 11 სამხედრო მოსამსახურე. გამოდევნებისას ბრიგადის კომენდანტმა შალვა გოგოლაძემ ტაბელური პისტოლეტიდან გასროლით მოკლა 19 წლის რიგითი გიორგი გუგეშაშვილი. მისი მტკიცებით, ჯარისკაცი ასხლეტილი ტყვიით დაიღუპა.

პროკურორი ამ ვერსიას ნაკლებად სავარაუდოდ მიიჩნევს და პირობას დებს, რომ გამოძიების დროს ჭეშმარიტებას დაადგენს. სამსახურის დასრულებამდე დეზერტირებს სულ 3 თვე რჩებოდათ. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** ქუთაისელი მეხანძრეები იანვრის თვის ხელფასის გარეშე დარჩნენ. გუშინ ჯერჯერობით დაუდგენელმა პირებმა ქუთაისში ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის მოლარის კაბინეტში შეპარვა შეძლეს და სეიფი გატეხეს, საიდანაც 9 000 ლარი წაიღეს.

"სალარო სათანადოდ დაცული არ გვქონდა, შენობა ავარიულ მდგომარეობაშია, ყურადღებას არავინ გვაქცევს," - განაცხადა ქუთაისის სახანძრო სამსახურის უფროსმა დავით მელაძემ. აღნიშნულთან დაკავშირებით მოკვლევას ქუთაისის საგამოძიებო სამსახური აწარმოებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს იუსტიციის მინისტრმა მთავრობის დღევანდელ სხდომაზე სისხლის სამართლის კოდექსში შესატანი დამატებების პროექტი წარმოადგინა. როგორც როლანდ გილიგაშვილმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, კოდექსში დამატებების შეტანა, პირველ რიგში, სასჯელაღსრულების თანამშრომელთა პასუხისმგებლობის გამკაცრების საკითხს გულისხმობს. "უკანასკნელ ხანებში სასჯელაღსრულების დაწესებულებებიდან გაქცევის ფაქტები საკმაოდ გახშირდა. მიუხედავად იმისა, რომ არსებული სისხლის სამართლის კოდექსი ამ ფაქტზე გარკვეულ სასჯელს ითვალისწინებს, მიგვაჩნია, რომ ის ამ დანაშაულის სიმძიმის ადექვატური არ არის. ამიტომ ჩვენ ვაყენებთ საკითხს, რათა გამკაცრდეს იმ თანამშრომელთა პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებმაც თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობისადმი გულგრილობა და უპასუხისმგებლობა გამოიჩინეს" - აღნიშნა გილიგაშვილმა. **ინტერ-პრესი**

## ალქიმია


ქალური და მამაკაცური საწყისების ბრძოლა – ალქიმიური ხელნაწერიდან

### ფილოსოფიური ქვა

ამ ნივთიერების სიმბოლო იყო რიცხვი 10, რომელიც შუასაუკუნეობრივ მათემატიკაში სრულყოფილებას გამოსახავდა, რადგან მისი მიღება შესაძლებელი იყო შემდეგი ჯამით: 1+2+3+4. ბოლოდან თავისკენ ამ რიცხვთა მიმდევრობა სიმბოლურად შემდეგნაირად აისახებოდა: 4 სტიქია ანუ ელემენტი (ცეცხლი, ჰაერი, წყალი, მიწა), 3 საწყისი (გოგირდი, მარილი, ვერცხლისწყალი), 2 თესლი (მამრობითი და მდედრობითი), 1 ნაყოფი — თვით ფილოსოფიური ქვა.

ძველი ბერძნები ფილოსოფიურ ქვას მშრალი ფხვნილის სახით წარმოიდგენდნენ და მას "ქსერიონს" უწოდებდნენ (ბერძნულად "მშრალს" ნიშნავს). არაბულ ტრადიციაში ამ ტერმინმა მიიღო არტიკლი "ელ" — სწორედ აქედან მომდინარეობს სიტყვა "ელიქსირი".

ამ ნივთიერების შესახებ მრავალი მითიური წარმოდგენა არსებობდა: ფიქრობდნენ, მაგალითად, რომ თუ მომაკვდავი შეხედავდა ფილოსოფიურ ქვას, მისი მშვენიერებით მოხიბლული იმწამსვე გამოჯანმრთელდებოდა. ეს ქვა ისე წმენდდა სხეულს და ანათლებდა სულს, რომ მისი მფლობელი ნათლად ხედავდა მნათობთა ყოველ მოძრაობას. თანაც ამ ადამიანს ასტრონომიული დაკვირვების საწარმოებლად ფანჯრების გაღებაც კი არ დასჭირდებოდა.

ეს უკანასკნელი წარმოდგენა არაა შემთხვევითი, რადგან თავიდანვე ალქიმიურ ტრადიციაში ყოველი ლითონი დაკავშირებული იყო მზის სისტემის ცალკეულ პლანეტასთან. ერთ-ერთი ალქიმიური ტრაქტატის თანახმად, "დედამიწა არ შობს არაფერს, რაც მანამდე არ ყოფილა ზეცად". ასტროლოგიური წარმოდგენები მნიშვნელოვანია ალქიმიური ცოდნისათვის, მაგრამ უფრო ხშირად მისი საზრისის გაბუნდოვანებას იწვევს.

### ალქიმია და მედიცინა

ასევე შემთხვევითი არაა ფილოსოფიური ქვის შესახებ პირველი წარმოდგენაც. განკურნების ხელოვნება ძველთაგანვე ადამიანის სანუკვარი ოცნება იყო. მაგრამ ავადდებიან არა მხოლოდ ცოცხალი არსებები, არამედ ნივთიერებებიც. მაგალითად, თუ გამდნარ სპილენძში თუთიის მადნის ნატეხს ჩავაგდებთ, მივიღებთ "ხელოვნურ ოქროს" (ასე ეძახდნენ თითბერს). დროთა განმავლობაში "ხელოვნური ოქრო" ავადდებოდა და სხეულზე მწვანე წყლულები უჩნდებოდა. ახლა ცნობილია, რომ ადგილი ჰქონდა სპილენძის ჟანგვას, მაგრამ ალქიმიკოსები "სნეულ" ლითონს ადამიანივით მკურნალობდნენ (სხვათა შორის შელოცვებითაც) და ამ პროცესის აღსაწერად სამედიცინო ტერმინოლოგიას იყენებდნენ. აქედან გამომდინარე ფილოსოფიურ ქვას ხშირად არა მარტო ელიქსირს, არამედ მედიკამენტსაც უწოდებდნენ.

### შუა საუკუნეების ალქიმოკოსები

ალქიმიის შესახებ ყველა ცნობამ ჩვენამდე ევროპული შუა საუკუნეების გავლით მოაღწია. ყველაზე ცნობილია **ალბერტუს დიდისა** და როჯერ **ბეკონის ტრაქტატები**. ამ ორის გარდა ცნობილია კიდევ **რაიმონდ ლული** და **არნოლდ ვილანოველი**. რათა იდუმალი ცოდნა პროფანთა ხელთ არ ჩავარდნილიყო, ალქიმიკოსები თავიანთ ტრაქტატებს მეტად ბუნდოვანი ენით წერდნენ, ხშირად შიფრავდნენ კიდეც ნაწერს და ბევრი შიფრი დღემდე გამოუცნობად რჩება.

მაგალითად, რაიმონდ ლულის წიგნი "კლავიკულა" (პატარა გასაღები) ასე იწყება: "წიგნს პატარა გასაღები იმიტომ ჰქვია, რომ ამ წიგნის გარეშე სხვა ჩვენი წიგნების გაგება შეუძლებელია. ეს წიგნები შეიცავს მთელს ხელოვნებას, მარგამ ჩვენს მიერ გამოყენებულ სიტყვებს გაუნდობელნი ვერ მიხვდებიან. მე მრავალი ვრცელი ტრაქტატი დავწერე, მაგრამ თავებად დავყავი ისინი და გავაბუნდოვანე მათი ენა".

ამიტომ ალქიმიკოსთა ცხოვრება ყოველთვის ლეგენდებით იყო გარემოცული. მაგალითად, ყვებიან, რომ ალბერტუს დიდმა და თომა აკვინელმა შექმნეს მოლაპარაკე თავი, რომელსაც ყველა კითხვაზე შეეძლო პასუხის გაცემა. ამ ლეგენდის საფუძველი იყო ლათინური ტერმინი caput mortuum (მკვდარი თავი), რომელიც გამოიყენებოდა დისტილაციის პროცესის შემდეგ დარჩენილი სხვადასხვა მყარი ნალექის აღსანიშნავად.

უბრალო ლითონებიდან ოქროს მიღების პერსპექტივა ალქიმიაში მრავალ თაღლითსაც უხსნიდა გზას. ესენი ხშირად ეკედლებოდნენ მსხვილ არისტოკრატებს, რომლებსაც ოქროს ხელოვნურად მიღებას პირდებოდნენ. "პატიოსან" ალქიმიკოსთა უმრავლესობა კი სიღარიბეში კვდებოდა, რადგან ლაბორატორიის მოწყობას დიდი თანხები სჭირდებოდა. ალბერტუს დიდს მიეწერება შემდეგი სიტყვები: "თუ შენ არ გაგიმართლა და მსხვილ სენიორთა საზოგადოებაში მოხვდი, ისინი არ მოგასვენებენ და მუდამ დაგტანჯავენ კითხვებით: "აბა, ოსტატო, როგორ მიდის საქმე? როდის მივიღებთ სასურველ შედეგს?". მოუთმენლობისგან განრისხებულნი, ისინი მუდამ გიწოდებენ ყალთაბანდსა და არამზადას, მოგაყენებენ ყოველნაირ ტკივილსა და შეურაცხყოფას. თუ ცდა არ გამოგივა, თავიანთი სიცოფის მთელს ძალას შენს წინააღმდეგ მიმართავენ, ხოლო თუ გამოგივა — მარადიულ ტყვეობაში გამყოფებენ, რათა სიკვდილამდე მათ სასარგებლოდ მუშაობდე".


ტყუპების ზოდიაქო – ალქიმიური ხელნაწერიდან

# ვარდისა და ჯვრის რაინდები

### როზენკროიცერული ბუმი გერმანიაში

საერთო საზოგადოებრივი აღფრთოვანება, რომელიც მანიფესტების გამოქვეყნებას მოჰყვა, სულ მალე მღვრიე ნაკადად გადაიქცა: ძალიან ბევრნი ისე ესწრაფოდნენ მასთან შეერთებას, რომ არც კი ესმოდათ, რა ხდებოდა.

XVII საუკუნის პირველ მეხუთედში, ქალაქ ჰაიდელბერგში განლაგებული იყო პფალცის კუფიურსტის (მმართველის), **ფრიდრიხ I**-ის კარი. ახალგაზრდა კურფიურსტი ინგლისის დიდი თაყვანისმცემელი იყო. სწორედ მას უნდა უმადლოდეს გერმანია ჯონ დის იდეების პროპაგანდას. გარდა ამისა, ფრიდრიხი, რომელიც პროტესტანტული უნიის ანუ კავშირის ხელმძღვანელიც იყო, სრულიად გერმანიის გაერთიანებასაც ესწრაფოდა. სწორედ ფრიდრიხის პოლიტიკური მოკავშირეები უწყობდნენ ხელს გერმანიაში როზეკროიცერული ბუმის გაღვივებას. მთელი ბუმი 1620 წელს ჩაცხრა და ეს თარიღი ჰაიდელბერგული კარის დასასრულს ემთხვევა.

მანამდე კი გერმანიას წიგნების ნიაღვარი მოედო. პუბლიკაციათა უმრავლესობის ავტორები ალალი ადამიანები იყვნენ. ისინი ძმობის წევრთა მოღვაწეობით აღფრთოვანებას გამოხატავდნენ და მასში ჩაწერის უფლებას ითხოვდნენ. სხვები როზენკროიცერთა მოღვაწეობისადმი მიძღვნილ უფრო ვრცელ ტრაქტატებს თხზავდნენ და ასე ცდილობდნენ უხილავ ძმათა ყურადღების მიპყრობას. იყვნენ როზენკროიცერთა მოწინააღმდეგენიც, რომლებიც ძმებს ჯადოქრობაში და სახელმწიფო ღალატში ადანაშაულებდნენ.

განსაკუთრებულ ინტერესს იმ ავტორთა ნაწარმოებები იმსახურებს, რომლებსაც უფრო დიდი ინფორმაცია ჰქონდათ როზენკროიცერული მოძრაობის შესახებ და, შესაძლოა, მონაწილეობდნენ კიდეც მასში. მათ, მაგალითად, მიეკუთვნება ავტორი 1618 წელს გამოცემული წიგნისა "ვარდჯვრისეული სიბრძნის სარკე", ვინმე თეოფილ შვაიგჰარდტი — ეს, ნამდვილად, ფსევდონიმია, რომლის ქვეშ, შესაძლოა, თვით ვალენტინ ანდრეე იმალება). ავტორი ამტკიცებს, რომ უხილავ ძმათა პანსოფიურ (საყოველთაო სიბრძნის) მოღვაწეობას სამი მიმართულება აქვს: 1) საღვთომაგიური; 2) ფიზიკური ან "ქიმიური"; 3) "სამგზის სამერთიანი", ანუ საყოველთაო რელიგიური. პირველი, როგორც ეტყობა, ებრაული კაბალისა და შუასაუკუნეობრივი მაგიის გამოყენებას ეხება, მეორე — ბუნების კანონთა კვლევას, მესამე — სხვადასხვა რელიგიათა და აღმსარებლობათა შორის შეთანხმების პოვნას.

წიგნი სავსეა ალეგორიული მნიშვნელობის მქონე მრავალი გრავიურით. ამ გრავიურებზე წამდაუწუმ გვხვდება ალქიმიური ხელსაწყოები, რელიგიური და ჰერალდიკური სიმბოლოები, ქრისტიან როზენკროიცერის ინიციალები. იმ დროიდან მოყოლებული, მსგავსი გამოსახულებები და სიმბოლოები მომთაბარეობენ წიგნიდან წიგნში, ფილმიდან ფილმში. დღეს ისინი უკვე დეტექტივის, ჰორორისა და მისტიური თრილერის ჟანრების თითქმის განუყოფელი ატრიბუტია.

როზენკროიცერთა სხვა დამცველებს შორის ყურადღებას იმსახურებენ იულიანე კემპიელი და იულიუს შპერბერი. ამ უკანასკნელის კალამს ეკუთვნის ტრაქტატი "ღირსსაქებარი და უზენაესად განათლებული როზენკროიცერული საძმოს ექო", რომელიც 1615 წელს გამოქვეყნდა დანციგში (გდანსკი). შპერბერი ნამდვილი გვარია ადამიანისა, რომელიც საკმაოდ ახლო იყო პფალცის კურფიურსტის კართან. წიგნი ერთი მხრივ კაბალისტურ და მაგიურ ცოდნას ქადაგებს, მეორე მხრივ კი — აცხადებს **ნიკოლოზ კოპერნიკის** მიერ შემოთავაზებული ჰელიოცენტრული სისტემის ერთადერთ ჭეშმარიტებას და ყველას მოუწოდებს მისი აღიარებისკენ, რადგან ეს ჭეშმარიტება "იეროგლიფებითაა ჩაწერილი ბუნების წიგნში".

ამგვარი შინაარსის კიდევ ერთი წიგნია "აყვავებული ვარდი", რომელიც 1617 წელს გამოქვეყნდა და მისი ავტორის ფსევდონიმია **ფლორენტინ ვალენსიელი**. წიგნში ჩამოთვლილია მეცნიერებათა განვითარების ნაკლოვანებები: ასტრონომიაში უამრავი ხარვეზია, ასტროლოგია უკიდურესად არასაიმედოა, ფიზიკაში ჯერაც ვერ უსწავლიათ ექსპერიმენტის სათანადო დაფასება, ეთიკა დიდი ხანია საჭიროებს თავისი საფუძვლების გადასინჯვას, მედიცინაში კი სხვა არაფერია ინტუიციური მიგნებების გარდა. ყველა ამ შეფასებას ჩვენც დავეთანხმებოდით ჩვენი სამეცნიერო გამოცდილების სიმაღლიდან, იმ დროში კი ამ ნაკლოვანებებზე სერიოზული მინიშნება ფრენსის ბეკონს ეკუთვნის. "აყვავებული ვარდის" ავტორის აზრით ბუნების შემეცნების სურვილი ადამიანის რელიგიური რწმენითაა განპირობებული, რადგანაც ქმნილება თავის თავში შემოქმედის სახეს ატარებს. როგორი გულუბრყვილოც არ უნდა იყოს ფლორენტინ ვალენსიელის არგუმენტაცია, ვისი გავლენის ქვეშ არ უნდა იყოს იგი მოქცეული, მისი ტექსტის ზოგადი ტენდენცია მეცნიერებათა საყოველთაო განვითარებისკენ მოწოდებას გულისხმობს.

რაც შეეხება როზენკროიცერთა კრიტიკოსებს, მათი უმნიშვნელოვანესი საბუთი იყო უხილავ ძმათა რელიგიური პოზიციის გაურკვევლობა. ზოგი მათ ლუთერანებს უწოდებდა, ზოგი — კალვინისტებს. იყვნენ ისეთებიც, ვინც როზენკროიცერთა და იეზუიტთა იდენტურობას ამტკიცებდა. აქ სულიერი მოძრაობის მეტად მნიშვნელოვანი თვისება იჩენს თავს — მისი ყოვლისმომცველობა, რაც სხვადასხვა რელიგიური მიმდინარეობების დაუბრკოლებელ ათვისებაში გამოიხატებოდა. როგორც ეტყობა, როზენკროიცერული მოძრაობის მონაწილეები საყოველთაო ფილოსოფიური თუ პანსოფიური მოძღვრების დასამკვიდრებლად ერთგვარი აკონფესიური საფუძვლის შექმნას ცდილობდნენ.



როზენკროიცერთა იდეალური ქალაქის გეგმა

საინტერესოა, რომ როზენკროიცული წიგნების ავტორები, თუნდაც ფსევდონიმის ქვეშ დაფარული ვინაობის მქონენი, ამბობდნენ, რომ თვითონ არ მიეკუთვნებოდნენ უხილავ ძმობას. ძმობის უხილავობა როზენკროიცერული მითის არსებითი ნაწილია. მაგრამ, როგორც ერთ-ერთი გრავიურის შესწავლიდან ვიგებთ, გაუნდობელი მაგრამ თანამგრძნობი და მართალი ადამიანი შეიძლება ძმობის მფარველობის ქვეშ აღმოჩნდეს.

რაც შეეხება იეზუიტებს, მათ მეტად გონებამახვილურად გამოიყენეს თავის სასარგებლოდ როზენკროიცერული სიმბოლიკა, რითაც კათოლიკეების მიერ დაპყრობილ პროტესტანტულ მიწებზე თავიანთი გავლენის გავრცელებას ცდილობდნენ. უფრო მეტიც, იეზუიტები ავრცელებდნენ აზრს, რომ სწორედ მათი ორდენი იგულისხმებოდა როზენკროიცერთა საიდუმლო ძმობაში. ფიქრობდნენ, რომ ასე დაპყრობილ პროტესტანტულ მოსახლეობას გაუადვილდებოდა კათოლიკური ეკლესიის წიაღში დაბრუნება.

თანდათანობით როზენკროიცერული ბუმის შედეგები დავიწყებას მიეცა. 1633 წელს მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო თანამგრძნობი, **რობერტ ფლადი** წერდა: "მათ, ვინც ოდესღაც ვარდისა და ჯვრის ძმებად იწოდებოდნენ, დღეს უბრალოდ ბრძენკაცებს ეძახიან, მათი პირვანდელი სახელი კი იმდენად საძულველი გახდა თანამედროვეთათვის, რომ სრულიად წაიშალა საკაცობრიო მეხსიერებიდან".

### როზენკროიცერები და საფრანგეთი

1623 წელს პარიზში გამოჩნდა განცხადება, რომელიც ამ ქალაქში ვარდისა და ჯვრის უხილავი ძმობის გამოჩენას მოასწავებდა. ამავე წელს **გაბრიელ ნოდემ** გამოაქვეყნა ნაშრომი, სადაც როზენკროიცერების არსებობას უარყოფდა, ხოლო განცხადების შედგენაში ადანაშაულებდა ადამიანებს, რომლებსაც ფრანგული სინამდვილის მოწყენილობაში ოდნავი სიცოცხლის შემოტანა სურდათ. აქვე უნდა ითქვას, რომ არც ერთი განცხადება არ შემონახულა, ხოლო მისი ტექსტი თვით ნოდეს თხზულებიდანაა ცნობილი. აქ შეგვიძლია გავიხსენოთ იტალიელი მწერლის, **უმბერტო ეკოს** რომანი "ფუკოს ქანქარა", რომელშიც ნათქვამია, რომ ძმობის არსებობის დაჟინებული უარყოფა, შესაძლოა, მისკენ საზოგადოების ყურადღების მიმართვის ერთ-ერთი ხერხი იყო — გავიხსენოთ, რომ საბჭოთა დროს "მფრინავ თეფშებზე" ჭორების გამოჩენა და მათი აქტიური უარყოფა საეჭვოდ ემთხვეოდა დისიდენტური მოძრაობის პიკებს.

საფრანგეთში როზენკროიცერული მითი უფრო რომანტიულ შეფერილობას იღებს: აცხადებენ, მაგალითად, რომ ძმათა რიცხვი 36-ის ტოლია და ისინი ექვსკაციან ჯგუფებად არიან მოდებული მთელს მსოფლიოში. აქვე დაადანაშაულეს პირველად როზენკროიცერები სატანიზმში: ნოდეს წიგნში წერია, რომ ლიონში მათი შეკრება ჯოჯოხეთის თავადის ნიშნით მიმდინარეობდა. ნოდე ამტკიცებს, რომ როზენკროიცერთა დაინტერესება მეცნიერებით მხოლოდ ცბიერი ხერხია ადამიანების მისატყუებლად და მათ წარსაწყმედად.

ეს უკვე ვალენტინ ანდრეეს "ხუმრობა" აღარ იყო, რადგან ძმობის წევრობაში ბრალდებას შეიძლება სერიოზული და საშიშიც აღმოჩენილიყო ყოველი ადამიანისათვის. ფრანგი იეზუიტი, **ფრანსუა გარასი** წერდა, რომ როზენკროიცერები ძალზე საშიშ საიდუმლო სექტას წარმოადგენენ. გარასი, მაგალითად, ამბობს, რომ ძმობის წევრები ლოთები და ჩუმჩუმელები არიან, რის გამოც თავიანთ სიმბოლოდ ვარდი აირჩიეს — ერთობ საინტერესო დასკვნაა თავისი აბსურდულობით. გარასზე უფრო ჭკვიანი და, შესაბამისად, საშიშია უკვე ნახსენები გაბრიელ ნოდე, რომელიც როზენკროიცერულ სიმბოლიკას დროში ავრცელებს და ამ "სახიფათო სნეულების" პირველ ნიშნებად "პოეტთა მონაჩმახს" აცხადებს. ამ სიაში მოხვდა **ტომას მორის** "უტოპია" და **ფრანსუა რაბლეს** "გარგანტუა და პანტაგრუელი".

საინტერესოა, რომ ნოდემ ორი წლის შემდეგ, 1625 წელს გამოაქვეყნა წიგნი "დიადი ადამიანების გამართლება". თურმე მაგიის სხვადასხვა სახეობა არსებობს. მხოლოდ ეშმაკის შავი მაგიაა ბოროტი და სწორედ ამ მაგიას არასოდეს მიმართავდნენ დიდი ადამიანები: **ზოროასტრი**, **ორფეოსი**, **პითაგორა**, **სოკრატე**, **პლოტინი**, **პორფირიუსი** და სხვები.

ყველა ეს პერსონაჟი წინა თხზულებაში უხილავი ძმების წინამორბედად იყო გამოცხადებული. ნოდე ამბობს, რომ ჯადოქრობასა და ბოროტებაში ცრუ ბრალდება ორი მიზეზით ხდება შესაძლებელი: 1) უმეცარნი ხშირად აბრალებენ მეცნიერებს ჯადოქრობას, რადგან თვითონ ვერ ხვდებიან მათ მიერ მიღებული შედეგების ჭეშმარიტ ბუნებას; 2) უმეცართა ეჭვს მეცნიერთა გადაჭარბებული "პოლიტიკურობა", ანუ რელიგიური დოგმების მიმართ შემწყნარებლური დამოკიდებულება აღძრავს. აქ მნიშვნელოვანია ტერმინის არჩევა: შემწყნარებელსა და პოლიტიკურს შორის გავლებულია ტოლობის ნიშანი, რადგანაც რელიგიური შეუწყნარებლობა უფრო ხშირად დაბრკოლება იყო სახელმწიფო ინტერესებისათვის.

საფრანგეთში როზენკროიცული ეპოპეის ერთ-ერთი საინტერესო ეპიზოდი დაკავშირებულია დიდი მათემატიკოსისა და ფილოსოფოსის, **რენე დეკარტეს** სახელთან. თუმცა უნდა ითქვას, რომ საქმე რაიმე ეპიზოდთან კი არა გვაქვს, არამედ ერთ გარემოებასთან: დეკარტემ ერთხელ ყველასათვის დასანახად უარი თქვა არჩეულ ცხოვრების წესსზე, რათა პარიზში დარჩენილ მის მეგობრებს არ ეფიქრათ, რომ იგი უხილავ ძმობას ეკუთვნოდა. ფილოსოფოსი გერმანიაში სწორედ როზენკროიცული ბუმის პერიოდში იმყოფებოდა. იქ გაიგო მან მითიური ძმობის შესახებ და ძებნა დაუწყო მას. მაგრამ, რა თქმა უნდა, ვერ იპოვა. დეკარტეს განსაკუთრებული ჩაკეტილობის გამო მის ირგვლივ ეჭვი აღიძრა. ამიტომაც მეცნიერმა უფრო გახსნილ ცხოვრებას მიჰყო ხელი, რათა ეჭვები დამცხრალიყო.

დეკარტეს მაგალითი გვარწმუნებს: უმრავლესობა ვერასოდეს იტანდა განსხვავებულად მოაზროვნე და განცალკევებით მცხოვრებ ადამიანებს.


რენე დეკარტი

### დასკვნა

ყოველივე ზემოთქმული როზენკროიცერთა უხილავ ძმობასთან დაკავშირებული ფაქტების მხოლოდ უსასრულოდ მცირე ნაწილია. მისი ისტორია რამდენიმე დასკვნას გვკარნახობს: არარეალური ხშირად უფრო დიდ გავლენას ახდენს ჩვენს ცხოვრებაზე, ვიდრე რეალურად არსებული; საიდუმლოება არდავიწყებისა და ინტერპრეტაციათა გამრავლების ყველაზე ძლიერი საშუალებაა; შეცდომებს განსაკუთრებული ენერგია აქვთ, რომელიც შემოქმედებას მხოლოდ აღვივებს.

რაც შეეხება იმათ, ვისაც მითიური ძმობა დღესაც ბოროტების წყაროდ მიაჩნია, მათთან კამათი არასოდეს ყოფილა ჭეშმარიტებისთვის სასარგებლო.

ნოდარ ლადარია
ლეილა ბეჟარაშვილი

ნომრის პერსონა

# საფეხბურთო მატჩი ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის

## მსაჯი ხელისუფლების გუნდის კაპიტანია...

*ოპოზიცია კიდევ ერთხელ გაერთიანდა. მოვლენების ცენტრში "ახლები" არიან. ეს გაერთიანება არ მოჰყოლია პარლამენტში ხელისუფლების ბიუჯეტის მიღებას, არც ზვიადისტებისგან რუსთაველის გამზირის გათავისუფლებას, არც ბათიაშვილი-"ახლების" სკანდალს. გაერთიანება მოჰყვა ამ ყველაფერს პლუს პრეზიდენტის წინააღმდეგ "ჟორბენაძე და კომპანიის" "შეთქმულების" გახმაურებას. ვისაც დრო და ხალისი ექნება, განვითარებულ მოვლენებში ნამდვილად იპოვის ლოგიკურ ჯაჭვს. უფრო მოკლედ ამას სცენარი ჰქვია. არიან თუ არა გამოცდილი "დრამატურგის" მიერ დაწერილი ამ სცენარის მსხვერპლი - ბიუჯეტი, ზვიადისტები და "ახლები", ამას არანაკლებ გამოცდილი ექსპერტები მოგვახსენებენ. ყოველ შემთხვევაში, განსაკუთრებით უკანასკნელ წელს, ლოგიკური დესტაბილიზაცია და ლოგიკური აბსურდები ხდება.*

მაია ჭალაგანიძე

**- ამჯერად რას ემსახურება ოპოზიციურ ძალთა გაერთიანება და რით განსხვავდება ის პოლიტიკის კრიმინალიზაციის წინააღმდეგ შემდგარი გაერთიანებისგან?**

- განსხვავდება იმით, რომ დღის წესრიგში ერთი საკითხი დგას: "არჩევნები ძალადობისა და გაყალბების გარეშე". ჩვენ, ყველას, ერთი მიზანი გვაქვს – არჩევნები ჩავატაროთ დემოკრატიული პრინციპით. გვინდა, ხელისუფლებას, ოპოზიციასა და სხვადასხვა პოლიტიკურ ძალას შორის ნამდვილი პარიტეტი იყოს. შეიქმნას ჯანსაღი, კონკურენტუნარიანი გარემო. ამისთვის აუცილებელია საარჩევნო კანონმდებლობაში მთელი რიგი პარტიების აზრისა და ინტერესების გათვალისწინება. თუ საარჩევნო კანონმდებლობის ირგვლივ ვინმე ძალადობას მიმართავს - და ეს, პირველ რიგში, ხელისუფლებას ეხება - ამის წინააღმდეგ მთელი ოპოზიცია ერთსულოვანი უნდა იყოს. ოპოზიციის ერთმანეთთან ქიშპობა ხელისუფლების წისქვილზე დაასხამს წყალს და ხელს შეუწყობს ძალადობის გზით მათ დამკვიდრებას ხელისუფლებაში. ამიტომაც, ამ სიტუაციაში ერთმანეთის ჭამა (რაც, სამწუხაროდ, ახასიათებს ოპოზიციას) სრულიად უნდა გამოირიცხოს.

**- როგორ გგონიათ, რამდენ ხანს და რა გზით შეინარჩუნებს ოპოზიცია ერთიანობას? ტრადიციულად, საქართველოში ეს დიდხანს არ გრძელდება ხოლმე. უთანხმოების წინააღმდეგ გაქვთ თუ არა შემუშავებული რაიმე დამცავი მექანიზმი?**

- ერთადერთი დამცავი ბერკეტი არის დემოკრატიული საარჩევნო კანონის მიღება. თუ ამ კანონში ოპოზიციური ძალების ჯანსაღი ინტერესების გაზიარება იქნება შესაძლებელი (მიმაჩნია, რომ შეუძლებელი არაფერია), ეს ოპოზიციის ერთიანობას შეუწყობს ხელს. გაერთიანება პარტიული სიებით არ მოხდება, რადგანაც არ შეიძლება, სხვადასხვა მსოფლმხედველობის პარტიებს, რაც უნდა დიდი მეგობრები იყვნენ მათი ლიდერები, ქვეყნის მართვის ერთნაირი ხედვა ჰქონდეთ. არჩევნები - ეს არ არის მხოლოდ მოგება. არჩევნები - ეს არის იმ ვალდებულებების შესრულება, რაც ქვეყნისა და მოსახლეობის წინაშე ავიღეთ.

არსებობს ქვეყნის მართვის სხვადასხვა გზა: გზა მემარცხენეობისა, რომელიც, თავიდან ბოლომდე, მემარცხენულ იდეებზეა დამყარებული და გზა მემარჯვენეობისა, რომელიც თავიდან ბოლომდე ეკონომიკაზე, კერძო საკუთრებაზეა დამყარებული. მიუხედავად ამისა, პარტიათა რეიტინგებისა, ოპოზიციას ერთი მთავარი რამ სურს - არჩევნების დროს იყოს თანასწორუფლებიანი მოთამაშე. დღეს კი მიმდინარეობს ფეხბურთის მატჩი ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის, სადაც მსაჯი ხელისუფლების გუნდის კაპიტანია. ჟორბენაძე, სახელმწიფო მინისტრი და "მოქალაქეთა კავშირის" თავმჯდომარე, აცხადებს, რომ ის არის არჩევნების დემოკრატიულად ჩატარების გარანტი - საზოგადოებისთვის ამაზე დიდი შეურაცხყოფა აღარ არსებობს. ამას გარდა, ის აცხადებს: არჩევნები რომ დემოკრატიულად ჩატარდეს, უნდა შეიქმნას სახელმწიფო კომისია, რომელსაც სათავეში ჩაუდგება... შინაგან საქმეთა მინისტრი. არჩევნების თემის ამაზე დიდი შეურაცხყოფა აღარ არსებობს... ეს განცხადება აღვიქვი, როგორც ძალისმიერი მეთოდებით ხელისუფლებაში მოსვლის სურვილი.

**- უკანასკნელ ერთ წელიწადში პოლიტიკურ ცხოვრებაში ძალისმიერი მეთოდები ფართოდ დაინერგა. ვგულისხმობ პარლამენტსაც. არა მგონია, ხელისუფლებამ არ იცოდეს, რომ ამ გზით მოსახლეობის კეთილგანწყობას ვერ მოიპოვებს. როგორ გგონიათ, მოსაჩვენებლად მაინც, რატომ არ ცვლის მეთოდებს ხელისუფლება?**

- პირველ ყოვლისა, ამის მიზეზი სულმოკლეობაა. მათ ხელისუფლებაში მოსვლა ეჩქარებათ. ხელისუფლება ერთადერთი საარსებო ადგილია მთელი მათი ცხოვრების მანძილზე. მათ არა აქვთ რეიტინგი და ვერც მოიპოვებენ მას. ასე რომ, ძალისმიერი და არასწორი მეთოდების გარდა, სხვა გზა აღარ დარჩენიათ. ეს არის ერთადერთი გზა, გადაარჩინონ საკუთარი თავი, ძალაუფლება და ფული.

მარტივ მაგალითს მოგახსენებთ: უკვე მთავრდება ჩვენი პარტიის მიერ თბილისის ამომრჩეველთა აღწერა და, დაახლოებით, ასეთი შედეგია: საარჩევნო სიები 40 პროცენტით არის ფალსიფიცირებული (მეტია თუ ნაკლები, ამას ახლა ითვლიან). თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ამომრჩევლის, სულ ცოტა, 30 პროცენტი სხვადასხვა მიზეზით არჩევნებზე არ მოდის, 70-პროცენტიანი რეზერვია იმისა, რომ არჩევნები ადვილად გააყალბო.

**- როგორც ცნობილია (და ეს თქვენც განაცხადეთ), პარლამენტში გამოსატანად კანცელარიას უკვე მზადა აქვს საარჩევნო კანონი და საკონსტიტუციო ცვლილებები. რას დაუპირისპირებთ ამას?**

- დღევანდელი ბიუჯეტი ქვეყანას უთვალავი მილიონი დაუჯდა. ბანანის ქვეყანაშიც არ ხდება, რომ ქვეყანას - ხელფასების, სოცანარიცხების, პენსიების ფულს, ბიზნესმენების მიერ გადახდილ თანხას - სახელმწიფო მინისტრი ისე განკარგავს, როგორც თავისას. და მხოლოდ იმიტომ, რომ შეინარჩუნოს თანამდებობა. წლევანდელი ბიუჯეტი სახელმწიფო მინისტრს ათეულობით მილიონი დაუჯდა: ტრანსფერები მაჟორიტარებს, ფულის გაცემა სააგენტოებზე, ფულის გაზრდა კონკრეტულ ორგანიზაციებზე და ა.შ.

ჩემი აზრით, ბიუჯეტს "ეროვნული ბიუჯეტი" უნდა ერქვას. ის ქვეყნის ხერხემალი უნდა იყოს. დღეს ნომენკლატურული ბიუროკრატები ბიუჯეტიდან ისე იპარავენ ფულს, თითქოს ისევ საბჭოთა სისტემა იყოს და არაფერი შეცვლილა. ზოგს ეამაყება კიდეც, რომ საკუთარ ეროვნულ ბიუჯეტში იქექება, იპარავს, არიგებს და განაგებს.

ამას, რა თქმა უნდა, დავუპირისპირდებით და გამოვიყენებთ ბრძოლის ყველა ცივილურ და რადიკალურ მეთოდს. ამ ბრძოლაში ჩავრთავთ ჩვენს ყველა მხარდამჭერს -ინტელიგენციიდან, ახალგაზრდობიდან, საზოგადოებიდან, სტუდენტობიდან...

**- მაგრამ ისინი პულტს ხელს ვერ დააჭერენ...**

- არა, მაგრამ გამაფრთხილებელი აქციები და სხვა ზომები სუსტ და დამნაშავე ხელისუფლებას აიძულებს, დანაშაულის მასშტაბები მაინც შეამციროს. დანაშაულს ვუწოდებ იმ კანონებსაც, რაც დღეს ხელისუფლების შესანარჩუნებლად თუ ასაღებად მზადდება.

**- დღევანდელი საკრებულო ერთგვარი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეუძლია ოპოზიციას მართოს ქვეყანა. ხართ საკრებულოს ინტერფრაქციული ჯგუფის ხელმძღვანელი და პირადად მუშაობთ ქალაქის ბიუჯეტზე. რა არის პრიორიტეტები? საერთოდ, როგორ მუშაობთ ხელისუფლებასთან?**

- იმიტომაც, რომ საკრებულო ოპოზიციურია, დავთანხმდი, მემუშავა იმ პრინციპებზე, რაც უმთავრესია მუნიციპალური ბიუჯეტის აწყობისა და მიღების დროს. ის მუნიციპალური ბიუჯეტი, რაც აქამდე იყო, საბავშვო ბაღის დოკუმენტია. პრაქტიკულად, არ არსებობს შემოსავლისა და გასავლის არავითარი აღრიცხვა, ანალიზი და სტატისტიკა. ბიუჯეტი იმისთვის იწერება, რომ მთელმა მუნიციპალურმა იერარქიამ, მერიით დაწყებული, ბოლო მუშით დამთავრებული, იშოვოს ფული. მერიის ყველა სამსახური იმისთვის კი არ შეიქმნა, რომ ქალაქსა და მის მოსახლეობას გაუკეთონ რამე, არამედ იმიტომ, რომ იშოვონ ფული. თავიდან ბოლომდე კომუნისტური სტრუქტურაა. ამიტომაც არ არსებობს არავითარი თანამედროვე აღრიცხვა. მაგრამ, იმის გამო, რომ თავად საკრებულო იყო ოპოზიციური და, მართლაც, გვინდა ვითარების გამოსწორება, დავთანხმდი, მემუშავა. სწორედ იმ დღეს უნდა დამემთავრებინა ბიუჯეტზე მუშაობა, როცა ჩვენს ოფისს თავს დაესხნენ. თუმცა, ეს დოკუმენტი უკვე მზადაა.

**- რა შეცვალეთ?**

პრობლემები შემოსავლებში, გასავლებში და სტრუქტურაში ბიუჯეტის ზედაპირზევე გამოიძებნა. მუნიციპალური სტრუქტურა კონკრეტული ადამიანის ინტერესებზე არ უნდა იყოს მორგებული. არსებული სისტემით არაკვალიფიციურობისა და კორუფციისთვის კონკრეტული რაიონის გამგებელს ვერ ხსნიან. ამიტომაც მას უქმნიან დამატებით სამსახურს, რათა იქ გადაიყვანონ. წლების განმავლობაში მერია გახდა დიდი, ამორფული ორგანიზაცია (იქ 1800 ადამიანი მუშაობს), რომელიც კონკრეტული ადამიანებისთვის არის შექმნილი. მიმაჩნია, რომ ეს პრინციპი თავიდანვე უნდა გამოირიცხოს.

**- ამაში ახალი არაფერია. ეს ასეც უნდა იყოს...**

- დიახ, ეს ელემენტარულია, მაგრამ თუ ბიუჯეტი ისევ ადამიანებზე იქნება მორგებული, ხმას არ მისცემენ. თუ სტრუქტურა ქმედუნარიანი არ გახდა და კონკრეტული ბიუჯეტის შესრულების უზრუნველყოფა ვერ მოხერხდა, ასეთ ბიუჯეტს მხარი არ უნდა დაუჭირონ. ქალაქის ბიუჯეტის შემოსავლებში და სახელმწიფო სტატისტიკური სამმართველოს მიერ მოწოდებული მონაცემებით, ზედაპირზევე ვიპოვეთ რეზერვი 40 მილიონი ლარის ოდენობით. ეს ფული არსებობს, მაგრამ ვიღაცის ჯიბეში მიდის...

**- იმ ხალხმა, როგორც თქვენ ამბობთ, ვინც მხოლოდ საკუთარი ჯიბისთვის იმუშავა (გამგებლები, პრემიერები), არც ოპოზიციური საკრებულოს პირობებში აგო პასუხი. მათ თანამდებობები "გაცვალეს". რატომ წავიდა კომპრომისზე საკრებულო ქალაქის მთავრობის დამტკიცებისას?**

- სწორედ აქ არის განსხვავება მემარცხენეობასა და მემარჯვენეობას შორის. აქაც სულსწრაფობას ჰქონდა ადგილი. მინდა, ოპოზიციაც და მეც, ერთმანეთზე საუბრისას, კორექტულები ვიყოთ, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელისუფლების წისქვილზე დავასხამთ წყალს. ამიტომაც კორექტულობის ჩარჩოებიდან შეგახსენებთ, რა პირობებში დამტკიცდა საკრებულოს თავმჯდომარე. აქედან გამომდინარე, საკრებულომ თავიდანვე ამორფული ხასიათი მიიღო. როდესაც მერს და პრემიერს უნდობლობას უცხადებ და შენი უნდობლობა არ ჭრის - უკვე აბსურდია და დაიწყო აბსურდის თეატრი. მთავრობის დამტკიცება დაიწყო იმიტომ, რომ ვიღაც-ვიღაცებს თავიდანვე უნდოდათ გავლენის მოპოვება და კერძო ინტერესებმა წამოიწიეს წინ. არავინ ფიქრობდა რეფორმებსა და ცვლილებზებზე.

პირდაპირ გეტყვით, "ახალი მემარჯვენეები" ამ დამტკიცებების პროცესს თავიდანვე გაემიჯნენ, უნდობლობა გამოუცხადეს, ხოლო დამტკიცების პროცესში საერთოდ არ მიგვიღია მონაწილეობა. ჩვენ ვერ ავიღებთ პასუხისმგებლობას იმ მთავრობაზე, რომლის არც პრემიერსა და არც მერს არ ვენდობით.

გადაიდგა არასწორი და სუბიექტური ნაბიჯები. ობიექტური ის იქნებოდა, საკრებულოს მერისთვისაც და პრემიერისთვისაც სერიოზული კრიზისი შეექმნა და ისინი საკრებულოს დარბაზში არ შეეშვათ. შეექმნათ დიდი კრიზისი ბიუჯეტის წარმოდგენასა და ხარჯვაში. საკრებულოს ეს უნდა გაეკეთებინა ნებისმიერი თანამდებობის პირის მიმართ, ვინც უნდობლობას იმსახურებს, მანამ, სანამ არ მოვიდოდა ადამიანი, ვისაც ესმის ქალაქის მეურნეობა, ფულის მართვა, ბიუჯეტის პრიორიტეტები.

სხვაგვარად იქმნება შთაბეჭდილება, რომ საკრებულოში მყოფი ზოგიერთი ოპოზიციური ძალა მხოლოდ წლევანდელ საპარლამენტო არჩევნებს უმიზნებს...

**- "ახლებმა" შექმენით მიწისძვრით დაზარალებულთა ფონდი. ამ მხრივ, გარკვეული გამოცდილება გაქვთ. ქალაქში ამ პრობლემების მოგვარებას ჟორბენაძე კურირებს. რამდენად გათვალისწინებულია ბიუჯეტში მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციის ხარჯები და გხვდებათ თუ არა ნაცნობი პრობლემები?**

- საერთოდ, მიწისძვრის თემაში ღრმად ვართ ჩახედული, იმათზე უფრო ღრმად, ვისაც ეს ეხება. მიწისძვრით დაზარალებული ოჯახების გადარჩენა ორ ეტაპად უნდა დავყოთ. პირველი რიგის: როდესაც ავადმყოფს საავადმყოფოში მიყვანამდე უტარებ პირველ დახმარებას. ეს ის დახმარებაა, რომელიც დღეს არის აუცილებელი. შეიძლება ეს მცირე იყოს, მაგრამ, თუნდაც, 500-1000 ლარი იყოს ყოველ ადამიანზე, ერთობლივი თანხის აკუმულირებით ის მაინც გახდება შესაძლებელი, რომ ადამიანი ღია ცის ქვეშ არ იქნება. მაგრამ, საკითხის გლობალური გადაწყვეტა მეორე ეტაპის ამოცანაა. ეს, პირველ ყოვლისა, უნდა იყოს ქალაქის გენერალური განვითარების გეგმის შემუშავება, სადაც ურბანული პრობლემები შევა. კერძოდ, როგორ უნდა მოხდეს ამ ადგილების რეანიმირება.

დღეს გენერალური გეგმა საერთოდ არ არსებობს. ამისთვის ერთი თეთრიც არ არის დახარჯული. ეს დანაშაულია. ამ გეგმის არარსებობის გამო დასაჭერია ის ხალხი, ვინც ამაზე აგებს პასუხს. ქალაქის გენერალური განვითარების გეგმის გარეშე ვერ გადაწყდება მიწისძვრის პრობლემა. იმ ადამიანებს, რომელთაც უჭირთ, ელემენტარული დახმარება უნდა გამოუყო იმისთვის, რომ ცხოვრებამ არ გადაქელოს. ამავდროულად, ბიუჯეტის პრიორიტეტი უნდა იყოს ის სოლიდური თანხა, რომელიც ქალაქის განვითარების გენერალური გეგმის შესაქმნელადაა საჭირო. დაზარალებულებმა მომავალ წელს მაინც უნდა დაინახონ, რომ რაღაც შეკეთდა, რაღაც ინგრევა, რაღაც შენდება... ეს ხომ მარტო სახლი არ არის. ეს მთელი ინფრასტრუქტურაა - სკოლა, მაღაზია, საბავშვო ბაღი, ტრანსპორტი...

**- როგორ მოუვლის საკრებულო იმ უკანონო შენობებს, რაც უკვე არსებობს?**

- ის, რაც ხდება, ჩვენი ისტორიული სიამაყის - ძველი თბილისის დეგრადაციაა. გქონდეს ასეთი ლანდშაფტი, არქიტექტურა და კულტურა და ამას ამახინჯებდე, დანაშაულია საქართველოს ისტორიისა და მომავალი თაობების წინაშე.

ამ პრობლემაზეც ორგვარი რეაქცია უნდა იყოს. პირველი, უნდა დაისაჯონ ისინი, ვინც ეს ჩაიდინა და, თუ შესაძლებელია, მოხდეს ამ სახლების კომპენსირება. არის რამდენიმე სახლი, რომელიც თავიდან ბოლომდე დანაშაულია და, ეკოლოგიური კატასტროფის გარდა, მრავალ სხვა კატასტროფასაც გამოიწვევს. ასეთი სახლები უნდა დაინგრას... ეს ყველაფერი კი ქალაქის განვითარების გენერალურ გეგმაში უნდა იყოს ასახული.

**- შემოჭრა "ახლების" ოფისში, შეთქმულთა შეხვედრის გახმაურება... ეს ყველაფერი ერთმანეთს დაემთხვა. რატომ? ხომ არ არის ეს ერთი ხელით დაწერილი სცენარი და თქვენ - ამ სცენარის მსხვერპლი?**

- ძალიან ბევრი ინტერესი გადაიკვეთა. როდესაც ასეთი ამბავი გახმაურდება და ასეთი რეაქციაა, კონკრეტულ პასუხად ის მიმაჩნია, რომ გითხრათ, რა შედეგს ელოდნენ კონკრეტული ადამიანები? შევარდნაძე ელოდა, რომ თავისი ისედაც დასუსტებული ხელისუფლება იმდენად დასუსტდეს, რომ ხალხმა შეჰღაღადოს - ისევ შენ ხარ სტაბილიზაციის მომტანიო... მისი მსოფლმხედველობის პატრონს ვერ წარმოუდგენია, რომ ოდესმე სათავეში არ იქნება. მომავალი საპრეზიდენტო კანდიდატი ისიც არის. მან, მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური "გენიოსია", ვერც ერთ სფეროში ვერ მიაღწია შედეგს. მაგრამ მას უნდა, რომ გახანგრძლივდეს მისი პრეზიდენტობის ვადა. ერთადერთი გზა კი ამისთვის მუდმივი არეულობაა. მას სურს, ადამიანებისთვის "შეჩვეული ჭირის" ფაქტორი იყოს.

ჟორბენაძის ინტერესია, გახდეს პრეზიდენტი. შევარდნაძე მისი კონკურენტია. ჟორბენაძე არის გაპარტახებული და დაშლილი ნომენკლატურული პარტიის თავმჯდომარე, რომელსაც არც რეიტინგი აქვს და არც მისი აწევის შანსი. მოსახლეობის არც ერთი სოციალური ფენა, არც ერთი თაობა ამ პარტიას არ ენდობა. ამიტომაც მისი ერთადერთი გამოსავალი ძალადობაა. ამისთვის მას სჭირდება საკუთარ თავზე მორგებული კონსტიტუცია... ძალადობა მხოლოდ იარაღი არ არის. კონსტიტუციის, საარჩევნო კანონის, ბიუჯეტის მორგებაც ძალადობაა.

თუ გარე ძალებზე ვისაუბრებთ, რუსეთის ინტერესიც შევარდნაძის მოშორებაა. შევარდნაძემ და რუსეთმა ერთმანეთი იმდენჯერ მოატყუეს, რომ მათი ჰარმონიული ურთიერთობა გამორიცხულია. რუსეთის ინტერესია, საქართველოში მუდმივი დესტაბილიზაცია იყოს.

**- მიუხედავად იმისა, რომ "ახლებს" არ ჰქონდათ პოლიტიკური გამოცდილება და არაერთხელ გაუცრუვდათ იმედი, დღეს თითქმის ყველა ექსპერტი საპარლამენტო არჩევნებში დამოუკიდებელ გამარჯვებას გიწინასწარმეტყველებთ. როგორ მოახერხეთ ეს?**

- ნამდვილად არ მინდა, თავი ვიქო. გამოუცდელები ვიყავით, შეცდომებიც იყო, მაგრამ სერიოზული პლუსებიც გვაქვს. პირველი პლუსი ის არის, რომ თავადვე ვაფინანსებთ საკუთარ პარტიას. არავინ თქვას, რომ საწევროს 20 თეთრით ინახავენ პარტიებს და ამ ფასად შეიძლება გამარჯვების მოპოვება. პარტიაში გამჭვირვალე თანხები უნდა იყოს. ეს არის პარტიის დამოუკიდებლობის უპირველესი გარანტი.

მეორე ის არის, რომ ჩვენს უკან დგას ბევრი წარმატებული საქმე. საქმის ნულიდან დაწყება და წარმატების მიღწევა ეს იგივეა, რომ ააშენო პატარა ქვეყანა, პატარა ქალაქი თავისი ინფრასტრუქტურით... პრაგმატიზმი, თანხების სწორი მართვა, გადაწყვეტილებების მიღება - უმნიშვნელვანესი რამაა პარტიის წარმატებისთვის.

და, ჩემთვის ყველაზე უფრო საგულისხმო მიზეზი - საზოგადოებას გავუქარწყლეთ ის, რასაც გვაბრალებდნენ - ხან აბაშიძის აგენტებს გვეძახდნენ, ხან - შევარდნაძის ბიჭებს, ხან ნიკოს ბიჭებს... ჩვენ ვართ ადამიანები, ვისაც შეგვიძლია, ხვალ ახალი ცხოვრება დავიწყოთ. არ შეიძლება, ჩვენ ვიღაცის ბიჭები და აგენტები ვიყოთ. დღეს საზოგადოებას სჯერა, რომ არ დავიწყებთ სხვისი ფულის მოპარვას, სამაგისოდ საქმე არა გვაქვს.



გოგიტა ბახსაიძის ფოტო

*ლევან გაჩეჩილაძე*

# ქვეყანაშია ფერები ნათელი


ავტორი გალერისტთან ერთად

ნინო ყიფიანი

1969 წელს ელენე ახვლედიანმა 5 წლის ეკა აბულაძეს საკუთარ სახელოსნოში, ქიაჩელის ქუჩაზე მოუწყო პირველი პერსონალური გამოფენა. მას შემდეგ ბევრი წელი გავიდა. ეკას ჰქონდა გამოფენები თბილისში, ხორვატიაში, ინგლისში. გუშინ კი გალერეა "ჰობიში" უკვე პროფესიონალი მხატვრის რიგით მეცამეტე გამოფენა გაიხსნა. გახსნას უმრავი ხალხი ესწრებოდა. გამომსვლელები ერთხმად ამბობდნენ, რომ გამოფენის ავტორი პროფესიონალიზმთან ერთად არაჩვეულებრივად საინტერესო ადამიანია. იგი ბევრს მოგზაურობს, ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას სამხატვრო აკადემიაში და მუშაობს კანცელარიაში. თუმცა, როგორც თავად ამბობს, მისი მთავარი და შეუცვლელი საქმე მხატვრობაა. გუშინ "ჰობიში" მიერ ბოლო ათი-თხუთმეტი წლის განმავლობაში შექმნილი ფერწერული ნამუშევრები გამოიფინა. თემატური მრავალფეროვნება – ძველი თბილისი, აღმოსავლური მოტივები, სიურეალისტური ალუზიები, აფხაზეთის თემა, ეკა აბულაძის შემოქმედებაში ნათელ ფერებად იღვრება. მართალია, ჩვენი ცხოვრება არც ისე ნათელი და კაშკაშაა, მაგრამ..." მე ასე ვხედავ და აღვიქვამ სამყაროს, ავსახავ ყველაფერს, რაც ჩვენს გარშემო ხდება, მომავალში კი ვიმედოვნებ, რომ კიდევ უფრო ნათელი იქნება ჩემი მხატვრობა," – ამბობს თავად ცოცხალ ფერებში გამოწყობილი ეკა აბულაძე.

რაც შეეხება სახელმწიფო კანცელარიაში მის სამუშაოს, იგი არც ისე უინტერესოა. მხატვრის იქაური თანამდებობა ასეთია - სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის, საგარეო ურთიერთობებისა და დელეგაციებთან მუშაობის განყოფილების მთავარი სპეციალისტი. ეკას ერთ-ერთ ფუნქციაა დიპლომატიური მისიით ჩამოსული სტუმრებისთვის საჩუქრების შერჩევა. ეს საჩუქრები კი, უმეტესწილად, ქართველების ნახატებია და ეკაც ცდილობს, რაც შეიძლება მაღალ დონეზე წარმოადგინოს საქართველო. სწორედ ეკას რეკომენდაციით აჩუქეს ლეონიდ კუჩმას თბილისში ვიზიტის დროს მხატვარ ლელა ტაბლიაშვილის ნატიურმორტი. ცხადია, ეკა საკუთარ ნამუშევრებს არასდროს სთავაზობს საჩუქრებად. თუმცა, მისი ნამუშევრები საქართველოს და უცხოეთის ბევრ კერძო კოლექციასა და გალერეას ამშვენებს. გალერეა "ჰობიში" გამოფენილ ნამუშევრების ფასი 500-დან 2000 დოლარამდეა.

# „მიხაკი სათბურიდან - ბიძია, დამეხმარე!"

## მარშრუტი №48 5 საათზე სარდაფთან გაჩერდება

თამარ სუხიშვილი

"არცერთი ავტოპორტრეტი არ მაქვს დახატული, მაგრამ ნებისმიერი ჩემი ნამუშევარი ჩემი ავტოპორტრეტია, - მხრებს იჩეჩავს გიორგი მირზაშვილი, - აი, ეს ვარ მე, – და თავის ფერწერულ ნამუშევრებზე და მაგიდაზე დაუდევრად მიყრილ ნაირფერად კრებულებზე მანიშნებს, რომლის პრეზენტაციაც დღეს, საღამოს ხუთ საათზე, კლუბ "სარდაფშია" დაგეგმილი.

"არასდროს არაფერი არ დამიწერია, ბავშვობაშიც კი არ გამირითმია სტრიქონები. ეს ჩემი პირველი მცდელობაა." მხატვარს ეხამუშება კიდეც, როცა მის პირველ პოეტურ მცდელობას ლექსებს უწოდებენ – ხმამაღალი ნათქვამიაო. მაგრამ ბოლოს შევთანხმდებით, რომ რადგან ზოგიერთი სტრიქონი გარითმულია, მის ნაწერებს მაინც ლექსები დავარქვათ: "იყოს ლექსი, შევთანხმდეთ; ამიერიდან ლექსი იქნება, მაგრამ არა მგონია, გალაკტიონიც ლექსებს წერდეს, ვაჟაც და მეც..."

კრებულში ბოლო ერთი წლის განმავლობაში შექმნილ ლექსებთან ერთად ახლანდელი და ადრეული პროზაული ჩანაწერებიცაა თავმოყრილი (ამონარიდი შთაბეჭდილების წიგნიდან, ნაწყვეტი საგაზეთო სტატიიდან და ა.შ.).

ლექსი "ქალაქი", რომლითაც კრებული იხსნება, პირველად დათო მაღრაძისა და ზალიკო სამადაშვილის ინიციატივით ჟურნალ "ქომაგში" დაიბეჭდა. გია მირზაშვილმა ამ ლექსის შექმნის თავისებური ისტორიაც გვიამბო:

"დილაობით, "პახმელიაზე" რომ ვიყავი, ქაღალდის ნაგლეჯზე ან ხელსახოცზე ვაფიქსირებდი ხოლმე უცაბედ შეგრძნებებს, ეს ზოგჯერ სიტყვა იყო, ზოგჯერ ფრაზის ნაგლეჯი, ზოგჯერ - მთელი ფრაზა. ამას ვიწერდი და ერთ პატარა ყუთში ვაგროვებდი. ერთი თვის მერე ყუთი რომ გავხსენი, იქ უამრავი ასეთი ნაგლეჯი დამხვდა, როგორც ჩანს, ბევრი სათქმელი დამიგროვდა და ეს ნაგლეჯები დავამონტაჟე... ასე გაჩნდა ჩემთვის პირველი ლექსი, შემდეგ შევყევი და..." მონტაჟს უკვე სპონტანური ლექსები მოჰყვა და კრებული "მარშრუტი №48"-ც დაიბადა.

რატომ მაინცდამაინც "მარშრუტი №48" (ეს კრებულში შემავალი ერთ-ერთი ლექსის სახელია)? როგორც ავტორი განმარტავს: ამ სათაურში რაღაც დინამიკა დევს, თანაც 48 მარშრუტი ძალიან გრძელი მარშრუტია და მთელ თბილისს მოიცავს – იწყება ბაგებიდან, გამოდის ვაკეში, ვერაზე, მთაწმინდისკენ და ბოლოს ციხეებთან ჩადის: "მიდის ციხეებთან? – ქალი სანოვაგით. მიდის. ჯახუნი კარის."


გიორგი მირზაშვილი

თვითონ გიას წიგნის გამოცემა არც უფიქრია, აქ მისმა მამამ - "მარადიულმა ენთუზიასტმა" და "აზარტულმა" თენგიზ მირზაშვილმა "გამოიჩინა მარიფათი", ნაწერებს თავი მოუყარა და ერთ მშვენიერ დღეს "ქეიფს გადაყოლილ" შვილს ცხვირწინ დაუდო. წიგნის ყდები რომ სხვადასხვა ფერისაა (ხასხასა წითელი, მოყვითალო, კვერცხის ცილისფერი) – ესეც მამის იდეა გახლავთ, თანაც თვალის გასართობად კარგი იდეაა. ყდის გაფორმებაზე კი თვითონ შვილმა თქვა უარი: "ვიფიქრე, რომ წიგნის ყდა ჩვენი მკაცრი დროისა და დუხჭირი ცხოვრების შესაფერისი უნდა ყოფილიყო." ამიტომ კრებულის გარეკანზე სადა ბეჭდური ასოებით დაბეჭდილი ავტორის სახელისა და წიგნის სათაურის გარდა ერთი ზედმეტი შტრიხიც არაა. კრებულის წინასიტყვაობა – "ქალაქი – უბის წიგნაკი" ნინო დარბაისელს ეკუთვნის, რედაქტორია თეიმურაზ დოიაშვილი. ეს ადამიანები რომ არა, წიგნი არ იქნებოდაო, - გვეუბნება გია მირზაშვილი.

თუ როგორ იწერებოდა ეს ლექსები, ყველაზე კარგად ამას, ბუნებრივია, ავტორი გვიხსნის: "დილას ავდგებოდი, ჩავრთავდი ტელევიზორს, ხან "ალიონი" იყო, ხან "კურიერი", ვაფიქსირებდი იმას, რასაც ვხედავდი: მაგიდაზე ჩაის ჭიქა, ტელეფონზე ლაპარაკი, კადრი ფილმიდან. მერე უცებ ბავშვობის მოგონება ამოტივტივდებოდა... აქ ქრონოლოგია არ არსებობს. დღევანდელი პრობლემიდან შეიძლება ძველ შეგრძნებაზე თუ ასოციაციაზე გადავიდე. ამ ასოციაციური კადრების მონაცვლეობაზეა აგებული ჩემი ლექსები."

ინფორმაციის ეს უწყვეტი და ულევი ნაკადი ცდილობს პიროვნების დათრგუნვას: "ახშობენ ბგერებს, ახშობენ ნოტებს, ახშობენ ტალღებს."

ამ ლექსებში იუმორიცაა ("შეიცვალეთ ვარცხნილობა"), ირონიაც (ფიგურა – ცვილის, გაგება - ვირის), კითხვებიც ("მშიერი ამდენი... პენსია რამდენი?"), დიდი წუხილიც ("თაობა დაიღუპა"), კეთილშობილური სევდაც:

"ახალი ქართველები, ახალი
გემოვნება,
ახალი ლექსიკონი, ახალი გარიგება,
ახალი სახეები, ახალი ტარიფები...
მიხაკი სათბურიდან – ბიძია,
დამეხმარე!.."

"ვერ ვიტყვი, რომ არხეინი წიგნია," – ამბობს გია მირზაშვილი.

გია მირზაშვილის ხილული სიტყვაწინადადებებით აწყობილი ნაწერები მისსავე ნახატებს გვაგონებს. "მხატვარს ხედვა აქვს გამძაფრებული. ლექსებშიც ალბათ ასეა. ჯერ დანახულია, მერე - ნაგრძნობი. მიდგომა ერთი და იგივეა. ჩემს ნახატებსაც და ლექსებსაც ერთი რამ აერთიანებს – ხელწერა, ადამიანის ბუნება, ხასიათი."

ხასიათი, როგორც თავად მხატვარი ამბობს, უმძიმესი აქვს. მის ცხოვრებაში ქეიფი დომინირებს. არ უყვარს გადაადგილება: "მეწაღესავით ერთ ადგილზე ვზივარ და ვმუშაობ. მირჩევნია ვეგდო (ბოდიში ამ სიტყვისთვის, მაგრამ ეს ჩემი ლექსიკაა) ამ ქალაქში და ვაკეთო ის, რაც ვიცი."

გია მირზაშვილი აკეთებს იმას, რასაც გრძნობს. ცდილობს, არ გაჩერდეს და გაუთავებლად ატარებს ექსპერიმენტებს. ხატვით სამი წლის ასაკიდან ხატავს. მხატვრობა მისთვის უკვე ისეთი ორგანულია, როგორც წყალი ან ჰაერი. არასოდეს მუშაობს ნასვამი. მუშაობის შემდეგ სვამს განტვირთვისთვის, თუმცა ეს განტვირთვა ბოლოს დატვირთვად გადაიქცევა ხოლმე. ახალი გამოფენის მოწყობას ჯერ არ ჩქარობს – ადამიანს თავი არ უნდა მოაბეზრო. "საკუთარ ლექსებთან ცოტა არ იყოს გაუცხოებული ვარ, - არ მალავს მხატვარი. პრეზენტაციაზე რა უნდა მოხდეს, ესეც ვერ წარმოუდგენია. მაგრამ რახან გადაწყვიტა, უკან აღარ დაიხევს: "როცა ახვალ, უნდა გადმოხტე კიდეც, გინდა წყალში, გინდა უფსკრულში. ერთი ის ვიცი, რომ მთელი ჩემი ენერგია მაქსიმალურად უნდა გავცე, უნდა დავიხარჯო. ვიღაცას ეს ლექსები შეიძლება არ მოეწონოს, ვიღაცას მოეწონოს, მაგრამ რაღაცას იგრძნობს."

ავტორისეული საპრეზენტაციო სამზადისი ასეთია: ფიქრობს და არ სვამს – აბსოლუტურად ფხიზელი ვარ, თადარიგი დავიჭირეო, - ხუმრობს.

დღეს გია მირზაშვილი თავის ლექსებს სარდაფული აუდიტორიის წინაშე წაიკითხავს. აუდიტორია მრავალრიცხოვანი იქნება, თუნდაც მარტო ის ადამიანები რომ მოვიდნენ, რომელთა სახელებიც კრებულში თავმოყრილ ნაწერებშია გაბნეული.

სარდაფის სტუმრებისთვის განსაკუთრებით საინტერესო იქნება, როგორ წაიკითხავს ავტორი თავის ნაწერებს – რომლებიც დიპლიპიტოს რიტმში ჯდება. გია მირზაშვილს თავისთვის დასარტყამი ინსტრუმენტების თანხლებითაც წაუკითხავს ეს ლექსები, მაგრამ მიიჩნევს, რომ ეს მხოლოდ სპეკულაციაა და სხვა არაფერი. "რა თქმა უნდა, შემიძლია გავალამაზო, მაგრამ ჩუქურთმა არ მჭირდება," – ამბობს ავტორი, რომელიც წერის გაგრძელებას აღარ აპირებს. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით ასე ფიქრობს. დღეს კი 48 მარშრუტი 5 საათისთვის რუსთაველზე სარდაფთან გაჩერდება, აქ ხომ, როგორც უკვე ვთქვით, მას ახლობლები ელიან ("აქ მიგებენ, აქ მაქებენ, აქ მელიან."), მერე კი რა იქნება, წინასწარ ვერავინ იტყვის. მერე კი, როგორც ავტორი თვითონ ამბობს, "ასი გრამიც რომ გადავკრა, იგივე მარშრუტით ვივლი..."

## კალენდარი

### 6 თებერვალი



მისტიკურ პოეტად და კოსმიურ გურუდ წოდებული ბობ მარლი 1945 წელს იამაიკაზე დაიბადა. ადრეულ ბავშვობაში მამა ძველ ოჯახს დაუბრუნდა, ამიტომ ბობი დედასთან და ბაბუასთან იზრდებოდა. ცხოვრობდნენ კინგსტონ ტრენჩ-თაუნის კვარტალში, რომელსაც სიმღერებში არცთუ იშვიათად ახსენებდა ხოლმე მომღერალი. იზრდებოდა ქუჩაში, ქუჩის ყველა წესების დაცვით. ქუჩურ ჩხუბებში მონაწილეობის გამო მას Tuff Gong, ანუ "ვულკანური დარტყმა" შეარქვეს. ეს სახელწოდება მოგვიანებით მის ხმისჩამწერ საფირმო ნიშანს ეწოდა.

1962 წელს მარლიმ შეისწავლა შემდუღაბებლის ხელობა. იმ დროისათვის უკვე მეგობრობდა პიტერ ტოშთან და ბანი ლივინგსტონთან, იამაიკის მუსიკალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ცნობილ მოღვაწეებთან; უკვე არსებობდა ჯგუფი The Wailers. ყველანაირი მაშინდელი მუსიკალური პროდუქცია მხოლოდ შიდა ბაზარზე ტრიალებდა. ცვლილებები 60-იანი წლების დასასრულს მოხდა, როდესაც Wailers-ით ცნობილი ფირმა "აილენდ რექორდსის" წარმოშობით იამაიკელი ხელმძღვანელი, კრის ბლექველი დაინტერესდა. ამ ადამიანმა წინასწარ განჭვრიტა იამაიკური მუსიკის კომერციული პოტენციალი, რაშიც გარკვეული როლი პოლიტიკამაც ითამაშა. სხვადასხვა გარემოებების წყალობით აღნიშნულმა ჯგუფმა კომპანიასთან გააფორმა კონტრაქტი.

1975 წელს ბობ მარლისა და პიტერ ტოშის შორის კონფლიქტი მოხდა. იმ დროისათვის მარლის პოპულარობა იზრდებოდა. ლონდონის თეატრ "ლიცეუმში" გამართული კონცერტის შემდეგ იგი ნამდვილი ვარსკვლავი გახდა. ამ კონცერტზე ცოცხლად ჩაიწერა მარლის მეგა-ჰიტი No Woman No Cry. 1978 წელს ბობ მარლი ორი იამაიკური დაპირისპირებული პარტიის შემრიგებლის სიმბოლო ხდება. სწორედ ამ საქმეს ემსახურებოდა გრანდიოზული კონცერტი სტადიონზე, რომლის დროსაც მარლიმ ორივე პარტიის დაპირისპირებული პოლიტიკოსების ხელები შეაერთა.

იმავე წელს გამართული ტურნეს დროს, ფეხბურთის თამაშისას (ისევე როგორც თითქმის ყველა იამაიკელი, მარლიც გიჟდებოდა სპორტის ამ სახეობაზე) მუსიკოსმა ფეხი დაიზიანა. ექიმებმა თითის ამპუტაცია ურჩიეს, მაგრამ, რასტაფარიანული მოსაზრებებით, რომელიც ყოველგვარი ქირურგიული ჩარევების წინააღმდეგია, მარლი უარს ამბობს ოპერაციაზე. დროთა განმავლობაში ბობ მარლი რასტაფარიანელობისადმი ინტერესს კარგავს, წყვეტს კავშირს მიმდინარეობის ერთ-ერთ ავტორიტეტთან და მეტ ყურადღებას უთმობს "აფროს" სტილს.

ალბომ Survival-ის ჩაწერის შემდეგ მარლიმ მოინახულა ყველა რასტაფარიანელისათვის წმიდა ადგილი ეთიოპიაში, საიდანაც მიღებული შთაბეჭდილებების დამსახურებაა სიმღერები: So Much Trouble In The World, Africa Unite და Zimbabwe. 1980 წელს ნიუ იორკის ცენტრალურ პარკში სეირნობისას მარლის ჯანმრთელობა მკვეთრად გაუარესდა. ამის გამო იგი სასწრაფოდ გადაიყვანეს გერმანიაში, იქიდან – მაიამიში, სადაც 36 წლის ასაკში გარდაიცვალა კიდეც. მარლის გარდაცვალებასთან ერთად დასრულდა რეგის მზიანი ეპოპეაც.

**ბობ მარლი** 1945 წლის 6 თებერვალს დაიბადა.

# „ოქროს კამერა" ვარსკვლავებისთვის და ომის წინააღმდეგ

ნატო თორთლაძე

საგანგებოდ დაპატიჟებული შოუ-ბიზნესისა და მასმედიის ათასი წარმომადგენელი ბერლინში აღტაცებით მიესალმა ჰოლივუდის ვარსკვლავს, დასტინ ჰოფმანს, რომელსაც ოქროს კამერა გადასცეს "დამსახურებისთვის".

გაზეთ HORZU-ს ჯილდოს გადაცემის 38-ე ცერემონიაზე წარმოთქმულ სიტყვაში დასტინ ჰოფმანმა თქვა, რომ მისთვის დიდი პატივია იმავე სიაში შესვლა, რომელშიც ჟანპოლ ბელმონდო თუ ჰერბერტ ფონ კარაიანი არიან. "ჯერ დავიბენი, მაგრამ მერე სიაში ჯადოქრები, ზიგფრიდი და როიც აღმოვაჩინე, და მივხვდი, რატომ მოვხვდი ამ დღესასწაულზე". ხანმოკლე, შეკრებილი საზოგადოების სიცილით შევსებული შესვენების შემდეგ 65 წლის მსახიობმა უკვე სერიოზულად განაგრძო: "იმიტომ, რომ გულის სიღრმეში, უპირველეს ყოვლისა, ტაკიმასხარად ვრჩები," და გერმანულად თქვა: "მე ვარ მსახიობი, მე ვარ კლოუნი". მსახიობს ოქროს კამერა ჩარლი ჩაპლინის ასულმა, ჯერალდინამ გადასცა.

ბრიტანელმა ჰიუ გრანტმა, რომელსაც საუკეთესო საერთაშორისო მსახიობის წოდება მიანიჭეს, ასევე იუმორით სავსე სამადლობელი სიტყვა წარმოთქვა. "ბევრი ჯილდო არასოდეს მიმიღია, მსახიობობისთვის კი, საერთოდ, არც ერთი". მისი თქმით, გერმანია მისთვის ყოველთვის მნიშვნელოვანი ქვეყანა იყო – 30-ოდე წლის წინათ პირველი სიყვარული სწვევია, და ეს გოგონა გერმანელი ყოფილა. მსახიობობისთვის


REUTERS
სალმა ჰაიეკი "თვალით"

ბლომად ფულიც პირველად გერმანიაში მისცეს, 1985 წელს, როცა ლოტოს რეკლამა გააკეთა.

გერმანიის მიმართ არც საუკეთესო საერთაშორისო მსახიობი ქალი, მექსიკაში დაბადებული სალმა ჰაიეკი ("ფრიდა") ყოფილა გულგრილი: "ბერლინს ჩემთვის ყოველთვის ბედნიერება მოჰქონდა". მისი პირველი კინოფილმი, "სასწაულების ქუჩა", 1995 წელს "ბერლინალეზე" იყო ნაჩვენები. "მთელი ჩემი კარიერა ამ ქალაქში დაიწყო," თქვა გულაჩუყებულმა სალმამ.

"ოქროს კამერა" მუსიკოსებსაც გადაეცა. "ჩემთვის დიდი პატივიასა" და მსგავთა თქმის შემდეგ, ბრიტანელმა ელტონ ჯონმა, Your Song-ის ავტორმა და შემსრულებელმა, გერმანიის ფედერაციული მთავრობის ერაყის ომის მიმართ დამოკიდებულება მოიწონა: "მე ძალიან ამაყი ვარ, რომ გერმანიამ ომს "არა" განუცხადა. ყოჩაღ, გერმანია!"

ასეთივე განცხადება გააკეთა საუკეთესოდ აღიარებულმა ჯგუფმა No Angels-მაც, რომელიც საზეიმო საღამოზე მხოლოდ ოთხკაციანი შემადგენლობით გამოცხადდა, რადგან ერთ-ერთი წევრი, ჯესიკა, ორსულად ყოფილა. "მსოფლიოს მძიმე დრო დაუდგა, და ჩვენ ყველანი უნდა წამოვიმართოთ და ომის წინააღმდეგ გავილაშქროთ, რადგან ომი არაფრის პასუხი არაა." გოგონებს, ისევე, როგორც ელტონ ჯონს, მთელი დარბაზი უკრავდა ტაშს, მათ შორის ბერლინის მერი კლაუს ვოვერაიტი, ჩოგბურთელი ბორის ბეკერი, მუსიკოსი ნინა ჰაგენი, ბელგიის ტახტის მემკვიდრე პრინცი ფილიპი და მისი მეუღლე, პრინცესა მატილდა.

# თუ არ დაწერ, მოკვდები?!

## ალეკო შუღლაძე "კავკასიური სახლში"

ნანა ბასილაშვილი

რამ დააწერინა ვაჟა-ფშაველას "არწივი"?! – სამშობლოს სიყვარულმა და მასზე დარდმა, მართლა იმ ლეგენდამ ჩხუბის შესახებ, თუ სულ სხვა, თუნდაც შემთხვევით ნანახმა "სცენამ"?! სინამდვილე, ალბათ, არც არავინ იცის. ამიტომაც ყოველთვის მაღიზიანებდა უაზრო (ან თუნდაც აზრიანი), გაუთავებელი მსჯელობა და გარჩევები, ყოველთვის მაინტერესებდა პირადად ავტორის აზრი, მისეული განმარტება და დამოკიდებულება (ხან ყოველგვარი ახსნის გარეშეც, უბრალოდ, მოცემულის აღქმას ვცდილობდი). ბოლო დროს ჩვენში დამკვიდრებული ლიტერატურული შეხვედრები - მკითხველის მწერალთან, ან პირიქით, მწერლის მკითხველთან, შემოქმედებითი ურთიერთობის საინტერესო მცდელობაა. "კავკასიური სახლისა" და კლუბ "სარდაფის", "ოთხშაბათობა" - "ხუთშაბათობა" მართლაც არაჩვეულებრივი შესაძლებლობაა მკითხველისთვის, პირადად შეხვდეს და ესაუბროს მწერალს.

ბოლო "ოთხშაბათობა" "კავკასიურ სახლში" გუშინ ალეკო შუღლაძეს დაეთმო. ვიდრე საღამოს მუდმივი მასპინძელი, შოთა იათაშვილი შუღლაძის შემოქმედების განხილვას შეუდგებოდა, მწერალმა მისი ბოლო ნამუშევარი, მანიფესტი № 5 წაგვიკითხა. "ჩემთვის ეს პირველი ეტაპის დასასრულია. ჩემი მკითხველი აქამდე არასოდეს მინახავს. მინდოდა, შევხვედროდი, გავსაუბრებოდი და მათი აზრი გამეგო, რომელიც დამაწყნარებდა, ან ყველაფრისათვის წერტილს დამასმევინებდა," – ოდნავ აღელვებული, თუმცა მაინც გაბედულად საუბრობდა ალეკო შუღლაძე. მანიფესტი № 5, ანუ "ნუ დაწერ მანიფესტს", მწერალს სწორედ ამ შემართებით დაუწერია. შენ პოეტობა დაგიწყიაო, - ასეთი იყო დამსწრე საზოგადოების პირველი შეფასება. მანიფესტში დასმულ სერიოზულ კითხვებსა და აკრძალვის თეორიებს (განაგრძოს თუ არა წერა. შუღლაძე ხომ ასე ფიქრობს, - "უნდა შეგეძლოს რაიმე არ გააკეთო, და ეს არის თავისუფლება...") პირველმა ნაირა გელაშვილმა გასცა პასუხი; "შენ, უბრალოდ, დაფიქრდი, მოკვდები თუკი არ დაწერ?" – უთხრა მან ავტორს.

ალეკო შუღლაძის "გაქცევის მცდელობას" და "სამსარას" უკვე თავისი მკითხველი ჰყავს, რომლებმაც მწერალს გუშინდელ შეხვედრაზე თავიანთი მოსაზრებები გააცნეს. ალეკო შუღლაძე კი თავის მხრივ, მკითხველს დაპირდა – "დღეს საღამოს აუცილებლად დავფიქრდები, მოვკვდები, თუ არ დავწერ ?!".

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამპლუაში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით ბეთჰოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადამხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

ფეხბურთი

# ლეონარდო „მილანის" ვიცე-პრეზიდენტი ხდება

ბრაზილიის ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი ლეონარდო თავისი ამჟამინდელი კლუბის, იტალიური "მილანის" ვიცე-პრეზიდენტის პოსტს დაიკავებს.

ლეონარდომ 2001 ზაფხულში მიატოვა "მილანი" და ბრაზილიაში დაბრუნდა. გასული წლის ოქტომბერში ის კვლავ ჩავიდა მილანში და ახალი კონტრაქტი გააფორმა. უკვე კარგა ხანია, რაც 33 წლის ნახევარმცველი გუნდის შემადგენლობაში აღარ გამოჩენილა.

ლეონარდოს კონტრაქტი "მილანთან" მიმდინარე წლის ივნისში იწურება. სწორედ ამ დროისთვის შეუდგება ის კლუბის ვიცე-პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებას.

# მოლინა ისევ მოედანზეა

სეზონის დასაწყისში ყველას თავზარი დასცა ლა კორუნიას "დეპორტივოს" გოლკიპერის, ხოსე ფრანსისკო მოლინას თავს დამტყდარმა უბედურებამ - ექიმებმა მას ტვინის სიმსივნის დიაგნოზი დაუსვეს და ყოველგვარი სპორტული აქტივობა გაურკვეველი ვადით აუკრძალეს. "დეპორტივომ" სასწრაფოდ მოძებნა ახალი მეკარე, მოლინასთვის კი ავადმყოფობასთან ბრძოლის მძიმე და ხანგრძლივი პერიოდი დაიწყო.

ახლახან ცნობილი გახდა, რომ ფრანსისკო მოლინას ჯანმრთელობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. ფეხბურთელმა უკვე დაიწყო ვარჯიში და ოცნებობს იმ დღეზე, როცა ავადმყოფობას საბოლოოდ დაამარცხებს და "რიასორზე" კვლავაც "დეპორის" კარის დარაჯის ამპლუაში დაბრუნდება. "მდგომარეობა უმჯობესდება - არც ძალიან ნელა, არც ძალიან ჩქარა, მაგრამ, რაც მთავარია, პროგრესი შეინიშნება. ბედნიერი ვარ, რომ გუნდთან ერთად ვარჯიში დავიწყე, მაგრამ კიდევ უფრო ბედნიერი მაშინ ვიქნები, როცა მოედანზე გავალ და "დეპორთან" ერთად ოფიციალურ მატჩებს ვითამაშებ", - განუცხადა მოლინამ საგანგებოდ მის სანახავად მოედანზე მისულ ჟურნალისტებს.

# მგრძნობიარე არგენტინელი მეკარე

რა არ ხდება ამქვეყნად... ჩვენს დროში წარმოუდგენია ვინმეს გაცრუებული სიყვარულის გამო თვითმკვლელობა? თურმე, ასეთი რამ სულაც არ ყოფილა შეუძლებელი.

გუშინ არგენტინულ ფეხბურთში უცნაური რამ მოხდა: ბუენოს-აირესის "ჰურიკანის" 25 წლის მეკარემ, სერხიო შულმაისტერმა, სიყვარულში განცდილი იმედგაცრუების გამო თავი მოიკლა. როცა შულმაისტერი ვარჯიშზე არ გამოცხადდა, სუპერმგრძნობიარე გოლკიპერის თანაგუნდელებმა განგაში ატეხეს. როგორც გაირკვა, "ჰურიკანის" მეკარეს 2001 წელსაც უცდია თავის მოკვლა, მაგრამ მაშინ გადაარჩინეს. ახლა კი მელანქოლიური ფეხბურთელის მცდელობა, სამწუხაროდ, წარმატებული გამოდგა.

# ფინალისთვის მებრძოლნი

ჯერ 2002-03 წლების ჩემპიონთა ლიგისა და UEFA-ს თასის ფინალებამდეც კი ძალიან შორია, ევროპული ფეხბუთის მამები კი უკვე 2004 და 2005 წლების ფიანლური ეტაპის მასპინძელ ქალაქებს არჩევენ.

საფეხბურთო ზეიმის საკუთარ სტადიონზე მოწყობის ყველაზე დიდი სურვილი აქვთ გერმანულ ქალაქებს. ბერლინი, ჰამბურგი და გელზენკირხენი მოსკოვს, მადრიდს, პარიზს, ამსტერდამსა და პორტოს 2004 წლის ჩემპიონთა ლიგისა და UEFA-ს ფინალის მასპინძლობის უფლებას ეცილებიან. 2005 წლისთვის კი, ზემოთ ჩამოთვლილი სამი გერმანული ქალაქის გარდა, გენუას, ნიუკასლს, სანდერლენდს, ეინდჰოვენს, ლისაბონსა და ლიონს სურთ UEFA-ს ყურადღების დამსახურება.

# რეკობას ამბიციები

"ინტერის" ურუგვაელი "ჯოიელო" (განძი), ალვარო რეკობა, ბოლო დროს სასტიკად ღიზიანდება, როცა იტალიური სპორტული პრესა "ინტერის" "კუზენ" "მილანს" ხოტბა-დიდებასასხამს და "სკუდეტოს" მოგებასაც სილვიო ბერლუსკონის მფარველობის ქვეშ მყოფ კლუბს უწინასწარმეტყველებს. რეკობას აზრით, "ინეტრი" ბევრად უფრო სტაბილური გუნდია, ვიდრე ბიძაშვილი "მილანი".

"მომბეზრდა ამდენი დაუმსახურებელი შეურაცხყოფის ატანა. რატომ ფიქრობთ, რომ "სკუდეტო" მაინცდამაინც "მილანს" დარჩება? უკვე დიდი ხანია, ბავშვი აღარ ვარ და არაჩვეულებრივად მესმის, ტიტულის მოგების ვის რა შანსი აქვს. წლეულს ჩვენ მხოლოდ "სკუდეტო" გვინდა", - კატეგორიულად აცხადებს რეკობა. შეგახსენებთ, რომ "ინტერს" გასულ სეზონშიც მსგავსი ამბიციები ჰქონდა და სანატრელი "სკუდეტო" ბოლო ტურში რომის ოლიმპიურ სტადიონზე დაკარგა.

ისტორიული ფოტო

# ეს იყო 25 წლის წინათ...



1955 წლის აპრილი. გერმანია
გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის
საფეხბურთო ნაკრების ლეგენდარული მწვრთნელი
ზეპ ჰერბერგერი

# „დინამოს" ბუნებაც ეწინააღმდეგება

კვიპროსის შემდეგ "დინამო" ბოსნიას გაემგზავრა, მაგრამ ჯერჯერობით ვერც აქ ახერხებს მოგებას. სლოვენიის "მარიბორის" შემდეგ ქართველთა მეტოქე ბოსნიის "შიროკი ბრეგი" უნდა ყოფილიყო. "დინამოს" პრეს-ატაშის, ლევან სალუქვაძის თქმით, ივო შუშაკს გუნდი მეორე შემადგენლობით უნდა ეთამაშა, მაგრამ არ დასცალდა. ამის მიზეზი ბუნების კაპრიზი იყო. დილით, როცა ფეხბურთელებმა გაიღვიძეს გარშემო ყველაფერი გადათეთრებული იყო.

"გუშინწინ კოკისპირულად წვიმდა, ქარიც ქროდა. ღამე კი გათოვდა. ასეთ მდგომარეობაში თამაში შეუძლებელი იყო. მინდვრები სულ გადათეთრებულია და გუნდიც მხოლოდ ვარჯიშს დასჯერდა, ისიც დარბაზში", - გვითხრა სატელეფონო საუბრისას ლევან სალუქვაძემ.

თუ ამინდმა საშუალება მისცა, "დინამო" შიროკი ბრეგში დღეს ჩავა და იქაურ გუნდსაც გაეჯიბრება, თუ არა, ქართველებს ერთი მატჩი დარჩებათ ჩასატარებელი ხორვატიის მეორე ლიგის "მეტალკასთან". ეს შეხვედრა ხვალისთვისაა დანიშნული და თბილისელები ისევ მეორე შემადგენლობით ითამაშებენ. შემდეგ, 8 თებერვალს კი "დინამო" საერთაშორისო ტურნირში ჩაებმება. ვიმედოვნოთ, რომ ამხანაგურ მატჩებში დაწყებულ მოუგებელ სერიას დინამოელები ამ ტურნირში შეწყვეტენ.

# ევროპის საფეხბურთო ელიტა კვლავ იმუქრება

## დიდი კლუბები რევოლუციას გეგმავენ

აკა ტონია

ეგრეთ წოდებული "ევროლიგის" შექმნის იდეა სულ უფრო რეალური ხდება. ევროპის წამყვანი კლუბები 2006-2007 წლების სეზონიდან 18-გუნდიანი "ევროლიგის" შექმნაზე საუბრობენ. მათი პროექტის მიხედვით, ევროპის უძლიერესი 18 კლუბი ორ ლიგაში განაწილდება – პირველში და მეორეში. თითოეულ ლიგაში მატჩები წრიული სისტემით ჩატარდება, ხოლო სეზონის ბოლოს, ისევე როგორც მსოფლიოს ბევრი ქვეყნის ეროვნულ ჩემპიონატში, მეორე ლიგის საუკეთესო გუნდები პირველში გადავლენ და პირიქით – პირველი ლიგის აუტსაიდერები ქვედა ლიგაში გადაინაცვლებენ.

ეს იდეა ახალი არ არის. მის შესახებ კარგა ხნის წინათ დაიწყო საუბარი, თუმცა, UEFA ყველანაირად ცდილობს, ეს პროექტი არ განხორციელდეს. საქმე ის არის, რომ "ევროლიგის" შექმნა პატარა გუნდებისთვის სასიკვდილო განაჩენის გამოტანას ნიშნავს. ისეთი ქვეყნების კლუბებს, როგორიც, მაგალითად, საქართველოა, ევროპის საკლუბო ფეხბურთიდან მოკვეთა ემუქრებათ. შესაბამისად, ფინანსურად ისედაც სუსტ გუნდებს საერთოდ უფულოდ დარჩენის საშიშროება ემუქრებათ.

"ევროლიგის" შექმნის იდეა დიდმა კლუბებმა პირველად 1998 წელს წამოაყენეს. იმისთვის, რომ ეს პროექტი არ განხორციელებულიყო, UEFA-მ ჩემპიონთა ლიგის ფორმატი შეცვალა და მონაწილე გუნდების რაოდენობა 32-მდე გაზარდა. ამჟამად ჩემპიონთა ლიგის 8 ჯგუფში პირველ და მეორე ადგილებზე გასული გუნდები გათამაშების მეორე




ეტაპზე 4 ჯგუფში ნაწილდებიან და მხოლოდ ამის შემდეგ იწყება ფინალები, რომლებიც ოლიმპიური სისტემით ტარდება. ამ ცვლილებამ ჩემპიონთა ლიგის მატჩების რაოდენობა გაზარდა. გუნდს, რომელიც ტურნირის ფინალში გავა, 17 მატჩის ჩატარება უწევს, მაშინ როდესაც ადრე მხოლოდ 11 შეხვედრა უნდა გაემართა. მეტი მატჩი მეტ შემოსავალს ნიშნავს და ევროპელი გრანდებიც დაწყნარდნენ.

ახლა კი კვლავ გახმიანდა "ევროლიგის" შექმნის იდეა, რაც UEFA-ს ახალი გადაწყვეტილებით არის მიღებული. საქმე ის გახლავთ, რომ ევროპული ფეხბურთის კავშირმა ჩემპიონთა ლიგის მეორე ჯგუფური ეტაპის გაუქმება გადაწყვიტა. უკვე მომავალი სეზონიდან, ჩემპიონთა ლიგის 8 ჯგუფში გამარჯვებული გუნდები ასპარეზობას მერვედფინალებში გააგრძელებენ. მეორე ჯგუფური ეტაპის გაუქმება, შესაბამისად, მატჩების რაოდენობის შემცირებას ნიშნავს. ანუ გუნდი, რომელიც ჩემპიონთა ლიგის ფინალში გააღწევს, 17 მატჩის ნაცვლად, 13 მატჩს ჩაატარებს. ეს კი შემოსავლის შემცირებას ნიშნავს. ამ ცვლილების გამო, თითოეული ევროპული გრანდი, დაახლოებით, მილიონ შვეიცარიულ ფრანკს დაკარგავს. ამასთან, საგრძნობლად შემცირდება იმ თანხის რაოდენობაც, რომელსაც კლუბები მატჩების ტრანსლირების უფლების გაყიდვიდან იღებენ.

საინფორმაციო სააგენტო Reuters-ის ექსპერტები ამტკიცებენ, რომ ევროპელი გრანდების მუქარა სწორედ ამ ცვლილებამ განაპირობა.

ეგრეთ წოდებული G-14 (სწორედ ასე უწოდებენ ევროპის 14 წამყვან კლუბს) უკან დახევას არ აპირებს. საინტერესოა, რომ ყოველთვის, როდესაც ეს კლუბები ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში მონაწილეობის მიღებაზე უარის თქმით იმუქრებიან, UEFA დათმობებზე მიდის. საინტერესოა, რას მოიმოქმედებს ამჯერად ევროპის საფეხბურთო კავშირი, რომ G-14 არ გაანაწყენოს.

ულტიმატუმებს ვერც FIFA გადაურჩა. G-14 მასაც ემუქრება. საქმე ის არის, რომ ევროპის დიდ კლუბებს ძალიან არ სიამოვნებთ, როდესაც იძულებული ხდებიან, თავიანთი ლეგიონერები ეროვნული ნაკრები გუნდების უმნიშვნელო ამხანაგურ მატჩებზე გაუშვან. მოთმინების ფიალა ჩინეთისა და ბრაზილიის ნაკრები გუნდების 12 თებერვალს დანიშნულმა შეხვედრამ აავსო. კლუბებს მიაჩნიათ, რომ ეს მატჩი ბრაზილიისთვის, სპორტული თვალსაზრისით, საინტერესო არ არის და მხოლოდ გამდიდრების საშუალებაა ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციისთვის. ამბობენ, რომ ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაცია მატჩის ორგანიზატორებისგან 1.125.000 დოლარს მიიღებს იმის სანაცვლოდ, თუ ჩინეთში თავის წამყვან ფეხბურთელებს ჩაიყვანს. ამ შეხვედრაში სათამაშოდ ნაკრებში გამოძახებულია მადრიდის "რეალის" სამი ფეხბურთელი: რობერტო კარლოსი, რონალდო და ფლავიო კონსეისაო, ასევე სამი ფეხბურთელი "მილანიდან": დიდა, როკე ჟუნიორი და რივალდო. არადა, ამ მატჩიდან რამდენიმე დღეში "რეალსაც" და "მილანსაც" ჩემპიონთა ლიგაში უმნიშვნელოვანესი შეხვედრები ელით. ასეთი სიტუაცია კლუბებს ხელს არ აძლევს და FIFA-ს სთხოვენ, საქმე მათ სასარგებლოდ გადაწყვიტოს.

G-14 სულ უფრო და უფრო დიდ ტვირთად აწვება დანარჩენ საფეხბურთო სამყაროს. თუ ევროპის დიდი კლუბები თავიანთ გეგმებს განახორციელებენ, ეს იმას ნიშნავს რომ პატარა, ღარიბ კლუბებს უკეთეს მომავალზე ოცნებაც კი აღარ დასჭირდებათ, ხოლო ეროვნული ნაკრები გუნდები წამყვანი ფეხბურთელების გარეშე დარჩებიან.

# ვაშჩუკი ბურთს გააგორებს, სიჩოვი კი დაარიგებს

*კარგა ხნის წინათ დაწყებული დაპირისპირება მოსკოვის "სპარტაკსა" და კიევის "დინამოს" შორის დასრულდა. მხარეთა განცხადებით, მათ შორის არავითარი გაუგებრობა აღარ არსებობს.*

პაატა თოთაძე

შეგახსენებთ, რომ შარშან, დეკემბერში, კიეველი ვლადისლავ ვაშჩუკი მოსკოვის "სპარტაკში" აღმოჩნდა. მოსკოველთა განცხადებით, ფეხბურთელი თავისუფალი აგენტის სტატუსით სარგებლობდა. ამდენად, "სპარტაკში" მისი გადასვლა არავისთვის არ უნდა ყოფილიყო მოულოდნელი. სხვა აზრის იყვნენ უკრაინელები. "დინამოს" პრეზიდენტის, იგორ სურკისის თქმით, ვაშჩუკმა გუნდთან კონტრაქტი 2004 წლის ზაფხულამდე გააგრძელა, ასე რომ, არც "სპარტაკში" გადასვლის უფლება ჰქონდა.

ვითარება იმდენად დაიძაბა, რომ საქმეში FIFA-ც ჩაერთო. ამ დღეებში კლუბების წარმომადგენლები, ვითარების გასარკვევად, ციურიხში, FIFA-ს შტაბბინაში შეიკრიბნენ. შეხვედრის შედეგით ორივე მხარე კმაყოფილი დარჩა. გადაწყდა, რომ ამიერიდან ვლადისლავ ვაშჩუკი "სპარტაკის" ღირსებას დაიცავს. რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, საქმის გარჩევაში FIFA არ ჩარეულა. "ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, რომ ჩვენი ჩარევა საჭირო არ გახდა. მხარეებმა ყველაფერზე ძალიან სწრაფად მოილაპარაკეს", - განაცხადა FIFA-ს წარმომადგენელმა.

იმის თქმა, რომ ვაშჩუკი რუსებს უსასყიდლოდ ერგოთ, არ შეიძლება - "სპარტაკმა" "დინამოს" გარკვეული საფასური უნდა გადაუხადოს. კიდევ ერთი საკითხი, რომელსაც შეხვედრაზე განიხილავდნენ, დმიტრი სიჩოვს ეხებოდა. "სპარტაკის" ყოფილი ფეხბურთელი ერთხანს "დინამოში" ვარჯიშობდა და აპირებდა, კარიერაც იქვე გაეგრძელებინა, მაგრამ, მოულოდნელად, მარსელის "ოლიმპიკში" აღმოჩნდა. ბუნებრივია, ამან უკრაინელები გაანაწყენა, მით უმეტეს, რომ სიჩოვს მათგან 25 000 დოლარი ჰქონდა აღებული. გუშინდელი შეხვედრის შემდეგ გადაწყდა, რომ ფეხბურთელმა ერთ თვეში უნდა დააბრუნოს ვალი, ხოლო "მარსელი" და "დინამო" ამხანაგურ მატჩს კიევში გამართავენ.

კიდევ ერთი გადაწყვეტილება, რომელიც შეხვედრაზე მიიღეს, ისაა, რომ "დინამო", "სპარტაკი", "მარსელი" და სიჩოვი შექმნიან საქველმოქმედო ფონდს, რომელიც უკრაინელ ბავშებს დაეხმარება. ფონდი პირველ აქციას პირველ სექტემბრამდე მოაწყობს, რომლის დროსაც უკრაინელ ბავშვებს ფეხბურთის ბურთებსა და ფორმებს დაურიგებენ. ამ მისიას დმიტრი სიჩოვი შეასრულებს.

# „იუვეს" რანგული იმედები

გასული წლის ზაფხულის სატრანსფერო სეზონის მსვლელობისას მთელი საფეხბურთო სამყარო დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს ლონდონის "არსენალის" უშელავათო ბრძოლას თავისი ვარსკვლავების შესანარჩუნებლად. "მეთოფეთა" ფრანგ გენერალს, არსენ ვენგერს, დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რომ ლონდონური კლუბის საუკეთესო "გრენადირები" – ტიერი ანრი და პატრიკ ვიეირა ევროპული გრანდების მაცდუნებელი წინადადებებისგან დაეცვა. ეს არცთუ ისე იოლი ამოცანა იყო – აბა, როგორ გინდა, ფეხბურთელს უარი ათქმევინო მადრიდის "რეალში" გადასვლაზე? "სამეფო კლუბი" ხომ ყველა მოთამაშის ვარდისფერი ოცნებაა?

მოკლედ, ასე იყო თუ ისე, მაშინ ვენგერის ინგლისურ-ფრანგული ესკადა დაშლას გადაურჩა. ის კი არა, პატრიკ ვიეირამ, ლამის, ახალი კონტრაქტი გააფორმა "არსენალთან". ახლა კი მოვლენები ისე ვითარდება, რომ, შესაძლოა, სულ მალე ლონდონელთა შავკანიანი გიგანტის ათლეტური აღნაგობითა და მაღალი სათამაშო ტექნიკით, ლონდონის "ჰაიბერის" პუბლიკის ნაცვლად, ტურინის "დელე ალპიზე" შეკრებილი ტიფოზები დატკბნენ.



პატრიკ ვიეირა

ტურინის "იუვენტუსს" გულში აქვს ამოჭრილი ფრანგი მცველის გადაბირება. დავიდ ტრეზეგე თავდასხმაში, პატრიკ ვიეირა დაცვაში. აი, ზიდანის დაბრუნებაც რომ შეეძლოთ მოედნის ცენტრში, მაშინ, მართლაც, ოცნების გუნდი გახდებოდა მარჩელო ლიპის "იუვე", მაგრამ ეს უკვე რეალობის ფარგლებს სცილდება. თუმცა, საგანგაშო არაფერია, ზიდანს თუ ველარ დააბრუნებენ, ვიეირას ყიდვა ხომ მაინც შეიძლება, მით უმეტეს, რომ ლონდონელებს "იუვეს" "enfant terrible" – ანუ ედგარ დავიდსი მოსდით თვალში და თუ ტურინელები დავიდსს ზედ მოზრდილ თანხასაც მიაყოლებენ, ვიეირასთვის შავ-თეთრი მაისურის მორგება სულაც არ იქნება განუხორციელებელი ოცნება.

# საქართველოსთან, შესაძლოა, როი კინმაც ითამაშოს

## დაარღვევს კინი ფერგიუსონისთვის მიცემულ პირობას და ჩამოვა თბილისში?

შესაძლოა, უახლოეს მომავალში "მანჩესტერ იუნაიტედის" ირლანდიელი კაპიტანი, როი კინი, თავისი ქვეყნის ნაკრებს დაუბრუნდეს. შეგახსენებთ, რომ 31 წლის ნახევარმცველი, ირლანდიის ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა, მიკ მაკარტიმ, მსოფლიოს უკანასკნელი ჩემპიონატის დაწყებამდე გუნდიდან მოკვეთა. მაკარტი გადადგა. სულ რაღაც ერთი კვირაა, რაც მის ადგილზე ახალი მწვრთნელი, ბრაიან კერი დაინიშნა. ირლანდიური პრესის ცნობით, კერი და კინი მიმდინარე კვირაში შეხვდებიან ერთმანეთს. საუბარი ნაკრებში კინის დაბრუნებას შეეხება.

სწორედ ამ შეხვედრისას გაირკვევა, ითამაშებს თუ არა როი კინი საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ თბილისში, 29 მარტს.

თუმცა, კინის დაბრუნება არც ისე იოლია. მართალია, ფეხბურთელმა განაცხადა, რომ მიკ მაკარტის გადადგომის შემთხვევაში ის ნაკრებს დაუბრუნდებოდა, თუმცა, ამის შემდეგ მან პირობა მისცა ალექს ფერგიუსონს. "მანჩესტერის" მწვრთნელს კინმა აღუთქვა, რომ სანაკრებო კარიერა დაასრულა და მთელ თავის ძალას მხოლოდ კლუბს მოახმარდა.

კინი არჩევნის წინაშეა: ან უნდა დაარღვიოს ფერგიუსონისთვის მიცემული პირობა, ან კიდევ ბრაიან კერს უთხრას უარი.

რაგბი

# ქართველები ფრანგული ოვალური ელიტისკენ მიილტვიან

პაატა თოთაძე

*საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები იმის ვარაუდის საფუძველს იძლევა, რომ, შესაძლოა, ქართველი მორაგბეების მამუკა მაგრაქველიძისა და ბესიკ ხამაშურიძის კლუბებმა მომავალ სეზონში პირველ დივიზიონში (ტოპ 16) იასპარეზონ.*


ბესიკ ხამაშურიძე

ბოლო ტურში "ლა როშელთან" მარცხის მიუხედავად, "ოში" სატურნირო ცხრილში მესამე პოზიციას ინარჩუნებს და პლეი-ოფში მოხვედრის არცთუ ურიგო შანსი აქვს. ქართველთაგან ამ დღეს "ოშის" შემადგენლობაში თამაშობდა ხამაშურიძე, "ლა როშელის" შემადგენლობაში კი - ჩხაიძე. "ანტილოპამ" ძირითად შემადგენლობაში დაიმკვიდრა ადგილი და, ლამის, შეუცვლელ მცველად იქცა. წინა ტურში ის სულაც საუკეთესოდ დაასახელეს გუნდში. ხამაშურიძემ ახლაც 80 წუთი გაატარა მოედანზე, მაგრამ გუნდს მოგებაში ვერაფრით დაეხმარა. ჩხაიძემ 58 წუთი ითამაშა, სოსო ნიკოლაენკოს კი საერთოდ არ გამოსულა მოედანზე. ჩემპიონატის ლიდერებმა, "ბრივმა" და "მონპელიემ", კიდევ უფრო გაზარდეს სხვაობა მდევრებთან. ბოლო ტურში ორივე მათგანმა მოიგო – "ბრივმა" "ტიროსი" დაამარცხა, "მონპელიმ" კი - პლეი-ოფში მოსახვედრად მებრძოლი "ტარბი".

როგორც იქნა, ითამაშა გრეგუარ იაშვილმა. დაზუსტებით ვერ გეტყვით, რატომ არ თამაშობდა წინა მატჩებში "მეტრო-რასინგის" მესამეხაზელი, მაგრამ ამჯერად შეუცვლელად ითამაშა და, როგორც ფრანგულმა პრესამ შეაფასა, კარგადაც. სამწუხაროდ, იაშვილს მხარი ვერ აუბეს თანაგუნდელებმა და მეოთხე ადგილზე მყოფ "ბაიონთან" დამარცხდნენ. დამარცხდა ქართველი ნახევარმცველების "ორიიაკიც". პალიკო ჯიმშელაძეს ისევ არ უთამაშია, ირაკლი აბუსერიძე კი "დაქსის" წინააღმდეგ მატჩში თანაგუნდელებს პირველი ტაიმის შუა ნაწილიდან შეეშველა.

იმას, რაზეც ახლა ვისაუბრებთ, ქართველებთან არავითარი კავშირი არა აქვს, მაგრამ, თავისთავად, ძალიან საინტერესო და სკანდალურია. საქმე დოპინგს ეხება. ფრანგული სააგენტოების მიერ გავრცელებული ინფორმაციით, გუშინწინ საფრანგეთის ნაკრების წევრი პიტერ დე ვილე აკრძალული პრეპარატების ხმარებაში ამხილეს. სპორტსმენი ვარჯიშის დროს შეამოწმეს საფრანგეთის სპორტის სამინისტროს წარმომადგენლებმა. წარმოშობით სამხრეთაფრიკელი მორაგბე, დიდი ხანია, საფრანგეთში თამაშობს. ფრანგი წინაპრების წყალობით კი, ამ ქვეყნის სახელით ბურთაობის უფლებაც აქვს. ჯერჯერობით, უცნობია, რა ელის მორაგბეს. არცთუ დიდი ხნის წინათ საფრანგეთის ნაკრების ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რომ დოპინგის ხმარებაში მხილებულ ნებისმიერ მოთამაშეს სამუდამოდ აეკრძალებოდა ნაკრებში თამაში. ამის გათვალისწინებით, ერთ კვირაში, ექვსი ერის პირველობაზე, ინგლისელთა წინააღმდეგ მატჩში, "მამლებს" დიდი ძალა მოაკლდებათ, თუმცა, განმეორებით ანალიზამდე მორაგბე დამნაშავედ არ ითვლება. ასე რომ, შესაძლოა, ინგლისელების წინააღმდეგ დე ვილემ ითამაშოს კიდეც.

კალენდარი

## 6 თებერვალი


ჯონ მაკინროი

1929 - დაიბადა სიქსტენ ერნბერგი. სათხილამურო სპორტის ლეგენდა. ოთხგზის ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონი.

1949 - დაიბადა ჩარლზ ჰიკოქსი. ამერიკელი მოცურავე. სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი.

1958 - ავიაკატასტროფა განიცადა ინგლისის "მანჩესტერ იუნაიტედმა". სიკვდილს სამი ადამიანი გადაურჩა - მწვრთნელი მეტ ბასბი, ბილ ფოულკსი და ბობი ჩარლტონი.

1959 - დაიბადა ჯონ მაკინროი. ამერიკელი ჩოგბურთელი. ჩოგბურთის ისტორიაში ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურა.

1968 - გრენობლში (საფრანგეთი) დაიწყო ზამთრის მე-10 ოლიმპიური თამაშები.

1993 - გარდაიცვალა არტურ ეში. ამერიკელი ჩოგბურთელი. პირველი შავკანიანი, რომელმაც მოიგო უიმბლდონი.

ფორმულა 1

# კატალონიური სერობა

კახა ფაჩუაშვილი


ახალმა "ტოიოტამ" გაამართლა

ახალი სეზონის დაწყებამდე ფორმულა 1-ის გუნდებმა, თითქოს, მოილაპარაკესო, კატალონიაში მოიყარეს თავი და ახალი ბოლიდებით იწონებენ თავს. თუმცა, როგორც ირკვევა, ბევრს თავმოსაწონი არაფერი აქვს. რაც უნდა ვილაპარაკოთ, "ფერარის" დარი ბოლიდი წლეულსაც ვერავინ შექმნა და, ძნელი საფიქრებელია, მიხაელ შუმახერსა და ძმათა მისთა კონსტრუქტორთა დავაში ვინმემ კონკურენცია გაუწიოს.

საგულისხმოა, რომ ამას აღიარებს იტალიური გუნდის დაუძინებელი მტერი - "უილიამსი", უფრო სწორად, მისი გერმანელი პილოტი, მიხაელ შუმახერის ძმა - რალფი. ერთ-ერთი ტესტის შემდეგ მან ალალად განაცხადა: არა აქვს იმის ილუზია, რომ წლეულს "უილიამსი" ჩემპიონობისთვის ბრძოლაში "ფერარის" რეალურ კონკურენციას გაუწევს.

"თუ შედეგებს გადავხედავთ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ახალი სეზონისთვის ჩვენი გუნდის მომავალი არცთუ ისე შთამბეჭდავად გამოიყურება. თუმცა, არ მინდა, პესიმისტი ვიყო, რადგან მანქანა მაინც გავაუმჯობესეთ. თანაც, მას ჯერ არ მიუღია აეროდინამიკის საბოლოო ვარიანტის ფორმა. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში გუნდი ძველი მანქანების მოდიფიკაციას ახდენდა. წლეულს ახალი ფურცელი გადავშალეთ. ასე რომ, ფაქტობრივად, ყველაფერს თავიდან ვიწყებთ. უახლოეს დღეებში ზოგიერთ ახალ, უაღრესად მნიშვნელოვან დეტალს გამოვცდით. ორ კვირაში კი, როცა ვალენსიაში ჩავალთ, ვფიქრობ, ჩვენს ახალ მანქანაზე უფრო კარგი წარმოდგენა შეგვექმნება. რაც შეეხება "ფერარის", არ ვიცი, როგორ გავუწევთ მას წინააღმდეგობას. მათი ბოლიდი უკეთესი იქნება, მაგრამ შარშანდელი F2002-ც რომ დაეტოვებინათ, მსოფლიო ჩემპიონატს მაინც მოიგებდნენ", - განაცხადა რალფ შუმახერმა.

ამასობაში "უილიამსი" კატალონიის ტრასაზე ახალი ბოლიდით დაქრის. პირველი ტესტი Williams FW25-მა 31 იანვარს ჩაატარა, მაგრამ გუნდი, მთელი სიდიადით, ერთი დღის შემდეგ გამოჩნდა. რალფ შუმახერის სიტყვებიც სწორედ ამ სამდღიანი ტესტის შემდეგ ითქვა. მას შემდეგ, რაც ორშაბათს Williams FW25-ით რალფმა კატალონიის ტრასაზე 62 შედეგიანი წრე განვლო, ესტაფეტა დაუთმო ხუან-პაბლო მონტოიას, რომელმაც ახალი მანქანით მხოლოდ 8 წრე გაიარა. შემდეგ კი ელექტრონულ სისტემაში პრობლემები გაჩნდა და კოლუმბიელი იძულებული შეიქნა, რბოლა შარშანდელი FW24-ით გაეგრძელებინა. სამშაბათს მონტოია ისევ მიუჯდა FW25-ის საჭეს, მაგრამ განსაკუთრებულ წარმატებას ვერ მიაღწია.

მისგან განსხვავებით, კატალონიაში წარმატებული სტარტი გამოუვიდა Toyota TF103-ს. სამშაბათს კრისტიანო და მატა ოლივიე პანისმა შეცვალა და მანაც შთამბეჭდავი შედეგი აჩვენა. იმ დღეს ფრანგმა 51 წრე გაიარა და მათგან საუკეთესო 1:17.390 წამში დაფარა, მაგრამ მას ყოველმხრივ ავიწროებდნენ წითელი დროშები. ერთხელ კი პანისი, მექანიკური პრობლემების გამო, იძულებული გახდა, პირდაპირ პიტლეინზე გაჩერებულიყო.

"ძალიან მესიამოვნა ჩვენი ახალი მანქანის საჭესთან დაბრუნება. ამ ტესტებზე კრისტიანომ ორი საინტერესო დღე გაატარა. მე ჯერ ბევრი საქმე მაქვს გასაკეთებელი. განსაკუთრებით ხვალ, როცა "მიშელინის" ახალ საბურავებს გამოვცდი. შევეცდები, ტესტების წარმატებული სვლა განვაგრძო. უაღრესად კმაყოფილი ვარ TF103-ის მართვის სისტემით. ეს მხნეობას გვმატებს, მით უმეტეს, რომ არც კი გვიცდია, ტრასაზე ცოტა ბენზინით გამოვსულიყავით", - განაცხადა ოლივიე პანისმა.

Sauber Petronas-ი ჩვენ გმირებთან სისწრაფით ახლოსაც ვერ მივა, მაგრამ კატალონიურ ტესტებს ეს გუნდიც ატარებს. ჯერჯერობით, ტრასაზე მხოლოდ ერთი მანქანაა და გუნდი არც მალავს, რომ, მანქანის სისწრაფის გაუმჯობესების მიზნით, ახალ ვარიანტებზე მუშაობს. პეტერ ზაუბერი სისწრაფის ნაკლებობას ძალიან განიცდის, მაგრამ, ამავე დროს, მოხიბლულია მისი საიმედოობით. ჟ22-ს არავითარი სერიოზული ტექნიკური წუნი არა აქვს.

"ჩვენი მანქანის საიმედოობით კმაყოფილი ვარ და იმედი მაქვს, ქულათა ახალი სისტემა ჩვენზე იმუშავებს. მანქანა კარგად რეაგირებს სხვადასხვა სისტემაზე, მართვისას მსუბუქია და ჩვენმა პილოტებმა ეს შეაფასეს. თუმცა, როგორც ჩანს, აეროდინამიკასთან დაკავშირებით ბევრი სამუშაო გვექნება", - განაცხადა პეტერ ზაუბერმა.

თავისი მომავლის შესახებ ზაუბერი პროგნოზს არ აკეთებს, მაგრამ კარგად ესმის, რომ მის გუნდს 2003 წლის სეზონში ძალიან გაუჭირდება ქარხნული ტიპის გუნდებთან გამკლავება: "რენო" უაღრესად სწრაფი ჩანს, "ბარ-ჰონდა" პროგრესს განიცდის, "ტოიოტა" კი გულშემატკივართა გაოცებას აპირებს. მოკლედ, წლევანდელი სეზონი ნამდვილად უბრალო არ იქნება", - ამბობს ზაუბერი.

შეგახსენებთ, რომ მას შემდეგ, რაც 1999-2000 წლების სეზონში "ზაუბერი" კონსტრუქტორთა ჩათვლაში მეოთხე ადგილზე გავიდა, 2001 წლის სეზონში ეს პოზიცია "რენოს" დაუთმო.

ჭადრაკი

## „ოქრო" - მსოფლიო, „ვერცხლი" - ევროპა

ბიბა ბურასაშვილი

27 ინვრიდან 5 თებერვლამდე აჟრიამულებული ჭადრაკის სასახლე 18 წლამდელთა საქართველოს ჩემპიონატს მასპინძლობდა. ახალგაზრდებს ჯილდოდ ელოდათ მსოფლიოსა თუ ევროპის ჩემპიონატის საგზურიც, თუმცა, არა ყველას. საგზურის მოსაპოვებლად ჩემპიონობა ან მეორე ადგილის დაკავება იყო საჭირო. გამარჯვებული მოჭადრაკეებისთვის საერთაშორისო ასპარეზობებზე გასამგზავრებელი ხარჯები აქედანვე თავის თავზე აიღო განათლების სამინისტრომ, რაც კარგი სტიმული უნდა ყოფილიყო ახალგაზრდებისთვის. რაც შეეხება მსოფლიო ჩემპიონატს, მას შემოდგომაზე საბერძნეთის ქალაქი ჰალკიდიკი უმასპინძლებს, ხოლო ევროპის ჩემპიონატს - იუგოსლავიის ქალაქი ბუდვა.

საქართველოს ჩემპიონატი შვეიცარიული სისტემით, ცხრა ტურად გაიმართა. ერთმანეთში ურთიერთობას არკვევდა 50 ჭაბუკი და 38 მოჭადრაკე გოგონა. გოგონებში ჩემპიონი გახდა ქუთაისელი ნანა ძაგნიძე. მეორე ადგილი დაიკავა ბათუმელმა ნინო ბაწიაშვილმა, მესამე - თბილისელმა თამარ წერეთელმა. ჭაბუკებში გაიმარჯვა წალენჯიხელმა კონსტანტინე შანავამ. მეორე ადგილი დაიკავა თბილისელმა ლევან აროშიძემ, მესამე - ქუთაისელმა გიგა ყუფარაძემ.

მოკლედ

**ჰოკეი.** სამშაბათს, "ტამპასთან" მატჩში, მეორე პერიოდის მერვე წუთზე, "ვაშინგტონ კეპიტალზის" ვარსკვლავმა, იარომირ იაგრმა, მეტოქის კარში შაიბა გაიტანა. ამ შაიბის წყალობით იაგრი NHL-ის ისტორიაში გახდა 33-ე მოთამაშე, რომელმაც კარიერის მე-500 გოლი გაიტანა. იარომირი მე-16 მოთამაშეა, რომელმაც 1000-ზე ნაკლებ მატჩში 500 გოლის გატანა შეძლო. ცნობილ ჰოკეისტს 927 მატჩი აქვს ჩატარებული.

■ ■ ■

**ოლიმპიზმი.** აშშ-ის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი მარტი მანკამაიერი, საკუთარი სამწყსოს ზეწოლის გამო, იძულებული გახდა, პოსტიდან გადამდგარიყო. გადადგომის ერთ-ერთ მიზეზად მანკამაიერმა ზოგიერთ ორგანიზაციაში იანვარში დაწყებული არასოლიდარული განწყობილება დაასახელა. 21 იანვრის კენჭისყრა, რომელიც მანკამაიერის გადადგომას ითვალისწინებდა, ორგანიზაციის 7 წევრმა დაუჭირა მხარი. ეს მეორე შემთხვევაა ბოლო ათი თვის განმავლობაში, როდესაც თანამდებობას ტოვებს აშშ-ის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი.

■ ■ ■

**ოლიმპიზმი.** ბულგარეთის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისა და ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს, ივან სლავკოვს, ერაყზე ამერიკის აგრესიის შემთხვევაში, განზრახული აქვს, არაბული ქვეყნის დასაცავად, მოხალისედ ჩაეწეროს. როგორც ბულგარეთის რადიო "სპორტი" იტყობინება, სამშაბათს სლავკოვმა ბულგარეთში ერაყის ელჩს სწორედ ასეთი მხარდაჭერა აღუთქვა. მეტიც: ერაყის ელჩთან შეხვედრისას სლავკოვმა განიხილა საკითხი, რომელიც ერაყელ სპორტსმენთათვის ათენის 2004 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის მოსამზადებლად ბულგარეთის სტადიონებისა და სპორტული არენების დათმობას ითვალისწინებს.

■ ■ ■

**ავტორბოლა.** ფორმულა 1-ის Toyota-ს საჯინიბოს ყოფილი პილოტი, ფინელი მიკა სალო აპირებს, ამ ზაფხულს ძალები მოსინჯოს "ლე მანის" ავტორბოლაში. თუმცა, დებიუტანტი სალო მარტო არ გაუდგება "ლე მანის" ტრასას. მისი პარტნიორი იქნება ხსენებული ასპარეზობის ბოლო სამი წლის გამარჯვებული, "Audi"-ის გერმანელი მრბოლი ფრანკ ბელა. "იმის შესაძლებლობა, რომელიც "ლე მანზე" ბოლო სამი წლის ტრიუმფატორი მანქანით და, ამასთან, ჩემპიონ პილოტთან დებიუტის საშუალებას მაძლევს, ძალზე მაცდური წინადადებაა", - განაცხადა სალომ.

კრივი

# კლიჩკო vs ლუისი სცენაზე იყო...

*კლიჩკოს ბანაკის წარმომადგენლებს, ეტყობა, ყელში ამოუვიდათ ლენოქს ლუისთან მათი თანამემამულის დაპირისპირება-არდაპირისპირების გაჯანჯლებული თემა. ფაქტია, რომ უკრაინელისა და ბრიტანელის ორთაბრძოლამდე ეს უკანასკნელნი, უფრო სწორად, მათი ადვოკატები, კონტრაქტით ნაკისრ ვალდებულებებში დაეძებენ ისეთ წვრილმანებს, რომლებიც ორივე მხარეს საკუთარი არგუმენტების განმტკიცებაში დაეხმარება. საქმე სასამართლომდე მივა თუ რინგამდე, ამას არც ერთი დღე ეყოფა და არც კვირები. როგორც ასეთი ჩახლართული სიტუაციების გამოცდილება გვიკარნახებს, გაურკვევლობა თვეებით გაიწელება...*

ბიბა ბურასაშვილი

ლენოქს ლუისის განცხადებამ, რომ მზადაა, ძმებ კლიჩკოთაგან ჯერ უფროსს - ვიტალის და შემდეგ უმცროსს - ვლადიმირს დაუპირისპირდეს, აურზაური გამოიწვია. ბრიტანელის თქმით, ძმებთან პაექრობისთვის მაშინ იქნება მზად, როდესაც 21 ივნისის ორთაბრძოლა მასა და მაიკ ტაისონს შორის ისტორიის კუთვნილება გახდება. ალბიონელის ამ განცხადებას, რა თქმა უნდა, უკრაინელთა გულისწყრომა მოჰყვა. როგორც თავად აცხადებენ, საფუძვლიანიც. არსებობს კონტრაქტი, რომელიც ლუისს, თავდაპირველად ვიტალისთან ბრძოლას ავალდებულებს.

"თუ არსებობს შეთანხმება, მაშინ პირობები აუცილებლად უნდა დავიცვათ. არ მომბეზრდება იმის გამეორება, რომ არსებობს წესები, რომლებიც WBC-მ (საბჭომ) დააწესა. ასე რომ, ლუისს ორი გზა აქვს. პირველი - რინგზე გასვლა და ჩემთან ორთაბრძოლა. მეორე - უარი თქვას საჩემპიონო ქამარზე და, ჯარიმის სახით, სოლიდური თანხაც გადაიხადოს", - კატეგორიულია კლიჩკო უფროსი.

ყველაფერი კი 24 იანვარს დაიწყო. მაშინ ლუისის ადვოკატმა, ჯად ბერნშტეინმა, ქვეყანას ამცნო, რომ აპრილისთვის დაგეგმილი ორთაბრძოლა კლიჩკოსა და მის კლიენტს შორის არ გაიმართებოდა. ვიტალისთან ბრძოლაზე ლუისის უარი ბერნშტეინმა ასე განმარტა: "ლენოქსი ვალდებულია, მაიკ ტაისონთან გამართოს მატჩ-რევანში. თუ იგი ვიტალის აპრილში შეხვდება, მაშინ ტაისონთან მატჩისთვის მოსამზადებლად დრო არ ეყოფა. იმისთვის, რომ ლუისმა საბოლოოდ გადაწყვიტოს, ეჩხუბოს თუ არა ტაისონს, ეტიენისა და ტაისონის 22 თებერვლის ორთაბრძოლაზე იქნება დამოკიდებული.

ერთი სიტყვით, იმის გასარკვევად, თუ ვინ დაარღვია სამი თვის წინ დადებული კონტრაქტი, წაკიდებულ მხარეთა ადვოკატები ქაღალდებში იქექებიან. ამასობაში უკრაინელი მოკრივეები დროს არ კარგავენ - ვარჯიშით იდენენ ოფლს. საქმეს კი ადვოკატები აგვარებენ.

"კლაუს-პიტერ კოლი (ძმები კლიჩკოების პრომოუტერი – რედ.) ახლახან კარგი განწყობით დაბრუნდა ამერიკიდან. იგი დარწმუნებულია, რომ ჩვენი ადვოკატები პრომოუტერთა კომპანია "Lion Promotion"-ის (ლუისის ინტერესების დამცველი – რედ.) მიერ კონტრაქტის დარღვევის დამტკიცებას შეძლებენ. ერთი სიტყვით, ადვოკატებს სჯერათ, რომ სასამართლოში საქმეს მოიგებენ...

მე კი მხოლოდ ერთი რამის თქმა შემიძლია: მსურს, რაც შეიძლება, მალე გავიდე რინგზე. სავარაუდოდ, ბრძოლა აპრილში გაიმართება და, ამასთან, შესაძლოა, ამერიკაში. რაც შეეხება კონკრეტულ მეტოქეს, თარიღსა და ადგილს, ამის შესახებ ინფორმაციას, ჯერჯერობით, არ ვფლობ. ვფიქრობ, ახლო მომავალში ყველაფერი გაირკვევა", - აცხადებს ვიტალი კლიჩკო.

ამასობაში კი ძმები კლიჩკოები ბერლინში გასამართი 8 თებერვლის საქველმოქმედო აუქციონისთვის – "Cinema For Peace" (კინო მშვიდობისთვის) ემზადებიან. აუქციონზე, რომელზე შემოსული თანხაც ბავშვებთან მომუშავე საქველმოქმედო ორგანიზაციებს მოხმარდება, წარმოდგენილი იქნება როგორც ევროპელ კინემატოგრაფისტთა, ისე ამერიკული კინოს ვარსკვლავთა ნივთები. აი, ვლადიმირს კი აუქციონისთვის შეგულებული აქვს ის ხელთათმანები, რომლითაც მან ფილმ "Ocean's 11"-ის (ჩვენში ცნობილია, როგორც "ოუშენის 11 მეგობარი") ერთ-ერთ სცენაში ლენოქს ლუისთან გამართა ორთაბრძოლა. რეალურ დაპირისპირებამდე კი, როგორც ხედავთ, დროა საჭირო.

## საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია

აცხადებს 6-დან 14 წლამდე ასაკის ნიჭიერ ვაჟთა და გოგონათა მიღებას საბავშვო-საყმაწვილო საესტრადო ანსამბლ-სტუდია "ნიკეში".

ანსამბლი-სტუდია "ნიკე" იქნება ნორჩი ტალანტების მეგზური შოუ-ბიზნესის სამყაროში. "ნიკე" მონაწილეობას მიიღებს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიისა და მსოფლიოს წამყვანი საპროდიუსერო კომპანიების ეგიდით გამართულ კონცერტებში, ფესტივალებში და სატელევიზიო პროექტებში.

ანსამბლ-სტუდია "ნიკეს" აღსაზრდელები მიიღებენ სტუდიის კურსდამთავრებულის სერთიფიკატს, რომელიც გაუხსნის მათ გზას შოუ-ბიზნესის ელიტაში.

სტუდიას ხელმძღვანელობს კომპოზიტორი **ზურაბ ჩინჩალაძე**.

მიღება წარმოებს 2003 წლის 10 თებერვლიდან, შემდეგ მისამართზე:

**დავით აღმაშენებლის პრ. N136, II სართული, ოთახი N34.**

**საკონტაქტო ტელეფონი: 95-18-50**

განცხადებების მიღება სამუშაო დღეებში 12-დან 18 საათამდე.

# აფიშა

## თეატრები

**რეზო გაბრიაძის თეატრ-სტუდია**
ყოველ პარასკევს, შაბათს და კვირას გაიმართება სპექტაკლი "ჩემი გაზაფხულის შემოდგომა"
დას: 19.00. ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში 11 - 16 სთ-მდე. (შავთელის ქ. №13). ტელ: 98-65-90, 98-65-93.

**მარჯანიშვილის თეატრი**
კინომსახიობთა თეატრის სპექტაკლი
"ამფიტრიონი 38", რეჟ. მიხეილ თუმანიშვილი
დას: 18:00 სთ; ფასი 3-5 ლარი

**თეატრალური სარდაფი**
ნინო ბასილია "თაგვი", რეჟ. ლევან წულაძე
დას: 20:00 სთ; ფასი 5 ლარი

**თავისუფალი თეატრი**
"ჯინსების თაობა (დაგვიანებული რექვიემი)", რეჟ. დათო დოიაშვილი
დას: 19:00 სთ; ფასი 3,7,10 ლარი

**ერთი მსახიობის თეატრი „ვერიკო"**
"კონტრაბასი", რეჟ. ნინო ახვლაედიანი; მთავარ როლში, გია გოგიშვილი
დას: 18:00 სთ; ფასი 3 ლარი

**პანტომიმის თეატრი**
"კრიმანჭული", რეჟ. ამირან შალიკაშვილი
დას: 18:00 სთ; ფასი 3 ლარი

## საგამოფენო დარბაზები

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
მაკა ასათიანისა და გუგა კოტეტიშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**„ქარვასლა"**
ფოტოგამოფენა ფოკის მამათა მონასტრის დასახმარებლად

**ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა ნახატების გალერეა**
ბავშვთა ნამუშევრების გამოფენა "ჩვენ მომავალი ოლიმპიელები ვართ"

## კინოთეატრები

**„ამირანი"**
"ბეჭდების მბრძანებელი", რეჟ. პიტერ ჯექსონი
დას: 10:30; 14:00; 17:30; 21:00 სთ; ფასი 5,6,9,10 ლარი

**„რუსთაველი"**
"ჯეიმს ბონდი, მოკვდი სხვა დღეს", რეჟ. ლი ტომახორი; როლებში პირს ბროსნანი, ჰალი ბერი
დას: 15:00; 19:00 სთ; ფასი 5 ლარი
"ტრანსპორტერი"
დას: 17:00; 21:30 სთ; ფასი 7 ლარი

**„ელისო"**
"ტრანსპორტერი"
დას: 15:00; 19:00 სთ; ფასი 5 ლარი
"ჯეიმს ბონდი, მოკვდი სხვა დღეს", რეჟ. ლი ტომახორი; როლებში პირს ბროსნანი, ჰალი ბერი
დას: 17:00; 21:30სთ; ფასი 5 ლარი

**ალექსანდრე დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრი (გუდიაშვილის 10)**
რუდოლფ ნურიევის ხსოვნისადმი მიძღვნილი ვიდეოჩვენება
"რომეო და ჯულიეტა", პარიზის ოპერის ბალეტის ვარსკვლავების შესრულებით
დას: 18:00 სთ




## ბინები

### იყიდება

იყიდება ერთი ოთახი აღმაშენებლის 82-ში იტალიურ ეზოში I სართულზე, გამოდგება საოფისედ,. ფას: 5600$. ტელ: 34-06-65, 34-85-40, 899 266 221.

იყიდება ბუდაპეშტის ქ. 10-ში 2-ოთახიანი ბინა ლოჯით, რემონტით, მე-5 სართ. ფასი 18 000. ტელ: 899 901729

იყიდება აგარაკი ქვედა წყნეთში, ახალგარემონტებული. ტელეფონი, გაზი, გათბობა, ავტოფარეხი, სამი ოთახი ბელეტაჟზე. 22 55 29

იყიდება კეთილმოწყობილი 100 კვ.მ. საკუთარი სახლი ბაგებში 500 კვ.მ. ბაღით. 30 000. 23 59 18

იყიდება საკუთარი სახლი ნუცუბიძეზე, საბაგიროსთან. ხეხილის ბაღით და ავტოფარეხით. 39 87 19

სასწრაფოდ იყიდება კარგად გარემონტებული 5-ოთახიანი ბინა ვაკეში, II-III სართული. ფასი 75 000. 8(99) 51 58 54

სასწრაფოდ იყიდება გარემონტებული სამოთახიანი ბინა ა/ფარეხით ფალიაშვილის ქუჩაზე. მე-2 სართული. ს/ფასი 50 000. 8(99) 51 58 54

სასწრაფოდ იყიდება სამოთახიანი ბინა ახალ კორპუსში რუსთაველზე, I სკოლასთან. 50 000. 8(99) 51 58 54

## მიწის ნაკვეთი

იყიდება ბაზალეთის ტბის პირას საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი შეთანხმებით. ტელ: 95-52-92.

## კომერც. ფართი

**ქირავდება!**

სახლი აღმაშენებლის გამზ. №151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ.

ტელ: 37-28-77; 93-16-11; 899 539097

## ბინები

### ქირა, გირაო

**სასწრაფოდ!** ქირავდება ფართი საოფისედ მეტრო "რუსთაველის " უკან, "მაკდონალდსის" ეზოში, 120 კვ.მ, I სართ., მუდმივი დენი, ბ/ა. გარემონტებული. ფასი: 400$.

ტელ: 31-41-91 ნუგზარი. 899 974212.

## სწავლება

დაჩქარებული მეთოდებით და სხვადასხვა მასალის გამოყენებით შევასწავლი ფრანგულ სასაუბრო ენას ნებისმიერი ასაკის მსურველს. 98 30 46 ნონა

უნივერსიტეტის ლექტორი და სკოლის მასწავლებელი მოამზადებს მოსწავლეებს ფიზიკა-მათემატიკაში. 38 63 73 ზურა

შევასწავლი გერმანულ ენას. 32 03 71

ინგლისში სტაჟირებული პედაგოგი შეგასწავლით ინგლისურ ენას თქვენი მიზნების გათვალისწინებით. აგრეთვე, მიიღებთ კონსულტაციებს დიდ ბრიტანეთში სწავლა-განათლების შესახებ. ტელ: 95-20-34, 96-64-12

მოვამზადებ ფიზიკა-მათემატიკაში სკოლის მოსწავლეებს, აბიტურიენტებს, მოსამზადებლის სტუდენტებს. 38 44 43 საღამოს, 61 29 76

## ეპილაცია

ყურადღება! სამუდამოდ გაგათავისუფლებთ ჭარბთმიანობისგან. ვარჩენთ ნებისმიერი სირთულის თმას. 1 საათი – 12 ლარი. ტ. 93-19-52, 899 168 168 ნინო

## სხვადასხვა

იყიდება გერმანული როიალი "ბლუტნერი" კარგ მდგომარეობაში, სპილოს ძვლის კლავიატურით, შავი, მრგვალ ფეხებზე, სიგრძე 2მ, საუკეთესო ჟღერადობის. ფასი შეთანხმებით. ტელ: 34-27-82 თინა.

მაცივრებისა და სარეცხი მანქანების შეკეთება ბინაზე გამოძახებით. 72 35 33 მიშა

პროფესიით ვარ ეკონომისტი, 23 წლის. ვიმუშავებდი პროფესიით ან რომელიმე პრესტიჟულ მაღაზიაში. დასაქმების ცენტრი არ გამომეხმაუროს. 51 56 49 თამუნა

შევიძენ 1-ტონიან პლასტმასის ავზს. 899 973993, 899 298705.

ვისესხებ თანხას ბინის და ავტომანქანის მყარი გარანტიით. 37 96 46

ვთარგმნი გერმანულიდან, ინგლისურიდან, რუსულიდან სამედიცინო და ნებისმიერი სირთულის ტექსტს. 75 53 55

იყიდება ნატურალური ღვინო "ოჯალეში, რომელიც განთქმულია სამკურნალო თვისებებით. ფასი 5 ლარი.
ტელ: 52-30-30, 899 181945

ფირმების რეგისტრაცია უმოკლეს ვადაში.
96-17-35
899 16 11 03

გეპატიჟებათ
კაფე-რესტორანი
„იმედი"

გემრიელი სამზარეულო, მყუდრო გარემო დიდი ქეიფის დროსაც, მაღალი კლასის მომსახურება და ღიმილი ყველაზე ახირებული სტუმრისთვისაც კი. შეგიძლიათ წინასწარ დაიბევოთ ადგილები და მენიუ.

**სანდრო ეულის ქ. 1.**

8(93) 21 76 12




# TV პროგრამა 6 თებერვალი

## რუსთავი - 2

- 07.00 მუსიკა
- 07.30 მულტსერიალი „პაწაწინა ონავრები"
- 08.00 დილა მშვიდობისა
- 09.40 სერიალი „ქალთა ქვეყანა"
- 10.40 სერიალი „ალფი"
- 11.10 ხალხის პირისპირ
- 12.00, 15.00 კურიერი
- 12.15 სერიალი „მაცდური სიყვარული"
- 13.30 მხ. ფილმი
- 15.20 მხ. ფილმი
- 17.05 სერიალი „ქალთა ქვეყანა"
- 18.00, 21.00, 02.20 კურიერი
- 18.20 მულტსერიალი „პაწაწინა ონავრები"
- 18.50 სერიალი „ლეგენდა დაკარგულ ქალაქზე"
- 19.30 სერიალი „მედისონის სკოლა"
- 20.05 სერიალი „მაცდური სიყვარული"
- 22.00 ვის უნდა ოცი ათასი?
- 22.50 ღამის კურიერი
- 00.20 მხ. ფილმი „არჩევანი არადანი" მთ. როლებში ფილიპ ნუარე, მიშელ სერო
- 02.30 კლასიკა

## პირველი არხი

- 07.30 ალიონი
- 09.45 მულტსერიალი „უკანასკნელი ნაკრძალი"
- 10.15 მხ. ფილმი „მიზანი - დედამიწა"
- 11.45 დოკ. სერიალი „მოდა ყველასათვის"
- 12.00, 15.00, 20.00 მოამბე
- 12.15 ტელესერიალი „ეშმაკუნა"
- 13.00 „ნაშუადღევს"
- 14.05 ინგლისური ენის გაკვეთილი
- 14.30 დოკ. სერიალი „აფრიკის ბუნების დიდებულება"
- 15.15 მხ. ფილმი „შუაღამის კაცი" მთ. როლებში
- 16.55 დოკ. ფილმი „მსოფლიოს ბაზრები"
- 17.25 რამპა
- 17.30 შემეცნებითი ფილმი „მოგზაურობა დედამიწის გარშემო" (ანტიგუა და ბარბუდა)
- 18.00 ვესტნიკი
- 18.20 დოკ. სერიალი „ავიაშოუ"
- 18.30 ბასტი-ბუბუ
- 18.50 „ჯანმრთელობა"
- 19.20 ტელეთამაში „იმღერე რამე"
- 21.00 ტელესერიალი „ეშმაკუნა"
- 21.55 „საქართველო არის ესე"
- 22.25 დოკ. სერიალი „წყვილები და დუეტები"
- 23.00 „დღის ბოლოს"
- 00.00 მხ. ფილმი „სასიკვდილო მტრობა"
- 01.40 ქართული ენის გაკვეთილი

## პირველი სტერეო

- 08.00 ტოროლა
- 11.00 განმეორებით ქართულ-უცხოური მუსათეული
- 11.45 მუსიკა
- 13.00 სმს შოუ
- 16.00 ფილმი „ამერიკელი გმირი"
- 19.00 ინფორმატორი
- 19.15 ქართული მუსიკა
- 19.30 ვიდეორადიო
- 21.00 მუსათეული მიქსი
- 22.00 ინფორმატორი
- 22.30 მუსიკა
- 23.00 სველი ხაზი
- 00.00 ფილმი ბრავო „მოძრაობაში"
- 01.45 ფილმი ღამურა „მორიელთა მეფე"
- 03.45 პაუზის გარეშე

## მეორე არხი

- 19.00, 22.00 „მოამბე" მეორე არხზე
- 19.10 მულტფილმი
- 19.40 სერიალი „ოჯახური ურთიერთობები"
- 20.30 ისტორიანი
- 21.00 შვიდეული
- 22.10 ჰიტ. პარადი
- 22.20 მხ. ფილმი „დანაშაულის გენეალოგია"

## იბერია

- 08.00 ანონსი, მულტფილმი
- 08.20 აღსავალი
- 08.25, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 21.55, 23.50, 01.25 მუსიკა
- 08.30, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები
- 09.30 მხ.ფ. „სისი, მომხიბლავი პრინცესა"
- 10.20 მხ.ფ. „დამნაშავე"
- 13.10 დოკ. სერიალი „ექსპედიცია"
- 14.10 დოკ. ფილმი
- 17.30 დოკ. სერიალი
- 18.00 დოკ. სერიალი „ექსპედიცია"
- 18.45 ბუნების ფერები
- 19.30 კონცერტი
- 21.00 ტელე-სინე-ვიდეო (განმეორებით)
- 22.30 მხ.ფ. „სისი, ნორჩი დედოფალი"
- 23.55 მხ.ფ. „ტრასა 60"
- 01.30 ღამის ფილმი

## კავკასია

- 12.00 მხ. ფილმი „რეგენერატორი"
- 13.30 მხ. ფილმი „ფიორინა"
- 15.00 მხ. ფილმი „ჭკვიანი უილ ჰანტინგი"
- 17.00, 19.00, 20.30, 00.00 „დღეს"
- 17.15 მხ. ფილმი „მაიკლი"
- 19.20 სპექტრი
- 21.00 მხ. ფილმი „მუმია"
- 23.00 მუსიკა

## მეცხრე არხი

- 09.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები
- 09.40 მულტფილმი „ტომი და ჯერი"
- 10.00, 11.50, 14.25, 17.20, 19.50, 21.50 მუსიკა
- 10.10 მხ. სერიალი „ყრმა სახელად იესო"
- 11.00 მხ. სერიალი „მოჯადოება"
- 12.00 მხ. სერიალი „ვი. აი. პი."
- 12.50 მხ. ფილმი „მეთვალყურე"
- 14.45 მულტფილმი „ვიზიონერები - მაგიური სინათლის რაინდები"
- 15.10 დოკ. სერიალი „ეს ცეკვაა" მე-3 ნაწილი
- 15.40 მხ. ფილმი „სიღრმეში"
- 17.45 მხ. სერიალი „ყრმა სახელად იესო" მე-3 სერია
- 18.40 მულტფილმი „ვიზიონერები - მაგიური სინათლის რაინდები" მე-4 სერია
- 19.00 მხ. სერიალი „მოჯადოება" 109-ე სერია
- 20.00 დოკ. ფილმი „პალიტრა" ფრანგი მხატვრები - ვატო
- 21.00 მხ. სერიალი „ვი. აი. პი."
- 22.00 მხ. ფილმი „გრიგალი"
- 00.20 მხ. სერიალი „თოჯინების ველი" მე-4 სერია
- 00.45 მხ. ფილმი „კიდევ ერთი კარგი რამ"

## აჭარა

- 08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
- 08.30 მუსიკა
- 09.00, 12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება
- 09.30 მუსიკა
- 10.00 კომედია „პატივცემული ჯენტმენი"
- 12.10 სათავგადასავლო ფილმი „რობინზონი კრუზო"
- 13.35 დრამა „მეექვსე გრძნობა"
- 16.15 მულტფილმი „მზეთუნახავი და ურჩხული"
- 17.25 მხატვრული ფილმი „მთელი ძალით"
- 19.15, 22.30, 00.30 „ნოვოსტი"
- 19.25, 22.45, 00.40 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
- 19.30 „პირისპირ" საავტორო პროგრამა
- 20.30 მხატვრული ფილმი „შეთქმულება თეთრ სახლში"
- 22.00, 00.00 „დღეს"
- 22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
- 22.55, 01.00 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
- 23.00 დოკუმენტური ფილმი
- 01.10 მელოდრამა „მხოლოდ სიყვარული" 1 სერია
- 03.30 ისტორიული ფილმი „ბაუნტი"

## VII არხი

- 09.10 მელოდია
- 09.35 „აჩიკუდა"
- 09.55 „სახლიდან გაუსვლელად"
- 10.40 სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი"
- 11.15 „სახლიდან გაუსვლელად"
- 11.40 „ბიორითმი" - ფილიპ კირკოროვი.
- 12.00 „სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო-ვიდეო-ტელე
- 12.40 დისნეი და მისი მეგობრები
- 13.15 „სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა
- 14.00 სპორტი
- 18.20 „სახლიდან გაუსვლელად" - საყოფაცხოვრებო ტექნიკა
- 19.00 „აჩიკუდა"
- 19.40 „სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო-ვიდეო-ტელე
- 20.20 ღამის კაპრიზი" - თემა: მე მაღიზიანებს.
- 21.20 „სახლიდან გაუსვლელად" - მობილურები
- 22.05 „კინოკლუბი „ - „უცნობებს ნუ დაელაპარაკები".
- 23.35 „სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა
- 00.15 „ბიორითმი" - ფილიპ კირკოროვი.

## ОРТ

- 07.00 „Доброе утро!"
- 10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости
- 10.15 Сериал „Земля любви, земля надежды"
- 11.10 Сериал „Ермак"
- 12.05 „Смехопанорама"
- 12.35 Дисней-клуб: „Черный плащ"
- 13.15 Худ. фильм „АЛЛЕГРО С ОГНЕМ"
- 15.00 „Новый день". „Русский экстрим"
- 15.30 „Новый день". „Вундеркинди. Обгоняя время".
- 16.15 Док. сериал „Дикие штучки"
- 16.55 Худ.фильм „Русские в Городе Ангелов"
- 18.00 „Большая стирка"
- 19.30 „Сами с усами"
- 20.00 Сериал „Земля любви, земля надежды"
- 21.00 „Слабое звено"
- 22.00, 00.30 Время
- 22.40 Худ.фильм „Русские в Городе Ангелов"
- 23.45 Человек и закон
- 00.50 „Новый день". „Сканер"
- 01.20 „Новый день". „Гении и злодеи".
- 01.50 „Апология"
- 02.55 Боевик „Неудержимый". „ГОНЩИК".

## РТР

- 06.45 Доброе утро Россия!
- 09.45 Сериал „Леди босс"
- 10.35 Сериал „СЕМНАДЦАТЬ МГНОВЕНИЙ ВЕСНЫ"
- 12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести
- 12.20 Сериал „Пуаро Агаты Кристи. приключение звезды запада"
- 13.20 Худ.фильм „Крестоносцы"
- 14.15, 17.45 Экспертиза
- 14.30 Вся Россия
- 14.45 Вести-Москва
- 15.20 „Что хочет женщина"
- 16.10 Сериал „Трое против всех"
- 17.15 Сериал „Простые истины"
- 18.20, 03.15 Дорожный патруль
- 18.35, 00.50 Вести-спорт
- 18.45, 20.50 Вести. Дежурная часть
- 19.20, 21.30 Местное время. Вести-Москва
- 19.50 Сериал „Комиссар Рекс"
- 21.50 Спокойной ночи, малыши!
- 21.55 Сериал „Леди босс"
- 22.50 Сериал „СЕМНАДЦАТЬ МГНОВЕНИЙ ВЕСНЫ"
- 00.20 „Вести +"
- 00.55 Худ.фильм „тариф на лунный свет"
- 02.45 Синемания

## НТВ

- 09.35 Утро на НТВ
- 10.05 Сериал „Скорая помощь 6"
- 11.00 Сегодня утром
- 11.25 Чистосердечное признание
- 12.00, 13.00, 15.00, 18.00, 20.00 Сегодня
- 12.05 „Квартирный вопрос".
- 13.05 Худ. фильм „ГОНЩИКИ"
- 14.40 Криминал
- 15.05 Путешествия натуралиста
- 15.35 Детектив „Она написала убийство"
- 16.30 „Я его слепила из того, что было". Ток-шоу „Принцип „Домино"
- 18.10 Боевик „Кодекс чести"
- 19.15 „Очная ставка"
- 20.40, 00.15 „ТАЙНЫ СЛЕДСТВИЯ: МЯГКАЯ ЛАПА СМЕРТИ"
- 21.50 Боевик „Кодекс чести"
- 23.00 „Сегодня вечером"
- 23.35 Сериал „Секс в большом городе"
- 01.20 Гордон
- 02.15 Сериал „Солдаты удачи"
- 02.55 Кома 03.40 Ночь.



# ორში ერთი

თამარ ბაბუაძე

თებერვლის ბოლოს ამ ორი დიზაინიდან ამერიკა "ტყუპების" მაგიერს აირჩევს. ნახევარფინალისტი პროექტების ავტორები ჯგუფი Think-ი და დენიელ ლიბესკინდის სტუდია გახლავთ. ერთი მოშიშვლებული მანჰეტენის გალამაზებას მყარად ნაშენები შენობით აპირებს, მეორეს კი იქაურობა ცაში აჭრილი, მსუბუქი, შუშებიანი ორი კოშკით წარმოუდგენია. თუმცა, არის საერთო ნიშნებიც: ორივე დიზაინის მიხედვით, ახლადაგებული შენობა მსოფლიოში უმაღლესი ცათამბჯენი უნდა იყოს, ბოლო სართულები კი, ოფისების ნაცვლად, 11 სექტემბრისადმი მიძღვნილმა დარბაზებმა უნდა დაიკავოს.

დენიელ ლიბესკინდი წარმოშობით გერმანელი, მაგრამ ნიუ იორკში მცხოვრები არქიტექტორია. ის ჯერ შესანიშნავი მუსიკოსი და შემსრულებელი იყო, არქიტექტურამ მხოლოდ მოგვიანებით გაიტაცა და შენებას მუსიკაც კი ანაცვალა. თუმცა, როგორც თავად უყვარს თქმა, მუსიკა მას არასდროს მიუტოვებია – მელოდიურობა, ხელოვნებისადმი უზომო სიყვარული მის თითოეულ პროექტში იგრძნობა. ამის მაგალითი თუნდაც ბერლინში აგებული ებრაული მუზეუმია. არანაკლებ თვალწარმტაცი გამოდის "ვიქტორია და ალბერტ" მუზეუმის ახალი, სპირალური დამატებაც, რომელიც 2006 წელს უნდა დასრულდეს.

ჯგუფი Think კი ნიუ იორკელ ფრედერიკ შვარცს, რაფაელ ვიოლის, კენ სმიტსა და ტოკიოელ შიგერუ ბანს აერთიანებს. ფინალში გასვლის და საპასუხისმგებლო მისიის აღების იმედი ორივე ჯგუფს აქვს. პრინციპში, მათ ნახევარფინალში გასვლას პრესა წინათაც ვარაუდობდა. ლიბესკინდსაც და Think-ის წევრებსაც არქიტექტორთა და ხელოვანთა წრეებში იმთავითვე აქებდნენ.

ლიბესკინდის პროექტი შეიცავს სავაჭრო ცენტრის დასავლეთით, თითქმის, საძირკველის ადგილზე განთავსებულ ღია არენას, სადაც ტერაქტის მსხვერპლთა მემორიალს ააგებენ. არენას რკალისებრად შემოავლებენ მყარ, ჰიდრონაზავისგან დამზადებულ გამჭვირვალე კედლებს, რათა მდინარე ჰუძონიდან გამომავალი მიწისქვეშა წყლები შეაკავონ. ლიბესკინდი ფიქრობს, რომ დატოვონ ძველი, ნგრევას გადარჩენილი კედელიც – როგორც დემოკრატიულ ღირებულებათა გამძლეობის სიმბოლო. "ამ წმინდა მიწაზე მშვიდი, სულიერი, მედიტაციისთვის შესაბამისი გარემო უნდა შევქმნათ. იქ საძირკველში, თითქმის, 70 ფუტის სიღრმეზე ჩასვლა ერთგვარი მოგზაურობა უნდა იყოს", - განმარტავს ის.

უსწორმასწორო ფორმებითა და გამჭირვალე ჰიდრონაზავით აიგება მუზეუმიც, რომელიც ზემოთხსენებული არენის ზემოთ, თითქმის, ჰაერში განთავსდება. სწორედ ამ მუზეუმიდან (მას ლიბესკინდი მოგონებებისა და იმედის მუზეუმს უწოდებს) დაიწყება მოგზაურობა ქვემოთ, საძირკველში – ტკივილისა და მომავალზე ჩაფიქრების, მედიტაციისა და მოგონებების სამყაროში.

"11 სექტემბერს დავკარგეთ ახლობლები, რომლებიც გმირებად იქცნენ. მათი ხსოვნის პატივსაცემად შევქმენი ორი დიდი საზოგადოებრივი ჰოლი – "გმირების პარკი" და "სინათლის სვეტი". ყოველი წლის 11 სექტემბერს, 8:46 და 10:28 საათებს შორის მზე იქაურობას ყოველგვარი ჩრდილების გარეშე გაანათებს და ეს იქნება მარადიული მიძღვნა ალტრუიზმისა და მხნეობის მიმართ", - დასძენს არქიტექტორი.



ჯგუფი Think-ი



REUTERS

დენიელ ლიბესკინდი

უთუოდ თვალს მოგჭრით რკალისებრი, მიწიდან რამდენიმე მეტრით მაღლა აწეული ბილიკიც, რომელიც ნახევარმთვარისებურად გარს აკრავს მემორიალის ჰოლს. ამ ბილიკსაც განსაკუთრებული დატვირთვა აქვს. ლიბესკინდი ამბობს: "თითქმის, 4 მილიონზე მეტმა ადამიანმა ნახა მოშიშვლებული მანჰეტენი. ხალხი სავაჭრო ცენტრის ნანგრევების სანახავად ყოველ დღე მოდიოდა... სწორედ მათთვის შევქმენი მაღლა აწეული ბილიკი. ახლა ყველას შეეძლება, იხილოს არა მხოლოდ "ტყუპების" საძირკველი, არამედ ისიც, თუ როგორ იბადება სიცოცხლე ახლადაღმართული შენობის სახით".

და მაინც, ლიბესკინდის ამ ულამაზესი პროექტის ყველაზე თვალწარმტაცი დეტალი შენობის უმაღლეს წერტილში გაშენებული დაკიდული ბაღებია. "ცა კვლავაც გახდება ცათამბჯენის სახლი, იმ ცათამბჯენისა, რომელიც "მსოფლიოს ბაღებით"დაბოლოვდება.

რატომ ბაღი? იმიტომ, რომ ის სიცოცხლის მარადიული ნივთმტკიცებაა", - აღნიშნავს პროექტის ავტორი. ანუ, როცა მწვანე ბაღი ცაში, მსოფლიოს უმაღლეს წერტილში ჰკიდია, ეს იმას ნიშნავს, რომ სიცოცხლე ზეიმობს – ასეთია ლიბესკინდის პროექტის სიმბოლიკა.

ემოციური ქვეტექსტები, ბუნებრივია, არც ჯგუფ Think-ის გეგმას აკლია. მათი მთავარი საფიქრალიც 11 სექტემბრის ტერაქტებში დაღუპულთა კეთილშობილური გზით მოგონებაა. ეს Think-ის წევრებს ერთგვარი კულტურული ცენტრის შექმნით წარმოუდგენიათ. უფრო ზუსტად, მათი ჩანაფიქრის მიხედვით, მსოფლიო სავაჭრო ცენტრი მსოფლიო კულტურის ცენტრმა უნდა შეცვალოს – მსოფლიო ხელოვნებამ უნდა გადაარჩინოს.

პროექტი გულისხმობს ეიფელის კოშკის შთაგონებით შექმნილ, 1665 ფუტი სიმაღლის, ორ ბადისებურ კონსტრუქციას, რომელიც მთლიანად შემინული და გამჭირვალე იქნება. მათ "ტყუპების" საძირკველის გარშემო აღმართავენ. შიგნით წამოჭიმავენ სხვადასხვა სახის შენობებს - მუზეუმს, საშემსრულებლო ხელოვნებისადმი მიძღვნილ ცენტრს, საკონფერენციო დარბაზებს, საგანმანათლებლო დაწესებულებებს, ამფითეატრს, ქალაქში გადასახედ პლატფორმებს...

იგეგმება მთლიანად შუშით გადახურული გრანდიოზული ჰოლის შექმნაც, რომელიც მსოფლიოში უდიდესი მოედანი იქნება. არქიტექტორთა ჩანაფიქრით, ამ უზარმაზარმა არენამ, რომელიც მზის შუქით განათდება, ღირსეული კონკურენცია უნდა გაუწიოს ტაიმს სკვერსაც.

Think-ის არქიტექტორები განსაკუთრებული აღფრთოვანებით საუბრობენ პროექტის "მწვანე" დეტალზე – ე.წ. "ცის პარკზე". საზოგადოებრივი პარკი, რომელიც 10 ქუჩაზე გადაიჭიმება, ეტაპობრივად ამაღლდება და თავის უმაღლეს წერტილში ათსართულიანი სახლის სიმაღლეს მიაღწევს. ხეებითა და მცენარეებით სავსე ბაღში ამფითეატრი, კაფეები, შადრევნები და საციგურაო არენა მოთავსდება. ბაღის უმაღლესი წერტილიდან კი ტურისტების თვალწინ შესანიშნავი ხედი გადაიშლება– მდინარე ჰუძონი და ნიუ იორკის პორტი. პარკი და მის ქვეშ მოთავსებული არენა ერთმანეთთან ხიდებით, დაქანებული ბილიკებითა და ლიფტებით დაკავშირდება.

როგორც ხედავთ, ორივე პროექტი მართლაც საუკეთესოა. ორივე მათგანი, თითქმის, თანაბრად ფლობს ნიუ იორკელების მხარდაჭერას. თუმცა, არჩევანის გაკეთება მაინც საჭირო გახდება. საბოლოო განაჩენს არქიტექტორებს რამდენიმე კვირაში გამოუტანენ. შესაბამისად, ნიუ იორკს მეორე სუნთქვა გაეხსნება - სიცოცხლის სიმბოლოდ აღიარებული ცაში დაკიდებული ბაღით ან გრანდიოზული ხელოვნების ცენტრით. ნებისმიერ შემთხვევაში ქალაქი, როგორც ამერიკული უძლეველობის სიმბოლო კვლავაც აღდგება.

# რატომ წავიდა მადონა?

ჭორი დაირხა, მადონა ორსულადაა და მესამე შვილის გაჩენას აპირებსო. ბრიტანული გაზეთის, Heat-ის მოხსენების თანახმად, 44 წლის პოპ-ვარსკვლავი და მისი მეუღლე, გაი რიჩი, ლონდონიდან შეერთებულ შტატებში სწორედ ამის გამო გაემგზავრნენ. თუმცა, მადონას დედამთილმა, შირინ რიჩიმ, განაცხადა, დანამდვილებით ვერაფერს მოგახსენებთო: "ჩვენ საერთოდ არაფერი ვიცით ამის შესახებ. მხოლოდ ის ვიცით, რომ პრესაში უამრავი ჭორი გამოქვეყნდა."

გაი რიჩისა და მადონას ვაჟი, როკო, ორი წლისაა, მომღერლის უფროს ქალიშვილს, ლურდესს კი ექვსი წელს შეუსრულდა. მადონას გადაწყვეტილი აქვს, რომ მისი შვილები სკოლაში ამერიკის შეერთებულ შტატებში ივლიან.

ბრიტანული გაზეთი, Daily Mail წერს, რომ "პოპ-დედოფალმა დიდ ბრიტანეთს ზურგი საბოლოოდ შეაქცია და თავის შვილებს ლოს ანჯელესში უკვე შეურჩია საბავშვო ბაღიც და სკოლაც." როგორც ჩანს, მადონამ ხელი აიღო ინგლისში ცხოვრებაზე – ბოლო დროს სიცივითა და ნესტით ძალიან უკმაყოფილო იყო. ამჟამად იგი ქმარ-შვილთან ერთად კალიფორნიის მზეს ეფიცხება.

მიუხედავად იმისა, რომ პრესა მომღერლის პირად ცხოვრებას უწყვეტლივ იხილავს, ბარსელონაში გამართულ აუქციონზე მისეულმა "რელიქვიამ" მარცხი განიცადა: მადონას ტრუსებით, რომელიც მას 1987 წელს Who's That Girl?-ში ეცვა და რომლის საწყისი ფასიც აუქციონზე სულ რაღაც 2000 ევრო იყო, არავინ დაინტერესებულა.



# შოუბიზნესის ლეგენდა მკვლელობის ბრალდებით

გუშინ გამოძიებამ დაადგინა ქალის ვინაობა, რომლის მკვლელობაც ხმის ჩამწერი ბიზნესის ლეგენდად აღიარებულ პროდიუსერს, ფილ სპექტორს ბრალდება. 40 წლის ლანა კლარკსონი კალიფორნიელი მსახიობია. ის მონაწილეობდა 80-იანი წლების რამდენიმე ცნობილ ფილმში. სპექტორს კი შეხვდა ბლუზ-კლუბ "სანსეტ სტრიპში", სადაც იმ ღამეს სხვებთან ერთად ჯგუფ Judas Priest-ის ლიდერი, რობ ჰალფორდი გამოდიოდა. კლარკსონი ერთი ტყვიით გახლავთ მოკლული. პოლიციამ, რომელსაც სროლის შესახებ სპექტორის მძღოლმა შეატყობინა, გვამი ფოიეში იპოვა. მძღოლი სხვა ინფორმაციას არ ფლობს – მან უბრალოდ წყვილი გამთენიისას სახლში მიიყვანა. ცნობილია ისიც, რომ სპექტორი ცეცხლსასროლი იარაღის დიდი მოტრფიალე იყო...

ცნობილი პროდიუსერი 1 მილიონი დოლარის გადახდის შემდეგ მეორე დღესვე გამოუშვეს ციხიდან. სასამართლო პროცესზე კი მას ადვოკატი რობერტ შაპირო (ოჯეი სიმპსონის გახმაურებული საქმის გამო საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი იურისტი) დაიცავს.

პოლიციამ უკვე გაჩხრიკა სპექტორის ახალთახალი "მერსედესი" და მისი ციხე-სიმაგრეც – ლოს ანჯელესის გარეუბანში მდებარე 33 ოთახიანი რეზიდენცია. გამოძიება გრძელდება.

მარვინ მიჩელსონი, მაღალჩინოსანი ლოს ანჯელესელი იურისტი, რომელთანაც სპექტორი 13 წლის განმავლობაში მეგობრობდა, აცხადებს, რომ მეგობრისთვის უცნაური არაფერი შეუმჩნევია. "წინა კვირას მისგან სამი ი-მეილი მივიღე. სამივე სასაცილო, მხიარული. კეთილი იყო, ასეთ დანაშაულს არაფრით ჩაიდენდა. მართალია ცოტა მძიმე კაცი გახლდათ, მაგრამ ბუზსაც კი ვერ მოკლავდა", - დასძენს ის.

"ესოშიეიტიდ პრესის" ცნობით, როკ-სამყაროში ჯერ კიდევ 60-იან წლებში აღიარებული სპექტორი თავის უზარმაზარ რეზიდენციაში მარტო ცხოვრობდა და ბოლო ხანს ავტობიოგრაფიულ ფილმზე მუშაობდა. სპექტორის მოგონებების მიხედვით, ალბათ, მართლაც საინტერესო სურათი შეიქმნებოდა, მით უფრო კი, მუსიკის მოყვარულთათვის. სპექტორი ხომ წლების განმავლობაში "ბითლზის", ტინა ტერნერის, ასევე Ronettes-ისა და Ramones-ის ჩანაწერებზე მუშაობდა. ის როკ-მუსიკაში ერთ-ერთი ნოვაციის – ე.წ. "ბგერის კედლის" შექმნის გამო პიონერადაც იყო აღიარებული. საუბარია ტექნიკაზე, რომელიც სიმღერებში, სხვა სპეციფიკურ დეტალებთან ერთად, მრავალშრიანი ვოკალის გამოყენებას გულისხმობს. სპექტორის გამოგონება მრავალი ჰიტის სავიზიტო ბარათადაც იქცა. მათ შორის აღსანიშნავია: "კრისტალსის" Da Doo Ron Ron და Ronettes-ის Be My Baby.

კაცმა, რომელიც მოგვიანებით როკს ნოვატორად მოევლინა, პირველი ჰიტი To Know Him Is To Love Him 17 წლის ასაკში შექმნა. 70-იან წლებში მუშაობდა ალბომზე Let It Be, მერე კი ეხმარებოდა ჯორჯ ჰარისონს ალბომების All Things Must Pass და Concert for Bangladesh-ის შექმნისას, ჯონ ლენონს კი – Instant Karma და Imagine-ზე.

ფილ სპექტორი ამ დამსახურებების გამო ორი "გრემითაც" არის დაჯილდოებული. ის გახლავთ როკ-ენ-როლის დიდების დარბაზის წევრიც – ვგულისხმობთ, როკის ცნობილ მუზეუმს, რომელიც კლივლენდში მდებარეობს.

## კალეიდოსკოპი

### მექსიკური ფილმი გინესის წიგნში

რეჟისორ ფაბრისიო პრადას ფილმი "რეალური დრო" გინესის რეკორდების წიგნში შევიდა. ეს სურათი ერთი კამერის ციფრულ ფორმატზეა გადაღებული, კამერა კი 86 წუთის განმავლობაში, დუბლის გარეშე, განუწყვეტლივ მუშაობდა.

უახლოეს მომავალში ფილმი ნიუ იორკისა და ტულუზის კინოფესტივალებზე იქნება ნაჩვენები. კინოკრიტიკოსები მას "ადამიანთა ვნებების ისტორიას" უწოდებენ, რომელშიც მოქმედი გმირები "თავიანთ შინაგან სამყაროს, ნაფიქრს, იმედებს, ეჭვებსა და სინდისის ქენჯნას გვაცნობენ."

"რეალური დროის" გადაღებისთვის მექსიკის ქალაქ ხალაპაში მთელი უბნები იყო გადაკეტილი. გარდა ამისა, ორი საათის განმავლობაში მხარზე კამერაშემოდგმული ოპერატორისთვის საქმის გასაიოლებლად უსწორმასწორო ქუჩები შეაკეთეს.

### ყველას თავისი გასჭირვებია

მილიონობით ქალი ვერასოდეს დაიჯერებს, რომ უმშვენიერეს ჯენიფერ ლოპესს საკუთარი სხეული დიდად არ მოსწონს. ჰამბურგის გაზეთ Fuer Sie-სთვის მიცემულ ინტერვიუში დაიჩივლა: ვარჯიშს თუ მოვუკელი, წვივებსა და ბარძაყებზე უმალვე დამეტყობაო. არც კანის ფერი ჰქონია დამაკმაყოფილებელი, ამიტომ ყოველთვის კრემს ისვამს "ჯანმრთელი კანისა და გარუჯული სხეულის საჩვენებლად".

### რუსი თავადი რემბრანდტი აღმოჩნდა

ამსტერდამში, რემბრანდტის მუზეუმში, გამოფენილია მხატვრის დღემდე უცნობი ავტოპორტრეტი, რომელიც აქამდე რუსი თავადის პორტრეტად იყო "შენიღბული".

ნახატი დათარიღებულია 1634 წლით – მაშინ მხატვარი 28 წლისა იყო. როგორც ჩანს, მაშინ ამ ტილოს გაყიდვა არ მოხერხდა, და რემბრანდტის ერთ-ერთმა მოსწავლემ ის ახალი ნახატის შესაქმნელად გამოიყენა: მხატვარს თმა მხრებამდე გაუზარდა, ხავერდის ქუდი დაახურა და რუს არისტოკრატად აქცია.

უკანასკნელი ექვსი წლის განმავლობაში "რემბრანდტის მემკვიდრეობის კვლევის პროექტის" რესტავრატორები საღებავის გვიანდელი ფენების მოხსნასა და ავტოპორტრეტის აღდგენაზე მუშაობდნენ.

### "მის ბრაზილიამ" გვირგვინი დათმო

იმის გამო, რომ თავის გათხოვების ამბავი დამალა, სილამაზის კონკურსის ორგანიზატორებმა 21 წლის ჟოზეანა ოლივიერას წოდება და გვირგვინი ჩამოართვეს. მის ადგილს მანამდე მეორე ადგილზე გასული ტაიცა თომსენი დაიკავებს.

ორგანიზატოებმა განაცხადეს, რომ "გასათხოვრობა კანდიდატისთვის აუცილებელი მოთხოვნაა, და ჟოზეანამ ეს მშვენივრად იცოდა, რადგან კონტრაქტზეც ჰქონდა ხელი მოწერილი".

წოდების გარდა, ოლივიერას მოგებული ფულის – 12 ათასი რეალის დაბრუნებაც მოუწევს, თუმცა ნაჩუქარი სამკაულები მაინც შერჩა. ყოველდღიური გაზეთი, Rio Grande do Sul იუწყება, რომ ოლივიერა 1998 წლიდანაა გათხოვილი. პრესკონფერენციაზე კი ყოფილმა დედოფალმა თქვა, ქმარს გაცილებული ვარ, ტყუილი კი იმიტომ ვთქვი, რომ ფული მჭირდებოდა, ავადმყოფი მამა მყავს შესანახიო.

**დღეს**

**ხუთშაბათს, 6 თებერვალს**



1927 წელი: პარიზში შედგა ათი წლის მევიოლინის, იეჰუდი მენუჰინის დებიუტი.

1935 წელი: ძმებმა პარკერებმა გამოიგონეს თამაში "მონოპოლია", რომელიც შემდეგ ბესტსელერად იქცა.

1958 წელი: მიუნხენში, ავია-კატასტროფაში "მანჩესტერ იუნაიტედის" შვიდი ფეხბურთელი დაიღუპა. ისინი, ბელგრადში ევროპის თასისთვის გამართული მატჩის შემდეგ შინ ბრუნდებოდნენ.

1964 წელი: საფრანგეთი და ბრიტანეთი შეთანხმდნენ, რომ ლამანშის არხში გვირაბს გაიყვანდნენ.

1993 წელი: შიდსის დიაგნოზით ცნობილი ჩოგბურთელი ჩემპიონი არტურ ეში დაიღუპა.

2001 წელი: ერთად გატარებული ათი წლის შემდეგ ჰოლივუდის "ოქროს წყვილმა" - ტომ კრუზმა და ნიკოლ კიდმანმა განაცხადეს, რომ გაყრას აპირებენ.

© GRAPHIC NEWS

# მაიკლ ჯექსონის სკანდალური აღსარება

## გულკეთილი პიტერ პენი?



მიუხედავად იმისა, რომ 1993 წელს არასრულწლოვანებთან თანაცხოვრების ბრალდების გამო დიდი უსიამოვნება შეემთხვა, მაიკლ ჯექსონმა აღიარა, რომ კვლავ ბავშვებთან იყოფს სარეცელს. ამ სიტყვებმა ტელეარხ ITV-ზე ბრიტანელი ჟურნალისტის, მარტინ ბაშირის გადაცემაში გაიჟღერა.

პირველი კომენტარი BBC-მ გააკეთა – უმალვე შეახსენა საზოგადოებას, რომ "ჯექსონი ყოველთვის უარყოფდა, მსგავსი რამ ჰქონდა ჩადენილი". მომღერლის თქმით, ბავშვები მის სახლში ათევდნენ ღამეს, ამიტომ ზოგჯერ სტუმრებს უთმობდა ხოლმე თავის ლოგინს და თვითონ იატაკზე იძინებდა. ჯექსონს ასეთი საქციელი "მშვენივრად და მომხიბვლელად" მიაჩნდა.

ახლა კი იკითხა: "რატომ არ შეიძლება ვინმესთან ერთად ლოგინში წოლა? თუ ვინმეს სარეცელს უყოფ, ეს სიყვარულის დასტურია". მაიკლ ჯექსონი ამტკიცებს, რომ მისი ბავშვების მიმართ სიყვარული სრულიად უმანკოა და სექსთან არანაირი კავშირი არა აქვს. "ბავშვები, მათი უმანკოება, ჩემი შთაგონების წყაროა," ამბობს პოპვარსკვლავი. "მე ძალიან მომწონს მათთან ყოფნა. რატომ არ შეიძლება, მათთან მეძინოს? ბავშვებთან წოლა სწორია და სასიამოვნო. ნეტა, მთელი მსოფლიო რად არ შვრება ამას..."

ჯექსონმა თემა უსასრულოდ განავრცო, მოყვა, რომ მრავალ ბავშვთან ერთად წოლილა, მათი სახელებიც ჩამოთვალა.

საერთოდ, ჟურნალისტ მარტინ ბაშირს მაიკლ ჯექსონის პირად ცხოვრებაში ჩახედვის უპრეცენდენტო საშუალება მიეცა. ის მას რვა თვის განმავლობაში იღებდა და რამდენიმე ინტერვიუც აიღო. ბაშირი ჯექსონის რანჩოზე, Neverland-ში ჩავიდა, იქაური ზოოპარკიც გადაიღო, და მომღერალს ლას ვეგასში, საყიდლებზეც ახლდა, სადაც ჯექსონმა 6 მილიონი ამერიკული დოლარი დახარჯა.

იმ ინტერვიუს დროს, რომელიც მის ბავშვობას და ჯგუფ Jackson Five-ს ეხებოდა, ჯექსონი საშინლად ღელავდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა "საძულველი" და "უხეში" მამის შესახებ ყვებოდა. მან თქვა, სწორედ მამამ შთამაგონა, რომ ულამაზო გარეგნობა და სქელი ცხვირი მაქვსო. თუმცა, როცა საუბარი პლასტიკურ ოპერაციებზე ჩამოვარდა, მაიკლ ჯექსონი აღშფოთდა და თქვა, "სისულელეა და ტყუილიო"; მისი თქმით, სახე მხოლოდ ორჯერ გადაიკეთა. მის სიტყვებს Life ხალისით გადმოსცემს: "პატიოსან სიტყვას გაძლევთ, სახისთვის არაფერი მიქნია. უბრალოდ, ღმერთს ვთხოვე". კანის ფერის შეცვლა კი დაავადების ბრალი ყოფილა.

მომღერალმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ თავის შვილებს "ნორმალურ ბავშვობას სჩუქნის", თუმცა მათ თავიანთი დედები არასოდეს უნახავთ. მესამე ბავშვი, საერთოდ, "სუროგატული" დედის შვილი ყოფილა, მაიკლს ის არასოდეს უნახავს – ვინაა, სულ ერთია, მთავარია, რომ ჯანმრთელია და ინტელექტუალურად განვითარებული. ბოლო ის, რომ ბავშვები ქუჩაში მხოლოდ ნიღბებით ჩნდებიან, ფოტორეპორტიორების ბრალი ყოფილა.

გადაცემის ავტორი, ბაშირი, ბერლინში იმ ეპიზოდსაც შეესწრო, როცა ჯექსონმა შვილი სასტუმროდან გადმოკიდა. მაიკლი თავს დამნაშავედ არ გრძნობს და თვლის, რომ მის გამკრიტიკებელ ხალხს არაფერი ესმის: "ქვევით ათასობით თაყვანისმცემელი იდგა, ყვიროდნენ, ჩემი შვილის დანახვა უნდოდათ, მეც გულისხმიერება გამოვიჩინე და დავანახე. ჩემი უმანკოებით მომივიდა. მე მიყვარს ჩემი შვილები, ბიჭი სწორად და მაგრად მეჭირა. არ გამივარდებოდა..."

მაიკლ ჯექსონს დიდი სამომავლო გეგმები ჰქონია: ყოველი კონტინენტიდან ორ-ორი ბავშვის აშვილებას აპირებს, და მარად ცხოვრება აქვს გადაწყვეტილი. "მე პიტერ პენი ვარ. გულკეთილი პიტერ პენი".

BBC-მ ბაშირის გადაცემას "ყველაზე გრძელი გამოსათხოვარი წერილი" უწოდა, გაზეთი Life კი წერს, რომ ასეთი აღსარებების შემდეგ პოპ-ვარსკვლავ ჯექსონის კარიერა შეიძლება დასრულებულად ჩაითვალოს.

## სკანდინავიური კროსვორდი



ესთეტიკური კოსმეტოლოგიის ცენტრი "ვიზაჟი"

Visage

პირველად საქართველოსა და ამიერკავკასიაში მაღალი ტექნოლოგიების პროფესიულ პროგრამას "Danne Montague-King"

MATTIOLLI ENGINEERING

მიკროკრისტალურ დერმოგრაფიას "Aesthipeel"

- მეზოთერაპია
- სხეულის კორექცია არაქირურგიული, ინტელექტუალური სისტემით "ЭСМА"
- ელექტრო ეპილაცია "BLEND, Flash"
- გამონაყარი, აკნე, ფერიმჭამელები, ფორიანობა, პიგმენტური ლაქები, ნაოჭები, კანის მოდუნება, ლოკალური ცხიმების დაგროვება, ცელულიტი, ორსულობის შემდგომი სტრიები, ნაწიბურები, კანის მოვლა პოსტოპერაციულ პერიოდში.

ფალიაშვილის 98, TEL 91-24-20, 25-27-02, მობილური899-56-18-52

DERTOUR-ის გთავაზობთ

DERTOUR-ის წარმომადგენლობა საქართველოში LPS-ის ტურისტული ბიურო გთავაზობთ ინდივიდუალურ და ჯგუფურ ტურებს ნებისმიერ კონტინენტზე, სასტუმროების დაჯავშნა ყველაზე იაფ ფასებში ადგილზე ვაუჩერის გაცემით, Club Med-ის კურორტები, Disnay Land, კრუიზები გემით - წყნარ და ატლანტის ოკეანეებში, კარიბისა და ხმელთაშუა ზღვაში, ევროპის მდინარეებზე, მანქანის დაქირავება ევროპის ნებისმიერ ქალაქში, სამთო ტურები ალპებში ავსტრია, გერმანია, შვეიცარია, იტალია, საფრანგეთი. ტურები ახალდაქორწინებულთათვის, ასევე LUFTHANSA-ს ავიაბილეთები ევროპის ქალაქებიდან. ავიაბილეთები ყველა მიმართულებით, რუსეთის და ევრო ვიზები.

DERTOUR

მისამართი: გამსახურდიას 24/2;
Tel: 91-24-24; Tel/Fax: 25-16-47;
E-mail: lps@access.sanet.ge

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

